

# დღისთვის და სექსისთვის



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

4 ოქტომბერი, 2013 წ. №64 (3674) ბამონდის 77-მ წელი ღირსი 1 ლარი

## მეორე უკველესი პროფესიის წარმომადგენლები სტუმრად საქართველოს პრემიერთან!

### თამაზ ნივნივაძის მეგობრული შეხუმრება კოლეგა ჟურნალისტებს

საყოველთაოდ ცნობილია, ჟურნალისტიკა, პროსტიტუციის შემდეგ, მსოფლიოში რიგით მეორე უძველესი პროფესიაა!

ბატონ ბიძინა ივანიშვილს კი ამ ერთ-ერთი უძველესი დარგის წარმომადგენლები გუშინწინ საკუთარ ბიზნესცენტრში სტუმრად და, ცოტა არ იყოს, ჭკუის სასწავლებლადაც მიუწვევია!

როგორც ჩანს, შეცდომა თავშივე იყო დაშვებული!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჟურნალისტიკისთვის ჯერ ჭკუა დედამინის ზურგზე არავის უსწავლებია!

როგორც მგლის განვრთნა და მოთვინიერებაა შეუძლებელი თუნდაც იმდენად, ძალიანთადაც ყველა რომ ასწავლო, ასევე შეუძლებელია, მაგალითად, ინგა გრიგოლია, როგორც ჟურნალისტი, შენს ჭკუაზე ატარო!

თუ სიმართლე გინდათ, მე ასეთ დაუმორჩილებლობას არც ალექო ელისაშვილისგან მოველოდი – ბატონო ბიძინაო, მე თქვენ ვერაფერს დამიშლით, როგორც აქამდე ვსვამდი შეკითხვებს, ანიდაც ასე დავსვამ და, უკაცრავად პასუხია, ამ ჩემს ფეხებს, ვის ეწყინება და ვის არაო!..

არა ხარ, ალექო, მართალი! შენ პრემიერი კითხვის დასმას კი არ გიშლიდა, არამედ იმის სწავლებას გიპირებდა თუ როგორ უნდა დასვა შეკითხვა, ახალი ხელისუფლების იმიჯი რომ არ დაზარალდეს!

ეს კი ერთი და იგივე არ არის, ყმანვილო!

ძვირფასო მკითხველო! მე რაც ვუყურე მთელ ოთხსაათიან განვეგამონევის პრემიერსა და ჟურნალისტებს შორის – არც ერთი მხარე არაფერს თმობდა!

ისიც შეიმჩნეოდა, თუ ადრე უძველესი პროფესიის წარმომად-



გენლები, „პროსტიტუტკები“, საშოვარზე გამოსულები საკუთარი სხეულით ვაჭრობდნენ, ჩვენი თანამედროვე ჟურნალისტები საკუთარ სიტყვას ფასს ერთი წუთითაც ძირს არ უგდებდნენ!

ესენი, ძირითადად, სიტყვებით მანიპულირებდნენ!

თუმცა კი ლამაზი ნაკვების წარმოჩენასაც არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ!

ამ მხრივ ისინი ჩვენს სახელოვან პრემიერს ამკარად ჯაბნიდნენ!

ბატონი ივანიშვილიც ბევრს ცდილობდა, რომ თითოეული ჟურნალისტი როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად სამთავრობო ყალიბში ჩაესვა, მაგრამ მისი ყოველი მცდელობა ამაო ჩანდა!

პრემიერის ყოველ კითხვას მონვეული სტუმრები ბატების სასიამოვნო სისინით პასუხობდნენ!

ასეთი ლამაზი შერკინება მე პირადად, კარგა ხანია, არ მინახავს!

ისიც თვალშისაცემად ჩანდა, საბრძოლო ბატალიების მიმდინა-

რობისას პრემიერს გაცილებით უჭირდა!

მცირე რეპლიკასაც ხშირად მოკრავდით ყურს: დამაცა თქმაო!..

არადა, ვინ რას გაცლიდა, ორივე მხარეს თავის გამოჩენის შესანიშნავი შემთხვევა ჰქონდა – მთელი საქართველო მათ შესცქეროდა!

როცა ივანიშვილს უჭირდა, ჟურნალისტებს უღხინდათ!

ხანდახან პირიქითაც იყო, ოღონდ იშვიათად!..

დისკუსიადამთავრებული ჟურნალისტების დაოკება სატელევიზიო არხებს მთელი დღის განმავლობაში უწევდათ – საბრძოლო ეპიზოდების წარჩენები ზოგი სად ამოყოფდა თავს და ზოგიც სად!..

ალბათ, ასეთ შეცდომას პრემიერი სხვა დროს აღარ დაუშვებს!

ყოველ შემთხვევაში, ლაპარაკში აღარ გაეჯიბრება იმ ხალხს, რომელთა ძირითადი საქმიანობა მხოლოდ ლაპარაკია და არაფერი სხვა!

შეიძლება, სულაც ალექო ელისაშვილის დარად თქვას: ვისაც რა გინდათ, ის ჰკითხეთ, აი, დარდიო!..

**P.S.**  
იმ დღით მხოლოდ მეორე უძველესი პროფესიის წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს არ უმარჯვიათ – ასევე დიდიდანვე ყოფილა საშოვარზე გამოსული საქართველოს უპირველესი პოლიტიკური პროსტიტუტკა ბატონი მიხეილ სააკაშვილი!

რა ქოქოლა არ აყარა თავზე ამ ჩვენმა ვადაგასულმა პრეზიდენტმა ამ ჩვენს ნაადრევად წასასვლელად გამზადებულ პრემიერს – თითქმის უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა!

რა განკრიალებული ქვეყანა ჩავაბარე და ერთ წელიწადში რას დაამსგავსაო!..

ვანო მერაბიშვილი ციხეში ჩასვა და წონაში დააკლებინაო!..

ზურაბ ჟვანიასთვის თავში საფერფლის ჩარტყმას ბოროტ ხულიგნობად მითვლის ეს ბოროტი კაცი და, მგონი, ვირის აბანოში მიპირებს ჩასმასო!..

ერთი სიტყვით, ბევრი იქაქანა თუ ცოტა, ბოლოს მასავით გიჟს, ზუგდიდელ მიქაიას მოჰკრა თვალი და ხმაც იმწამსვე გაკმინდა – ძვირფასო მკითხველო, გიჟები თურმე ყოველთვის ცნობენ თავისიანს და, როგორადაც შეუძლიათ, გაურბიან კიდევ ერთმანეთს!..

და მაინც, ვფიქრობ, რომ 2013 წლის 2 ოქტომბერი ბატონი ივანიშვილის დღე არ იყო!..



რა განძი გვექონია, რა მხნე, რა მდიდარი...  
გალაკტიონი

ბატონო ბიძინა!  
რა თქმა უნდა მანამდეც გეცოდინებოდათ ქართული წყლის მარაგისა და მისი პერსპექტივების შესახებ, მაგრამ, როცა სპეციალისტებმა ძირფესვიანად, დეტალურად დაგვიხატეს სურათი, თქვენ, სასიამოვნოდ განცვიფრებულსა და გახარებულს, დაახლოებით ასე გიბრძანებიათ: მე დალუპული მეგონა ჩვენი ქვეყანა და, თურმე, რა სიმდიდრის პატრონები ვყოფილვართო. რამდენიმე დღის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, თუმცა წყალი არ გიხსენებიათ, საქართველოს დუბაისთან შედარებაზეც კი წამოგცდათ რამდენიმე სიტყვა – იმედიანი და გულისგასახარი.

დიახ, თურმე ჩვენს ქვეყანას ხელენიფება, დაარწყულს ჯანმრთელ წყალს დანატრებული პლანეტის მცხოვრებთა ის მოზრდილი ნაწილი, რომელიც ამჟამად წყურვილს იკლავს სუნიანი და უსიამოვნო გემოდაკრული ან ზღვის წყლის გამტკნარებით მიღებული წყლით, ამიტომაც არის, რომ იგი მხოლოდ წყურვილს კი არ კლავს, არამედ მასობრივად ხოცავს მის მომხმარებელს, მათ შორის მილიონობით ბავშვს. ეს მაშინ, როცა მადლიანი ქართული მიწისა და ტყის ნაყურს შევსებული აქვს საქართველოს მიწისქვეშეთის ბუნებრივი წყალსატევები და, როგორც ამ დარგის მცოდნენი ფიქრობენ, ამოდენა მარკაფის მხოლოდ ორიოდვე პროცენტზე კი საკმარისია ხახვამშრალი მსოფლიოს დასარწყულად. უწყლობით დაზარალებული მსოფლიოს „წყალნაპკურები“ ადამიანები, თუ ცოტადენ ოცნებასაც წავიხმართ, თვით იზრუნებენ საქართველოს ეკოლოგიურად სუფთა ქვეყნად გადაქცევისთვის, რაც გამოინვევს მეზობელი და უფრო შორეული სახელმწიფოების ტვირთგამტარის როლის თანდათან შემცირებასა და მხოლოდ და მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა ტვირთების გადასატა „დეერუნად“ გადაქცევას – აიკრძალება ბენზინის,

**ბატონო თამაზ!**  
გესალმებით და გულახდილად გეუბნებით – მაცებს თქვენი დაუშრეტელი და გაუხუხარი იუმორი. მახარებს „ლიტერატურული საქართველოს“ ფენიქსისებრ აღდგენა. თითქოს დამიბრუნდა ახალგაზრდობა – ძველებური ინტერესით ველოდები პარასკევ დილას. უფალი ფარავდეს თქვენ სულიერ საგანძურს! არ ვიცი, როგორ გამიხარდება თუ თქვენი რანდაკრული ჩემი წერილი ბატონი ივანიშვილისადმი, გაზეთში დაიბეჭდება! ბატონ გოგი ხარაბაძისთვის განკუთვნილ წერილსაც თქვენი რედაქციის მისამართით ვაგზავნი. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ადრესატს გადაეცემა. წინასწარ გიხდით მადლობას!  
**რედაქციის მინაწერი:** ბატონ გოგი ხარაბაძის სახელზე გამოგზავნილ წერილს შემოგთავაზებთ „ლიტერატურული საქართველოს“ მომდევნო ნომერში.

**ლია წერილი გაგონ ბიძინა ივანიშვილს**

მაზუთის, საერთოდ, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება და ამის გამოვერავინ დაგვემდურება – ამას არ დაუშვებენ თვით მსოფლიოს ეკოლოგიური ორგანიზაციები; საქართველოს დატოვებენ ზურგზე დინამიტით გაძქვილი ტომარაკივადი და მხარზე უსაშველოდ გრძელბურღებულებული ნავთობის მაცივლები. ნელ-ნელა შეიცვლება თვით ქართული ნავთობპროდუქტების ერთ-ერთი ცენტრის, სართიჭალის პეიზაჟიც და, ბოლოს და ბოლოს, შთამომავლობას შემოვუნახავთ ერთ ჭაბურღილს მაინც – სიმერალის და სიბინძურის სიმბოლოს. ფუნქციას დაკარგავს და თანდათან ზედმეტ ბარგად გადაიქცევა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენიც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის და კვეთს ჩვენი ბუნების საგანძურს – ბორჯომის ხეობას, რაც საფრთხეს უქმნის თვით „ბორჯომის წყლის“ არსებობას. ასევე უმიზნო მასად გადაიქცევა თავდაცვისთვის გამიზნული არმია, შეიარაღება და ყოველივე, რაც დაკავშირებულია ომებთან, აფეთქებებთან. გაეხსენოთ, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას როგორ უფრთხილდე-

ბოდნენ გერმანული არმიებიც კი შევიცარიას – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანთა ფინანსური დანაზოგის საცავს – არავის მოსვლია აზრად, ბომბები ჩამოეყარა ან ყუმბარა გაეგროლა მისი ტერიტორიის მიმართულებით. ასევე გაუფრთხილდებიან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ნეიტრალიტეტსაც. აზრი დაეკარგება ნატოს, მასსა და მასზე უკეთესს! საქართველოს ტერიტორიას დატოვებენ (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) ოკუპანტთა ტანკები და მძიმე ტექნიკა – მსოფლიო, როგორც თვალის ჩინს, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძეს, ისე გაუფრთხილდება ჩვენი ქვეყნის სამანებს და არავის მისცემს უფლებას, ბოდიშს გიხდით გამოთქმისთვის, ჩააფურთხოს მაცოცხლებელი სითხით სავსე ჭიქაში! ბატონო ბიძინა! ქართველი კაცი ოდითგანვე უფაღს, მეფესა და საყვარელ ადამიანს „შენობით“ მიმართავდა, ამიტომ წერილის ბოლო ნაწილში ღვთისწიერ, მეფისტოლ და ქართველთა უმეტესობისთვის გულისგასახარ ადამიანს, მინდა, უფრო „ახლოს“

გესაუბრო. სამშობლოსთვის უკვე იმდენი გაქვს გაკეთებული, რომ ქართველებმა შენ უნდა მოგმართონ, შენ, რომელმაც, ჯორჯიაშილისგან განსხვავებით, არა მარტო ერთი გრიაზნოვი, არამედ ნაც-ძირალა რეჟიმ-ნოვთა მთელი ხროვა გაანადგურე, სწორედ რომ შენ უნდა მოგმართონ-მეთქი, მართალია, მოძველებული, მაგრამ ცამდე მართალი სიტყვებით:

**„შენ ხარ ბიძინა ივანიშვილი: შენ მოამორე ქვეყანას ჭირი...“**

და ახლა, როცა პოლიტიკიდან წასვლას აპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან მწყინს, დარწმუნებული ვარ, მიდხარ იმისთვის, რომ შენი ქვეყნისთვის ყველაზე უფრო საჭირობოროტო საქმეებს მიხედო, საქმეებს, რომლებშიც ქართულ წყალზე ზრუნვას ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი განეკუთვნება.

წყალზე ზრუნვის პრიორიტეტლობაზე როცა მიუთითებენ, ქართველი სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებენ მის „ბუნებრიობაზე, სტაბილურობაზე, სიიაფზე, არასეზონურობაზე, მაღალ ხარისხზე, კონკურენტუნარიანობასა და დაბანდებული კაპიტალის უუყუგების ხანმოკლე პერიოდზე“. აი, სად იმუშავებს შენი კაპიტალი; აი, სად წაადგება იგი შენს სამშობლოს!

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საშვილიშვილო საქმის დაძვრიდან ერთ წელიწადში საქართველოში ბავშვები აღარ იშობილენ! დანარჩენი შემდეგ! აი, რატომ არ გვწყდება დიდად გული პოლიტიკიდან შენი წასვლის გამო.

ყოველგვარი პათეტიკურობის გარეშე, ახლა ნამდვილად მწამს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა გაბრწყინდება!

მამ, „მიუტანოთ მწყურვალ მსოფლიოს წყალი!“  
აბა, შენ იცი! „გაგვიძებს, ბერო მინდიაე!“

პატივისცემით  
არქიტექტორი  
ქეპალ ჯანელიძე

**ბატონო თამაზ!**  
ვულოცავ მრავალრიცხოვან მკითხველს საყვარელი გაზეთის „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას – იგი, ყველაფერთან ერთად, გზამკვლევიც იყო ზნეკეთილი და დახვეწილი გემოვნების მქონე ახალგაზრდების აღზრდის საქმეში. თითქმის სამი ათეული წლის წინ პატარა წერილი მოგიძღვინით, რომელიც მთავრდებოდა მარკუს ავერელიუსის სიტყვებით: „კეთილს იქმოდე და აკაცის სახელი გერქვას, არის ამაში რაღაც მეფური“. ამ სენტენციამ დღეისთვის კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა.

პატივისცემით  
პროფესორი მიხეილ გვერდნითელი

ოცნება ტანჯული ქვეყნის ქვითინებს მთისა წვერზედა.  
ვაჟა-ფშაველა

ღრმად ჩაუფიქრდეთ კანტის სიტყვებს – „როცა სამართლიანობა ქრება, აღარაფერი რჩება, რაც ღირებულებას შესძენდა ადამიანთა სიცოცხლეს“. საქართველო კოლაფსშია და ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ უკვე ორი ათეული წელია, ჩვენი ქვეყნის გამგებელთა დიდი ნაწილი „ფულის საყვარლები“ (ედგარ პო) ბრძანდებიან და მათი ცხოვრების კრედაა – „რომელი ჰპარავდეს გლახაკსა, მიაგებს ღმერთსა“ (ჯეიმზ ჯოისი). ამ ცილამტკაველა მაქციაზე „გულში“ და „გონებაში“ ამოტივთვრეს მიხეილ ბულგაკოვის ირონიული სიტყვები „დოლარი! ყოვლისშემძლე სული! ის ყველგანაა“ და ამ დევნიის ერთგულებით „მართავდნენ“ ქვეყანას. ამიტომ არის, რომ საქართველოს თავისუფლებაზე საუბრისას ყოველ-

**ფიქრები უნივერსიტეტზე**

თვის მახსენდება დავით სარაჯიშვილის მწარე სიტყვები: „ქართველი ისე შეიწვია მონობას, რომ ბატონის შეცვლა თავისუფლება ჰგონია.“

„დამოუკიდებლობის მოპოვების“ შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, განათლების სისტემაც. ორმოცი წელია უნივერსიტეტის (ჩემი თაობისთვის სიტყვა „უნივერსიტეტი“ მხოლოდ ერთ უმაღლეს სასწავლებელთან ასოცირდება) თანამშრომელი ვარ და ვხედავ თუ რაოდენ დაუნდობლად შეგვეზუსრა რეფორმებმა.

პუტჩის მერე – კუპონების შემოღებიდან რამდენიმე თვის შემდეგ – უნივერსიტეტის პროფესორის (ამგვარად, ჩემიც) ხელფასი დაახლოებით ერთი დოლარის ეკვივალენტური გახდა. ამ წლებში უნივერსიტეტში ღამის დარაჯად (ე.წ. პასუხისმგებელ მორიგედ) მომიწია მუშაობა. კვირაში ერთხელ 24-საათიანი ცვლა გვექონდა. ამგვარად, თვეში ოთხ დღეს მინედა II კორპუსის ყარაულობა (დანარჩენ დღეებში ჩემი კოლეგები – ქიმიკოსი პროფესორ-მასწავლებლები მორიგობდნენ). ხელფასი თვეში 12 დოლარი იყო. ამგვარად, პროფესორის დღიური ანაზღაურება დაახლოებით 130-ჯერ ნაკლები იყო ღამის დარაჯის დღიურ ანაზღაურებაზე! ზოგჯერ ვცდილობ სხვა ქვეყნების უნივერსიტეტების ისტორიულ სვე-ბედში მოვიძიო ანალოგები და არცთუ უშედეგოდ. სამიოდე ფაქტს შეგახსენებთ.

1815 წელს პავის უნივერსიტეტს ეწვია იმპერატორი ფრანც I და თავის გამოსვლაში შემდეგი სიტყვებით მიმართა პროფესორს: „ბატონებო, მე სრულიად არ ვსაჭიროებ მწერლებსა და მეცნიერებს, აღმიზარდეთ ერთგული ქვეშევრდომები!“

... ცხადია, „ჩარეცხილების“ ნაცვლად „ბატონობით“ მიმართვა იმპერატორის თავაზიანობაზე მეტყველებს...

\*\*\*  
1936 წელს ესპანეთში – სამოქალაქო ომის მიქნევარების პერიოდში – სალამანკას უნივერსიტეტს ნაციონალები და მათი სარდალი – გენერალი მილანა ასტრა ეწვივნენ. გენერალმა ამაზრზენი და ძალიან აგრესიული (ფრომის ტერმინოლოგიით – „ნეკროფილური“) სიტყვა წარმოთქვა, რომელიც დაასრულა შეძახილით – „გაუმარჯოს სიკვდილს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონოდებასა და დევიზს – „ყველანი ციხეში“ – ბევრი საერთო აქვს, განსხვავებაც არსებობს – გენერალი მილანა ასტრა ბრძოლებში გამობრძმედილი სარდალი და უმამაცესი მეომარი იყო. ...  
სალამანკას უნივერსიტეტის რექტორმა, დიდმა ესპანელმა ფილოსოფოსმა და მწერალმა მიგელ დე უნამუნომ საპასუხოდ გამოსვლაში ბრძანა: „ჩვენ ტაძარში ვიმყოფებით. ეს გონების ტაძარია და მე მისი უმაღლესი ქურუმი გახლავართ. თქვენ ნაბილწეთ ეს წმინდა საფანე. თქვენ გაიმარჯვებთ, რამეთუ თქვენს მხარეზეა უხეში ძალა და დაუნდობლობა. მაგრამ თქვენ ვერ შეძლებთ თქვენს რწმენაზე ჩვენს მოქცევას, რადგან, რომ მოაქციო ადამიანი, აუცილებელია ის დაარწმუნო, ხოლო რომ დაარწმუნო, უნდა გქონდეთ ის, რაც თქვენ არ გააჩნიათ: გონება და ბრძოლის მორალური უფლება. მე არ მოგიწოდებთ, რომ იფიქროთ ესპანეთზე – ვთვლი, რომ ეს უაზრობაა. სათქმელი აღარაფერი მაქვს.“

...ბედნიერია ქვეყანა, სადაც რექტორი ასეთი ბრძენკაცი, გულანთებული მამულიშვილი და მამაცი ადამიანია. ერთ დროს

ქართველებიც ვამაყობდით ჩვენი ბრწყინვალე რექტორებით: ივანე ჯავახიშვილით, პეტრე მელიქიშვილით, ნიკო კეცხოველით...

\*\*\*  
გერმანიაში ნაციონალ-სოციალისტების ზეობისას უმაღლესი განათლების მინისტრი რუსტი ენვია გეტინგენის უნივერსიტეტს. ვიზიტისას ის დევიდ ჰილბერტს შეეკითხა: – „მართალია, ბატონო პროფესორო, რომ ებრაელი პროფესორების დათხოვნის შედეგად უნივერსიტეტი ძალიან დაზარალდა?“ ჰილბერტმა მოკლედ უპასუხა: – „დაზარალდა?!“ რას ბრძანებთ, ბატონო მინისტრო! უნივერსიტეტი აღარ არსებობს!“  
ვინ იცის, რამდენი ჩვენი „ჩარეცხილი“ პროფესორი მოაწერს ამ სიტყვებს ხელს; ზოგი ვერც მოაწერს – ისინი რეფორმამ შეინირა...  
\*\*\*

ამგვარად, შავი დღეები მხოლოდ ჩვენს უნივერსიტეტს არ ახსოვს. როგორც ჩანს, უნივერსიტეტებმა ვერ გავითავისეთ კანტის მონოდება – „იქონიეთ საკუთარი გონების გამოყენების სიმამაცე!“ ამასთანავე უნივერსიტეტის შავედობის ერთ-ერთი მიზეზი თეოდორ დრაიზერის სიტყვებითაც აიხსნება: „განუზომელია სიმდაბლის ის სიღრმე, სადამდეც რეგენი შეიძლება ჩაეშვას.“

P.S. ოთარ ჩხეიძის ბოლო რომანში „ლაზერო“, მწარედ მომხვდა გულზე ერთი წინადადება: „არც რო სტუდენტებს არ უნდოდათ სწავლა, არც ლექციები არ ენებათ პროფესორებსა.“

**მიხეილ გვერდნითელი**



# რა ხდება საქართველოს ფსიქიატრიულ ჩისუბლიკაში?

## ქვეყანა შიზოფრენიის ზღვარზე

ვახტანგ ხარჩილაძე

ამას წინათ ერთ პოლიტიკურ თოქშოუს ვუყურებ ერთ ქართულ ტელეარხზე.

იმდენი ფსიქიკურად გაუნონასწორებელი ადამიანი ვნახე გადაცემაში, სიმართლე გითხრათ, შემეშინდა.

დანამდვილებით რომ არ მცოდნოდა, გადაცემა ტელესტუდიაში მიდიოდა, შეიძლება მეფიქრა, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვიყავი და უკიდურესად ალგზნებული ადამიანების ჩხუბსა და კამათს ვუყურებდი.

გადაცემის წამყვანზე გაგზარაზდი: – რა არის ეს? სპეციალურად მოიყვანა ამდენი ნერვებადჭიმული და ფსიქიკური აშლილობის ზღვარზე მყოფი ადამიანი, რომ ერთმანეთს მიუსიოს და სეირისთვის გვაყურებინოს, თუ რა ხდება-მეთქი?

თუმცა გადაცემის წამყვანს რა უნდა ექნა, ჯანმრთელობის ცნობას ხომ ვერ მოსთხოვდა მონაწილეებს?

წამყვანი აბოპოქრებულ აუდიტორიას ვერ ამოშინებდა, თუმცა არც მონვეული სტუმრების დაწყნარება იყო ადვილი, რომლებიც თავიანთი აგრესიულობით აუდიტორიას არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.

თუ დააკვირდებით, ქართულ ტელეარხებს რამდენიმე აშკარად შიზოიდური სუბიექტი ჰყავთ ამოჩემებული, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ აქტიურ მხარდამჭერებად მოიაზრებიან.

ამ შიზოიდურ ტიპებზე დიდი ტაციოაბაა ხან ერთი ტელევიზია მიათრევს თავის გადაცემაში, ხან – მეორე...

გადაცემის ავტორთა მიზანი მარტივია – ამგვარი გაუნონასწორებელი ადამიანების მონაწილეობა იმის გარანტიას, რომ გადაცემაში აუცილებლად იქნება დაპირისპირება, კონფლიქტი, აგრესიული გამოხტომები, თვალების ქაჩვა, ხელების შლა, გამიშივი და გამაკავე, ეს კი გადაცემის რეიტინგს მაღლა აწევს ხოლმე. ანუ, რაც მეტი აყალ-მაყალი და გნისაია ამა თუ იმ თოქშოუსში, მით უფრო მაღალ რეიტინგულია იგი.

ასეთია კრიტიკიზმი, რომლითაც დღეს სატელევიზიო გადაცემების რეიტინგი იზომება.

... იმ ავადსახსენებელ საღამოსაც, იმ ავადსახსენებელი თოქშოუს ჩამთავრების შემდეგ, ერთ-ერთმა სტუმარმა გულწრფელად შეაქო გადაცემის წამყვანი – როგორი ცოცხალი და დინამიკური გადაცემა გამოგივიდა... ყოჩაღ, შენო!

არადა, როგორც გითხარით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მეგონა თავი, ამ გადაცემას რომ ვუყურებდი.

იქნებ მართლაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ვართ და ვერ ვხვდებით? საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკაო, – თქვა ზაზა შათირიშვილმა ერთ ინტერვიუში და, ვფიქრობ, ძალიან საგულისხმო და საგანგაშო რამ ითქვა ამ ფრაზით.

ხომ არ გგონიათ, ზემოთ ნახსენები ის თოქშოუ ერთადერთი ან იშვიათი გამონაკლისია ქართულ ტელევიზორებში?

არა, როგორ გეკადრებათ, თითქმის ყოველი თოქშოუ, რაც კი ქართულ ტელევიზორებზე გადის, ტყუპისცალეებით ჰგავს ერთმანეთს.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ვიღაცას ძალიან უნდა, მთელი ქვეყანა გადაგიყვანოს ჭკუიდან და პირდაპირ ღია ეთერში დავეროთ ერთმანეთს, მერე კი ეს აგრესია „გარეთ“, რეალურ ცხოვრებაში გადავიტანოთ და ეკრანზე დანყებული ომი იქ გავაგრძელოთ.

\*\*\*

იაპონელი მეცნიერების მტკიცებით, 21-ე საუკუნეში კიბო დამარცხდება, მაგრამ 21-ე საუკუნე მასობრივი შიზოფრენიის საუკუნე იქნება.

საუკუნის პირველი ათწლეულის მიხედვით თუ ვიმჯჯვლებოთ, იაპონელები არ ცდებიან.

სულ რაღაც 13 წელი გავიდა 21-ე საუკუნის დაწყებიდან, მაგრამ უკვე იმდენი საშინელება ჩადენილი, იმდენი სისხლია დაღვრილი, ორ საუკუნეს ეყოფა ცოდვად.

მხოლოდ შიზოფრენიით დაავადებულებს, სადისტებს და მანიაკებს შეეძლოთ გაეკეთებინათ ის, რაც ამ 13 წლის განმავლობაში ხდებოდა – დახოცილია ასიათასობით ბავშვი, მოხუცი, ქალი და, რაც ყველაზე ამაზრუნია, ეს ყველაფერი დემოკრატიის და ჰუმანური იდეების დამკვიდრების სახელით გაკეთდა.

ჩვენ გვაყურებინეს, როგორ ჩამოახრჩვეს ადამიანი, გვაყურებინეს, როგორ გავურჭეს ადამიანს დანა უკანალში და როგორი წამებით მოკლეს.

ეს გაფრთხილება იყო – ვინც მათ არ დაემორჩილება, ყველას ასე დაემართება!

თუ კარგად გააანალიზებ მსოფლიოში მომხდარ ამბებს, დარწმუნდები, რომ მსოფლიოს მართვის სათავეებთან შეშლილები, მკვლელები და მანიაკები დგანან.

ის, რაც საქართველოში მოხდა 2003-2012 წლებში, „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის დროს, როგორც ჩანს, მხოლოდ ადგილობრივი ხელი-სუფლების გაუკუღმართებული, ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი არ იყო.

როცა საშინელი საიდუმლოება ბოლომდე გაცხადდა როგორც ჩვენთვის, ასევე ე.წ. საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობისთვის, გვეგონა, ეს თანამეგობრობა უკიდურესად აღშფოთდებოდა და დამნაშავეების დასჯის მოთხოვნას შეუერთდებოდა, ამის სანაცვლოდ კი დამნაშავეებთან კოჰაბიტაცია შემოგვთავაზეს და დღემდე იძულებულს გვხდინა, ამ რეჟიმში ვიცხოვროთ.

კოჰაბიტაცია – აი, ეს იყო ყველაზე დიდი ცოცხის ტარი, რაც ამათ ქვეყანას უკანალში გაურჭეს.

ჩვენს გულუბრყვილობასაც ხომ საზღვარი არა აქვს – ვინ უნდა აღშფოთებულიყო, ვის რა უნდა გაჰკვირვებოდა, როცა თვითონ მათ გაცილებით უფრო შემზარავი საქმეები აქვთ გაკეთებული.

ის, რაც ერაყში და ლიბიაში დატრიალდა, საქართველოში გაცილებით ადრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოხდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მოკლეს, ქართველს ქართველი ახოცინეს და ნახევარი საქართველო საკუთარი ხელით გადაანწვევინეს.

\*\*\*

დაუზუსტებელი ინფორმაციით, საქართველოში 80 000-მდე შიზოფრენიით დაავადებული ადამიანი ცხოვრობს.

ლაპარაკია ავადმყოფობის მძიმე ფორმებით შეპყრობილ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, განკურნებას არ ექვემდებარებიან.

სპეციალისტთა აზრით, ყოველ მეხუთე ადამიანს საქართველოში მეტნაკლები სიმძიმის ფსიქიკური პრობლემები აქვს, თუმცა მათი უმრავლესობა დახმარებისთვის ექიმს არ მიმართავს.

ყოველი მეხუთე კი არა, გასაკვირი ის არის, ის დანარჩენი ოთხი როგორ არის საღ ჭკუაზე?

საერთოდ, როგორ არის საღ გონებაზე ერი, რომელმაც 25 წლის განმავლობაში ამდენი სტრესი, შიში, ტერორი, დამკვირება და შეურაცხყოფა გადაიტანა?

ჩვენ ვცხოვრობთ მუდმივი არასტაბილურობის, მუდმივი უნონადობის მდგომარეობაში, რაც არა მარტო ფიზიკურად, არამედ, პირველ ყოვლისა,

ფსიქიკურად ფიტავს და ანადგურებს ადამიანს.

გასაკვირი და გასაოცარია, რომ ასეთი ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ მყოფი ერი კრიტიკულ სიტუაციებში მაინც ახერხებს წონასწორობის შენარჩუნებას, თუმცა, ფსიქოლოგთა აზრით, დიდხანს ნათმენი წყენა, ბოლმა თუ აგრესია განსაკუთრებით საშიშია. ის შეიძლება ერთმა ნაპერწკალმა მოიყვანოს მოქმედებაში და მაშინ ის ყოვლის დამანგრეველ და ყოვლის წამლექავ ენერგიად გარდაიქმნება.

დაიმახსოვრონ ეს ძველი თუ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლებიც დღესაც ცუდად ელლაბუცებიან ხალხს, ვისაც ისედაც უკიდურესად დაჭიმული აქვს ნივრები და მეტ იმედგაცრუებას და შეურაცხყოფას ვერ მოითმენს.

\*\*\*

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლიდან სულ მალე, ერთ-ერთ გადაცემაში ვრცლად ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ის სერიოზულად არის გატაცებული ფსიქონალიზით და ამ მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობს, ბევრს კითხულობს.

სამწუხაროდ, იმ გადაცემის შემდეგ მას ამ თემაზე საუბარი არ გაუგრძელებია.

როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებმა ურჩიეს, რომ პოლიტიკოსისთვის ფსიქონალიტიკის საკითხებზე სერიოზული მსჯელობა მთლად მიზანშეწონილი არ არის.

არადა, ბიძინა ივანიშვილი ზუსტად იმ თემას შეეხო, რომელიც უაღრესად საჭირო და უაღრესად პრობლემატურია ქართული საზოგადოების განვითარებისთვის.

ივანიშვილის იმ საუბრიდან სხვა მრავალ საინტერესო მოსაზრებათა შორის ერთი ფრაზა დამამახსოვრდა განსაკუთრებით.

– ბავშვი დედამ უნდა აღზარდოს! – თქვა ბატონმა ბიძინამ და მისმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ქირქილი დაიწყეს – ამას რა მიხვედრა უნდა? ბავშვი დედამ რომ უნდა აღზარდოს, ამას რა მეცნიერული დასკვნა სჭირდება?

საქმე ის არის, რომ ამ ერთი შეხედვით ყველას მიერ აღიარებულ ჭეშმარიტებას, დიახაც, რომ კიდევ ერთხელ სჭირდება სათანადო არგუმენტებით განმტკიცება.

უდედოდ (დედები საზღვარგარეთ არიან ნასული საშოვარზე), ბებიების, ბაბუების, ნათესავების, მეზობლების მიერ გაზრდილი მთელი თაობები გვეყავს უკვე, რაც, ადრე თუ გვიან, ბუმერანგით შემოგვიტრიალდება...

\*\*\*

გიჟს მეძახიან ვიღაც-ვიღაცები! – ისე მხიარულად, ისეთი ბედნიერი სახით იტყვის ხოლმე სააკაშვილი, გვეგონება, კომპლიმენტი უთხრესო.

თუ „ფსიხოს“ არ წარადგენ, ისე ავტომანქანის მართვის უფლებას არ მოგცემენ.

რატომ არის სახელმწიფოს მართვა ავტომანქანის მართვაზე უფრო იოლ საქმედ მიჩნეული, რატომ არის, რომ სახელმწიფოს მართვის მსურველებს „ფსიხოს“ არ სთხოვენ, რის შემდეგაც ხელში გიჟი, პარანოიკი, შიზოიდი შეგვრჩება, ხოლო მის მიერ „მართული“ ქვეყანა ხან რას მიხეობს და ხან – რას.

ავადმყოფს რას ვერჩი, რა მისი ბრალია, ავადმყოფად თუ დაიბადა, მე იმ ჭკვიანებისა მიკვირს, გიჟს რომ ჭკვიანისგან ვერ ასხვავებენ და თავიანთ წინამძღოლად ირჩევენ!

მართლა ფსიქიატრიული რესპუბლიკა ვართ თუ რა უბედურება გვჭირს? ■

### „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს, დიდაზულ რიტორს, ჭიშმარიტ მამულიშვილს, ერისკაცს ბატონ თამაზ ნივნიშაძეს

ველოდი და მოვიდა ბრწყინვალე გაზეთი – „ლიტერატურული საქართველო“...

მე, თქვენი გაზეთის მუდმივი (თუ მარადი) მკითხველი, აგერ, უკვე ოთხმოცდასამი წლის, ყოფილი ქუთაისელი, ამჟამად (1967 წლიდან) თბილისელი, მეტყვევებ-ინფინერი დავით რობაქიძე, – სიხარულით გილოცავთ გაზეთის აღდგენას!..

ღმერთმა გააძლიეროს!..

პატივისცემით  
დავით რობაქიძე

### ბიძინა ივანიშვილს

შენ არ გამძიმებს ხასიათი შურიან კაცთა, შენ გაგინყვია მამულისთვის სიმართლის გზები,

ჩვენ გვეუფლება სიხარულის უზადო განცდა, როდესაც შენი სიტყვის ასხმულს ვუსმენთ და ვთბებით.

გვჯერა, ლოცულობს ზეციერი, უფალი ჩვენთვის,

ღმერთმა ინებოს, ვაჟკაცობა გვეხილოს ბევრის,

ამ შემართებას ერთგულებაც თუკი დაერთვის,

ვინამოთ, მართლაც აენცობა ცხოვრება ერის.

დრო ჩამომდგარა გონიერთა ხელმწიფედ ხმობის,

აღდგეს სიმართლე, ქართველების მარად მხლებელი,

ტურფა მამულის ამაყ შეილთა ერთგული ძმობით,

არ გავიკაროთ ცრურწმენების მაძიებელნი... შენ განუქარვე ქართველობას მაშფოთი სული, შენ გაუნოდე მტერ-მოკეთეს კაცურად ხელი!..

დავით რობაქიძე

### შპკითხვაში პრაზიდეტობის კანდიდატას

## ოკი შპკითხვა გავონ დავით ბაქრაძეს

საყოველთაოდ ცნობილია ერთ-ერთი ანომალიური მოვლენის შესახებ ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულიდან;

საქართველოს ყველა დროის უპირველესმა მეცენატმა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა როგორც კი პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა, პრეზიდენტმა მას მყისვე თავისი სათაყვანებელი სამშობლოს მოქალაქეობა ჩამოართვა. აქედან გამომდინარე, საინტერესოა თქვენი პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. როგორ ფიქრობთ, სახელოვანი ქართველი ისტორიკოსი და მწერალი ლევან სანიკიძე ცოცხალი რომ იყოს, მიხეილ სააკაშვილის ამ ქმედებას შეიტანდა თუ არა თავის ცნობილ სირცხვილთა წიგნში, როგორც უდიდეს სირცხვილს ყველა დროის სირცხვილთა შორის?

2. დღევანდელი გადასახედიდან, როცა ზემოხსენებული ქმედებიდან საკმაოდ დროა გასული, თქვენ, როგორც ნაც-მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი, ხომ არ განიცდით სინდისის ქენჯენას ამ უგუნურობის გამო და, თუნდაც დაგვიანებით, ხომ არ აპირებთ ბატონი ბიძინასა და საქართველოს მოქალაქეების წინაშე ბოდიშის მოხდას?

ოთარ კუსიანი  
საჩხერე



### საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს – ბატონ თამაზ ნივნივაძეს

ბატონო თამაზ, ჩვენ, სულიერად მონათესავე რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, ერთნაირი სიხარულით აღვიქვით ამას წინათ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ინიციატივა „საქართველო-აზერბაიჯანის მეგობართა კლუბის“ დაფუძნების შესახებ („ლ. ს.“ 61 (3671), 13 სექტემბერი, 2013 წ.). ვინაიდან ამ საკითხზე ჩვენი შეხედულება იდენტურია, ტექსტსაც ერთობლივი ხელმოწერით გიგზავნით.

ბატონო თამაზ, მეტად საჭირო თემა აღძვრით. შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ძალიან აქტუალურად გვეჩვენება ამ საქმეში ლიტერატორთა და ხელოვანთა ერთობლივი ძალისხმევა. ჩვენს საარსებო სამეზობლო სივრცეში უამრავი პრობლემა დაგროვილი – სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული – რომელთა გადაჭრა გონივრული თანაქმედების გარეშე ყოველად შეუძლებელია.

ჩვენ, დიდი ხანია, მსგავსი სულისკვეთების ორგანიზაციები ჩამოვყალიბებთ და, შეძლებისდაგვარად, ვზრუნავთ ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის გასაფართოებლად. შევექმენით პროექტები: „50 მართალი კავკასიელი“, „კავკასიის ეთნიკური მრავალსახეობის შესანარჩუნებლად“ (საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერთიანი კავკასია“); „ლიტერატურული საქართველო“ (ორ ტომად), „ათას ერთი აზერბაიჯანული ბაიათი“ (კულტურული ცენტრი „ვარლიგი“); „კავკასიური სულიერება“ (პოეზია, ნოველა), საერთაშორისო ლაინერი „ალი და ნინო“ – ახალდაქორწინებულ და ოქრო-ბრილიანტის მექორწინეთათვის საკრუიზო გემი დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ (საქველმოქმედო ფონდი „პალადიუმი“).

„საქართველო-აზერბაიჯანის მეგობართა კლუბის“ დაფუძნება დროულია და, მეტიც, შეიძლება ითქვას, დაგვიანებულიც, ვინაიდან თვით საპარლამენტო მეგობრობის მისიებმაც კი ბევრი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. ამასთან, აზერბაიჯანი საქართველოს ახალმა მთავრობამ მთავარ სტრატეგიულ ქვეყნად აღიარა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად და აქ პრაგმატული საქმიანობის წარუმართავად თვით უმნიშვნელო პრობლემების მოგვარებაც კი ილუზორული გვეჩვენება.

თქვენი მიმართვის მიხედვით, ადრესატები მხოლოდ აზერბაიჯანელი მწერლები არიან, როცა აქ, სამშობლოში, უამრავი ჩვენი თანამემამულე კალმოსანი ვერ გარკვეულა რიგინად საქმის რეალურ ვითარებაში: სად ვიმყოფებით, რომელ საუკუნეში, რომელ გრძედსა და განედში; მათ ჯერ თავიანთი იავარქმნილი სამაჩაბლო და აფხაზეთი არ მოუნახულებიათ და არამკითხველ მოამბესავით, „უკუდო ხარის“ კვალობაზე, ყარაბაღის პრობლემების მოსაგვარებლად გარბიან.

სწორედ ამ კლუბმა უნდა დაუდოს სათავე რეგიონში სტაბილურ, კონსტრუქციულ, ურთიერთხელსაყრელ სამომავლო თანაქმედებებს ორ ქვეყანას – აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის; სწორედ ამ კლუბმა უნდა განავრცოს თავისი მოქმედების არეალი ჩრდილოეთით თუ სამხრეთით მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად. გვნამს, თქვენს ინიციატივას აქტიურად გამოეხმებოდნენ არა მხოლოდ აზერბაიჯანელი მწერლები. გვიგულეთ „საქართველო-აზერბაიჯანის კლუბის“ წევრებად.

ულრმესი პატივისცემით

#### რაფიზ გუმბათი

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე, პოეტი, მთარგმნელი, კულტურულ ცენტრ „ვარლიგის“ დირექტორი

#### გოყოლა ჩეხიანი

ისტორიკოსი, საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ერთიანი კავკასიის“ თავმჯდომარე

#### გულადი ფატალავა (გური ოტოპაია)

პოეტი, მწერალი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი, საქველმოქმედო ფონდ „პალადიუმის“ თავმჯდომარე, ჟურნალ „კირბისის“ (ოქროს საწმისი) მთავარი რედაქტორი

# იშტარას გახსენება



იშტარა რალაცას ყველა, ჩვენ კი გულიანად ვიცინით. ამ დროს მოულოდნელად მოვარდა ჩვენი უბნელი ბუთხუზა (თენგიზ ლობჯანიძე) და შეშფოთებულმა გვამცნო, რომ ორასამდე ვაკელი ამირან დუმბაძის თავკაცობით მოდიოდა ჩვენ „დასალაშქრავად“... სიჩუმე დასადგურდა... ყველა იშტარას მივაჩერდით. მას კი სახეზე მრავლისმეტყველი ღიმილი დასთამაშებს და ხმას არ იღებს:

– რას დადუმებულხარ?... რა გელიძება?... რა ვქნათ? – შევუტიეთ

აქეთ-იქიდან. ერთხანს ასე მდუმარედ იდგა. მერე ხელი აღმართა ალექსანდრე მაკედონე-

ლივით და დინჯად დაიწყო:

– ძმებო სოლოლაკელებო, დიდი ძალა დაძრულა ჩვენ დასარბევად... ჩვენ მათ ამჯერად ვერ გავუმკლავდებით... ხომ გავგივით, „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო“. ამიტომაც ჩვენ პარტიზანულ ომზე უნდა გადავიდეთ. ახლა ყველა ჩვენ ციხეებში, ჩვენ სახლებში დავბინავდეთ... იმედია, შინ არ მოგვეჭრებიან... მოვლენ, შეგვაგინებენ, გულს მოიოხებენ და წავლენ. მერე სად წავვივლენ, ყველას მოუწევს ჩვენ ტერიტორიაზე გამოვლა, დავიჭიროთ და საკადრისი მივაგოთ.

ასეც მოვიქცით... ვაკელები მოსულან, უყვირიათ, უგინებიათ და წასულან. ჩვენი პარტიზანული ბრძოლა კი მეორე დღეს შერიგების დიდი ნადიმით დამთავრდა. თამადა თავად იშტარა იყო და პირველი სადღეგრძელოც ქართული მეგობრობისა დალია.

მართლაც, ქართული მეგობრობა ისეთი თვისება-ფენომენია, რომ გინდა თავი მოიკალი, ვერც ერთ ერში ვერ აღმოაჩენ. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე 50 წელი გავიდა იშტარას გარდაცვალების დღიდან და მისი მეგობრები ყოველწელიწადს, 5 ოქტომბერს, მის საფლავს არ ივინყებენ, ვიდრე ცოცხლები არიან, კვლავაც ავლენ მის საფლავზე, პატივს მიაგებენ და მერე თითო სასამისსაც ასწვენენ მისი სულის მოსახსენიებლად. ეს არის ჭეშმარიტი მეგობრობის იშვიათი ნიმუში. როცა ამ ფაქტის შესახებ რამდენიმე უცხოელმა, კერძოდ, გერმანელმა, გაიგო, მათ განცვიფრებისგან თვალები შუბლზე აუვიდათ და გვითხრეს – თქვენ სხვა, უნიკალური ჯიშის ხალხი ყოფილხართო.

დიახ, ჩვენ ქართველები ვართ, ქართული ჯიშის და გენის მატარებელნი და ვერავითარი ბოროტი ვერ ამოგვიშანთავს ამ ღვთიურ გრძნობას!..

*ლადო ბახტაძე, ჯონი ბარძიმაშვილი, თამაზ გოგინაშვილი, მიხეილ გოცირიძე, მერაბ გაბუნია, თენგიზ მოდებაძე, კორნელი ცეცხლაძე, გურამ სალარაძე, გურამ კაკულია, მერაბ ბერბერაშვილი, ჯემალ ბეჟიტაშვილი, ელიზბარ ჯაველიძე*

## მწერლის მცირე განმარტება

საქართველოს მწერალთა კავშირმა 2012 წელს გამოსცა მწერალთა ცნობარი, რომლის მისაღებად ა.წ. 13 მაისს გამოცხადდა. 2007 წელს გამოცემული ანალოგიური ცნობარისგან განსხვავებით ახალგამოცემულ ცნობარში რატომღაც გამქრალა ჩემი თბილისური მისამართი და დატოვებულია მხოლოდ სოფლის — დოფლისწყაროს რაიონი, ოზაანი, სადაც იშვიათად მიხდება ჩასვლა.

არავინ იცის, ახალი ცნობარი კიდევ როდის გამოვა ან მანამდე რაღა მაცოცხლებს. ამიტომ ჩემთან ადამიანური და ლიტერატურული ჯანსაღი ურთიერთობის მსურველებს მინდა ვაცოდინო — არსად არ გადავსახლებულვარ და კვლავ უცვლელია ჩემი თბილისური ადგილსამყოფელი: დიღმის მასივი, V კვარტალი, V კორპუსი, ბინა 58. ტელეფონი: 252-17-34.

ჯემალ მესრიშვილი



# როგორ არ უნდა იყოს ადაშიანი (ციკლიდან – მისი პნეიმატიკა)

## კოალიცია „ქართული ოცნების“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის და პოლიტიკური უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების საყურადღებოდ!

თუმცა, წინ მიშველაძის წითელ-წითელი აზროვნების „ბრწყინვალე“ ნიმუშები გველოდება:

„დედამინის ერთ მეექვსედზე კარგა ხანია ჩვენ ახლებური, კომუნისტური წესი დავამკვიდრეთ და უკვე თამამად ვლაპარაკობთ საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ-ზნეობრივ ღირსებებზე, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს, ისინი, ვინც ავრორას გემბანიდან ზარბაზნის ცეცხლს უშენდნენ დახვასებულ იმპერიას, ან სმოლნის ტალანებს იცავდნენ შაშხანით, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ სოციალიზმის ვითარებაში ადამიანები სინანულით ილაპარაკებდნენ მექრთამეობის ზრდაზე, მომხვეჭელობის გამოცოცხლებზე, კერძომესაკუთრული ტენდენციების გაძლიერებაზე... სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ფაქტია და ჩვენი, კომუნისტების ერთი ძვირფასი თვისება (აუჰ!-ჯ.დ.) ის გახლავთ, რომ ფაქტების შელამაზება და მიჩუმება არ გვიყვარს (ავოყე!-ჯ.დ.) (გვ. 11).

ბატონო მკითხველო, ნუთუ არ გაინტერესებთ, მაინც, რომელი წელიწადია? იქნებ სტალინის, ან ხრუშჩოვის ეპოქაა? იქნებ მიშველაძე-კომუნისტი ცდება? იქნებ მიაშიტია და ბოლშევიკების ახალთახალი ტყუილების ქარიშხალშია? იქნებ ლენინი სულ ახალი მკვდარია?

არავითარ შემთხვევაში! წიგნი მიშველაძისა, სადაც ზემოთ მოტანილი სწერია, – გამოცემულია 1987 წელს თბილისში და მას მედიდურად აწერია: „სიტყვა და საქმე“. რა თქმა უნდა, მიშველაძის სიტყვაზე და საქმეზე საუბარი აქაც – ჩემს წიგნშიც და იქაც – მის წიგნშიც!

მიშველაძე კი მართალი კაცივით „უბერავს“:

„ჩვენი ბრძოლის (ესე იგი – კომუნისტების ბრძოლის!-ჯ.დ.) მთავარ სამიზნეს ახალი ჯურის ხორცმეტი უნდა წარმოადგენდნენ. თანამედროვე ქაშაღუნებს და ცხვრის ქურქში გახვეულ მგლებს თქვენც არაერთხელ ნაწყდომიხართ (საკუთარ თავზე საუბრობს უბედური!-ჯ.დ.)... ვითარებასთან „შეგუებული“ ზოგი დღევანდელი კარიერისტი-კომბინატორი ოსტაპ ბენდერს და კვაჭი კვაჭანტირაძეს მონაფედაც არ აიყვანდა, თვითონ იატაკქვეშა მილიონერი, თალითი, გაიძვრა (ჩემი შენ გითხარის მღერის მიშველაძე-ჯ.დ.) ტრიბუნისკენ მიძვრება და გულზე ხელის ბრაგუნით პატიოსნებაზე და სინდისზე ლაპარაკობს, ნიანგის ცრემლით ვესება თვალი, როცა სახელმწიფო ქონების დატაცებაზე ჩამოვარდება სიტყვა. იგი თავისი ხელშეშლილი მეგობრის ცხედარსაც სიამოვნებით გადააბიჯებს, რათა პატიოსანი კაცის ილუზია შექმნას და სიმართლის მაძიებელთა თვალი სხვაგან გაიტყუოს. ახალი ტიპის თვალთმაქცები მოძმეთა ძირის გამოთხრით, გულისამრევი თვალში ყურებითა და ხელ-ფეხის მლოკ ფინიასავით ნიადაგ ოთხზე დგომით ისინი თანამედრობების მიღებასაც კი აღწევენ, კანში ძვრებიან, რომ ხელმძღვანელთა „ნდობა გაამართლონ“. გაივლის ცოტა ხანი და წამით მოაშორებენ რა ობიექტურ მზერას ისე ღონივრად მიითლიან თავისკენ, რომ მათი უნაპირო მადისა, თვით სამძებრო ორგანოებსაც უკვირთ“ (გვ. 115-116).

მიშველაძე ვერასოდეს ამჩნევს, რომ მუდამ საკუთარ პორტრეტს ხატავს. ამაზე იტყვიან – ღმერთი ალაპარაკებსო. ეპევი! – მესმის მკითხველის ძახილი. მესმის და ვიცო! უკვე მივხვდი, რომ საკმარისია მიშველაძის წიგნებიდან მო-

ტანილი ნაწყვეტები, სადაც ლენინზე, სოციალისტურ რეალიზმზე, კომუნისტურ პარტიაზე, საბჭოთა ადამიანებზე, პროლეტარიატის დიქტატურაზე, კოლექტივიზაციაზე, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტზე და ნათელ მომავალზე, – კომუნისმზე საუბარი.

მკითხველი იმასაც მიიხვდა, რომ ყოველივე, რაც კი წარმოგიდგინეთ, ერთგვარი ფაქტ-მტკიცებულებანია მიშველაძის კომუნისტობაზე და სოცრეალიზმის პირმშობაზე!

უკვე დავამტკიცე, რომ მიშველაძე 1988 წლამდე და მერეც ამ ჭკუაზე გახლდათ და გახლავთ, თუმცა იგი, უფრო მოგვიანებით, ფერს იცვლის და თავის ეროვნულობაზე მეტყველებს! ეროვნულ ბარიკადებზე ვიდექი ზვიად გამსახურდიას გვერდითო...

1997 წლის მაისში, გაზეთ „საქართველოში“ ( 50) გამოქვეყნებულ დღიურში კი, აი, რა ამოღებდა:

„მსოფლიოში არ არსებობს კომუნისტურზე უფრო დანაშაულებრივი პარტია“.

აბა, მამ რა გეგონათ, ბატონებო!

როგორც ვხედავთ, თვითონ რევაზ მიშველაძე, რომელიც მუდამ პირველი კომუნისტი გახლდათ და იბრძოდა კიდეც მის რიგებში, პირდაპირ აცხადებს: კომპარტია დანაშაულებრივი პარტიააო! მაშასადამე, რეზო მიშველაძეც, საპატიო და ერთ-ერთი ნამყვანი წევრი კომპარტიისა, დამნაშავე ყოფილა!

და არავინ გამოჩნდა მისთვის პირში ეთქვა ყოველივე, რადგან სამწუხაროს, ირგვლივ, თითქმის ყველა, ყოფილი კომუნისტი გახლავთ! სულ რამდენიმე კაცს ამოვლებოდა ხმა, თუმცა...

ამ ახალგაზრდა ჟურნალისტებს, ვინც მიშველაძე კინაღამ თავგადაკლულ ეროვნულ მოღვაწედ აქციეს, რა დამართათ? ვთქვათ, – მათ არ იცოდნენ მიშველაძის წარსული... კი, მაგრამ, „ლიტერატურულ საქართველოში“ რომ წერილების სერიებს ვებჭდავდი, – მიშველაძე ასეთი და ისეთია-მეთქი, იმის შემდგომ რაღა ემართებათ? გაიხედავ, გამოიხედავ და ხან რომელ გაზეთშია მინვეული და ხან რომელ ტელევიზიაში!

ოხვრა-კვენისით, ნამდვილი მამულიშვილივით დარდობს საქართველოს ბედობაზე, განსჯის და ყაყანებს უსასრულოდ...

მიშველაძე, ცოტა მოგვიანებით, როგორც ქვეწარმავალი, მაინც გრძობს ამინდის ცვალებადობას. კომუნისტების დასასრული მოქანება და მისთვის კეხის შებრუნების ხანა დგება! მიშველაძე, ხრიკებში, პაპანაქებაში, სიცხით ან თებულ ქვეშა შორის მოქცეული გველივით სხმარტალებს და ტყავს იცვლის... მკითხველიც, მოწუხებულივით ჩერდება მის სახეცვლილებებზე, ტვინისცვლილებაზე, გონების შერყევაზე...

სდექ! ფრთხილად! აქ გველის პერანგია და წინ ისევე ქვეშუდანი! ტყავი კი... მას სხვა, მაგრამ ზუსტად იმგვარივე საშობის აცვია და გესლიც იგივე დაუდის მტარვალ სხეულში.

კომუნისმით, ლენინით, პარტილეით, საბჭოთა მოქალაქეობით, სოციალისტური რეალიზმით, პროლეტარიატის დიქტატურით მიშველაძემ უკვე მოიხვეჭა ყოველივე მოსახვეჭელი! კომუნისტებმა ანოვეს ძუძუ, პირში კარგა ხანს ედო თავნითელი... კერტი! დიდ ხანს წოვა უდანაშაულო სისხლში არეული წითელი რძე, ახლა კი სხვა ქარი ამოქორობებულა და მან ფერი უნდა იცვალოს. საკუთარი და საბჭოთა სამშობლოს უშიშროებისთვის შემდგომშიც უნდა იმუშაოს! ამიტომაც...

ეროვნულობა უნდა დაიჩემოს! აქაც პირველ რიგში უნდა ჩადგეს როგორმე! ანუ საკუთარ მოშობლებს დედა უნდა აგინოს (ჩემი დედაო! – უნდა იქექოს!). მისი სულიერი მამა ხომ სოც-რეალიზმი იყო? ახლა, ხორციელი მამა უნდა იმოვნოს, უნდა იპოვნოს და ბნელი საქმეები აჭახრაკოს, ვინ იცის, სამარქაფოდ, უკან სავალი ბილიკები უნდა შემოიტოვოს! ახალი სახელი, ახალი ჯილდოები, ახალი ტიტულები და ძველი ფული უნდა მოიხვეჭოს!

და მიშველაძეც, – ეს მხოლოდ უფიცი, უნიჭო და ვაი-ჟურნალისტების (ზოგიერთის გამოკლებით!) მიერ შეთითხნილი მწერლუკა, კვლავ აღორძინების ფაზაშია!

ხომ არ გადავხედოთ ჟურნალისტთა ხობებსაც, ავლენილს რეზო მიშველაძისადმი? კი. სირცხვილით დაინგებით, მაგრამ, სხვის სირცხვილს ნუ გაიკარებთ ახლოს!

აბა, ჰე!

„სახელოვან ქართველ მწერალს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს, საქართველოს მწერალთა დარბაზის თავმჯდომარეს, საქართველოს პარლამენტის წევრს რევაზ მიშველაძეს ჩვენი კორესპონდენტი ეწვია. მწერალს დაბადების დღე მიულოცა და ესაუბრა მას!“

ვეჟო! ვინ და საიდან ბლავის? ვისი კორესპონდენტია, რევაზ მიშველაძე, – „სახელოვან მწერალს“ რომ ეწვია?

არც მეტი, არც ნაკლები, ამას ღრილებს გაზეთი „პეგასი“, რომელსაც თურმე, საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია უშვებს და „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდი“-ის მაგიერ მსოფლიოს მოუწოდებს: „მშენიერება გადაარჩენს კაცობრიობას“-ო.

აბა, ვეჟო, თქვენ რას ელოდით? საქართველოს გადარჩენაზე კი არ ფიქრობს – კაცობრიობა აინტერესებს გაზეთ „პეგასს“ (49, 2002 წ. იანვარი), რომელიც, თურმე, 1990 წლიდან გამოდის. მთავარი რედაქტორი ყოფილა ნინო ბაშალიშვილი და რევაზ მიშველაძესთან მან გაგზავნა კორესპონდენტი ნინო (არც ნანა, არც ნინო, არც ნინუცა, არც ნუნუ!)... დაიხ! არც მეტი, არც ნაკლები, ნინი დემურიშვილი, რომელიც პირდაპირ და აღტაცებით (ჰაი, ჰაი და, ხბოს აღტაცება-აკუნტრუმებაც შეიძლება წარმოვიდგინოთ!) პირველ კითხვას თითქმის სიმღერით ამოთქვამს:

„ბატონო რევაზ! გილოცავთ დაბადების დღეს. თქვენ საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებით, – გულწრფელად მიხარია... თქვენ წლების განმავლობაში საქართველოს კულტურის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი ბრძანდებით და, ბუნებრივია, ჩვენი სიხარული ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომ გხვდებით, ეს ფაქტი, ჩვენს გამარჯვებადაც მიგვაჩნია. ნება მოგვეცით, დაგვიანებით მოგილოცოთ!“

და ულოცავენ! და, მართლაც პოეტივით, მწერალივით სივრცეს მაყურებელი (ფოტოა ასეთი „პეგასში“), რეზო მიშველაძე, გამაღლობო, – უბნობს!

შემდგომ კი კეკელუცა კითხვებია:

„– როგორ ფიქრობთ, ეშველება ხელოვანთა სატკივარს?“

„– მაშატივთ ჩემი სკეპტიციზმი, ხელოვანთა არმია ლამის მიეჩვია ტყუილებს ხელისუფლებისგან. გვახსოვს დიდი ხმაურით შექმნილი – „კულტურის გადამრჩენი კომიტეტი“...“

„– როგორც ვხედავ, ამ ისტორიულმა მოსახვეჭმა არ დაისაჭიროვა (ყოჩაღ ნინი, მშენიერი მიგნება – „დაისაჭიროვა“-ჯ.დ.) მხატვრულად მოაზროვნე

### ჯეშალ დავლიანიძე

პიროვნება. რა ვქნათ (ნინიც ხელოვანია, თავის თავზეც საუბრობს, ისე კი არ არის საქმე, ძმაო!-ჯ.დ.), დავდოთ კალამი და ყალამი?“

მიშველაძე ცქაფად პასუხობს:

„– არამც და არამც!“

– ხელოვანისადმი აგდებული დამოკიდებულება, თვით ხელოვანთა ბრალიცაა. არსებობს ყველაფერზე კვირის დამკვირველი ე.წ. ელტარული ხელოვანთა ჯგუფი“.

აქ, მეგობრებო, ნინი დემურიშვილი არ იცის, რომ მიშველაძე საკუთარ თავზე საუბრობს!

ოოო! მიშველაძეს მართლაც ღმერთი ალაპარაკებს და აღსარებას ისე ათქმევინებს, ამ უბედურის დღისამ, არასოდესაც კი არ იცის!

აბა, ჰე! ისევ ნინის კითხვა:

„– ეს ყველაფერი კარგი, ბატონო რევაზ, მაგრამ იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, რისთვის იბრძვით პარლამენტში?“

ნინის მიერ დასმულ რიტორიკულ კითხვას, რაღა თქმა უნდა, აცეტებით პასუხობს მიშველაძე!

მართლაც, არ გაინტერესებთ ეს ლენინელი და კომუნისტი, წითელი პროფესორი რისთვის იბრძვის პარლამენტში 2002 წელს?

აი, მიშველაძის პასუხები:

„– უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ტყეშმარტი დამოუკიდებლობისა და გათავისუფლებისათვის. ვიბრძობ იმისთვის, რათა: 1. საქართველო გამოვიდეს ესენგედან. 2. რუსის ჯარი საბოლოოდ გავიდეს საქართველოდან. 3. დაუყოვნებლივ დავიბრუნოთ წართმეული ტერიტორიები. 4. სრულყოფილ იქნას ჩვენი ნახევარკონსტიტუცია, ჩვენი მოედლო პარლამენტარები მიერ რუსის შიშით განახევრებული. 5. საქართველო გადაკეთდეს ეროვნულ სახელმწიფოდ. 6. სრულყოფილ იქნას საარჩევნო კანონი იმგვარად, რომ რომელიმე პარტიას მოესპოს არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა. 7. სახელმწიფომ მთელი ძალები გადართოს ეროვნული მრეწველობის და ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. 8. დაუყოვნებლივ მოწესრიგდეს ენერგოსისტემა. 9. ყურადღება მიექცეს ქართველთა დემოგრაფიას, რაზეც ხელისუფლება კრინტს არ ძრავს, რადგანაც მან უკვე გადააკეთა საქართველო სამარცხვინო ინტერნაციონალურ ლაბორატორიად“.

რაო, ბატონებო, გიკვირთ? თავის ნახელავზე გვესაუბრება! როგორ აძაგებს „ინტერნაციონალურ ლაბორატორიას“, თითქოს მან კი არ იღვანა საამისოდ, არამედ ვილაც სხვამ.

ნინის კითხვა:

„– რა მიზნებს ისახავს თქვენს მიერ დაარსებული მწერალთა დარბაზი? (ანუ მწერალთა კავშირის გამხლეჩი საზოგადოება!-ჯ.დ.)“

### ▶▶ გაგრძელება გვ-6 გვ.





◀◀ გვ-5 გვერდიდან

მიშველადის პასუხი:

„- ეს გახლავთ ახალი ტიპის, ეროვნული მწერლებისგან შემდგარი შემოქმედებითი ასოციაცია, თავისუფალი კომუნისტური კავშირების მემკვიდრეობისაგან. ჩვენ გავთავისუფლდით იმ სახელისუფლებო დიქტატისაგან ათეული წლების განმავლობაში სულს რომ უხუთავდა ხელოვანს“.

P.S.

ევროამერიკელები ტოლერანტობას გვიწუნებენ და ღია ჭრილობაში მარტო გვყარავენ! ნაციონალი ფაშისტები გვამუნათებენ, რომ შეუწყნარებლები ვართ მართლმადიდებლები! მუსულმან ძმებსაც კი არ ვინდობთ თურმე! გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი სატიკვარი გაცილებით მეტად ანუხებთ! საქართველოს რამდენიმე სოფელში სარწმუნოებრივი გაუგებრობა, შეხლა-შემოხლა მოაწყვეს. შინააშლილობას უდებენ სათავეს. ლაპარაკი იმაზე კი არ არის - რამ აიძულა ქართველი სხვათა რჯულზე მოქცეულიყო, არამედ - მინარეთების აღმართვაზე და მუსულმანთა უფლებათა დაცვაზე ავირილ-გნისას!

გასაოცარია, მაგრამ მიშველადეს, მართლმადიდებლობის სანინაალმდეგოდ, ათეული წლების წინ, სპეცსამსახურების დავალებით, მუყაითად უმუშავებია!

აჰა, ფაქტიც:

საქართველოს „გერბზეც მკაფიოდ გამოხატული თვალსაზრისი მაქვს. მსოფლიოში ოცი მილიონი ქართველია, ამათგან თექვსმეტი მილიონი მაჰმადიანია და მხოლოდ ოთხი მილიონია ქრისტიანი. ამას მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, როგორც ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და საზოგადოება „თვისტომის“ პრეზიდენტი. ჩემთვის გაუგებარია გერბზე (აქ საუბარია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დადგენილ გერბზე!-ჯ.დ.) მხოლოდ წმინდა გიორგი, ანუ მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლიკა. ჩემმა მაჰმადიანმა ძმამ რა დააშავა? მიმაჩნია, რომ ერის გამთლიანებას არსებული გერბი ხელს უშლის“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 32, 1996 წ.).

ბატონებო, ეს მკრეხელური აზრები მიშველადემ 1996 წელს გაახმოვანა. სწორედ იმ დროს, როცა სააკაშვილის ე.წ. რეფორმატორები გამალებულად ემზადებოდნენ ხელისუფლების მისაბატონებლად!

გამარჯვებს თუ არა, მსწრაფლ შეცვალეს გერბიც, დროშაც და ჰიმნიც!

სხვათა შორის, იმავე ინტერვიუში, ზემოთ რომ მოგახსენებთ, მიშველადე ჰიმნის შესახებაც ამბობს:

ჰიმნში „ლექსიც არ მომწონს. ქართულში კარგი სიტყვა გვაქვს ერთი - „დაღვარჭნილი“. აი, ჰიმნის ლექსი სწორედ დაღვარჭნილია. ერთი სიტყვით შესაცვლელია“.

რადგან ნაც-ნაციტარტუტებმა მიშველადეს ყველა ოცნება აუსრულეს, მაშასადამე ხათრიჯამობა ჰქონიათ ერთმანეთში! უფრო მეტიც - მიშველადე, როგორც ფაქტები გვეუბნებიან, ნაცების ერთ-ერთი მთავარი და ფარული იდეოლოგია.

ამკარაა, ქართველთა საქმე უკან-უკან მიდის და მიშველადის კიდევ ერთი უდიდესი სურვილი - ქრისტიანული სიმბოლიკის შეცვლა რომ მოინდომოს მავანმა, სად ვეძებოთ ხსნა და გადარჩენა?

მიშველადემ, ბოლოს და ბოლოს, ხომ დანერგა ქრისტიან მონაშთა შეურაცხმყოფელი ბოძვა, რომელსაც სათაურად „თავების ჭრა ძნელი საქმეა“ უწოდა?

თუმცა, ამ უმძიმესი, გამოუსწორებელი ცოდვის შესახებ, მიშველადემ რომ ჩაიღინა, შემდგომ და სპეციალურად მოგახსენებთ!

▶▶ გაგრძელება შემდეგ ნომერში

ციკლიდან:

# ნუთისოფლისა, ანუ შუბლით დანახული აზრები

## (ლიტერატურული გამოსმაურება ბატონ თამაზ ნივნივადის წერილზე)

უბირველეს ყოვლისა: მოგესალმებით, ბატონო თამაზ! მოგესალმებით, ჩემო მეგობრებო! თქვენ და სრულიად საქართველოს ვულოცავ საქართველოს ეროვნული აკადემიის შექმნას და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ჩვეული ფორმატით განახლებას.

\*\*\*

მოხდა ისე, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ 6 სექტემბრის ნომერი ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს 312-ე პალატაში წავიკითხე. რაც ერთი კვირის განმავლობაში ვენაში წამლები შემეყვანეს, ყველამ ძალა დაკარგა, - ერთბაშად გამომაფხიზლა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) თამაზ ნივნივადის წერილმა: „საქართველოში ჭკვიანი ხალხი ლაპარაკობს, საქმეს კი სულელები წყვეტენ“!

მივხვდი, ახლა ისეთი დროა, თუ მართლა სულელი არა ხარ, „ავადმყოფობის დრო“ კი არა, მშვიდად ძილის დრო არ არის! მით უმეტეს, როგორც ავტორი წერს, „როგორც ჩანს, ეს ყველა დროისა და ყველა ქვეყნის სენია.“ სრულიად ვეთანხმები ბატონ თამაზს და, ალბათ, მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა უფრო სწრაფად დააღწიეს თავი ამ სენს და მით უფრო სწრაფად მიაღწიეს ჩვენთვის (იმედია, ჯერჯერობით!) საოცნებო შედეგებს.

ჰოდა, ახლა სახლში სწორედ ლოგინში მწოლიარე ვწერ ამ სტრიქონებს...

ბატონი თამაზ ნივნივადის უმწვავესმა წერილმა იმწუთივე გამახსენა ჩემი მოკრძალებული ჩანაწერი (ციკლიდან: „ნუთისოფლისა, ანუ შუბლით დანახული აზრები“), რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჩემს „ფეისბუქ-გვერდზე“ განვათავსე.

აი, ეს ჩანაწერი:

### ისევ „საშუალო ადამიანის“ შესახებ

რაც დრო გადის (არადა, დიდი ხანია, ბავშვი არ ითქმის ჩემზე), მით უფრო ვრწმუნდები, რომ საზოგადოების განვითარების უმთავრესი პრობლემა საშუალო ადამიანია!

თვითონ საშუალო ადამიანის პრობლემა, რითაც ის საზოგადოების განვითარებას, საზოგადოებრივ პროგრესს უშლის ხელს, თვითმეფასების დაჩლუნგებული (უფრო ზრდილობიანად - დაბალი) უნარია, რის გამოც ისეთ „სიმალღებებს“ ეპოტინება, აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს, გონებრივ (ნებისმიერ!) „ბაგაჟს“...

ასეა ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მაგრამ განსაკუთრებული ლტოლვა ამ ადამიანებს, ჩვენდა (საზოგადოების) სამწუხაროდ და სავალალოდ, საჯარო სამსახურისადმი (თანამდებობისადმი) აქვთ. რამდენადაც მათ, როგორც უკვე ვთქვი, თვითმეფასების უნარი (აქედან გამომდინარე, შესაბამისად, სინდის-ნამუსიც!) ნაკლებად აქვთ, ისინი ყველაფერს აკეთებენ (კადრულობენ!) მიზნის (თანამდებობის!) მისაღწევად. უმეტეს შემთხვევაში (ისევ ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ!) ისინი მიზანს აღწევენ...

მიზანს აღწევენ, რადგან თანამდებობებზე, როგორც წესი (თავიდან ნაკითხე ეს ჩანაწერი), უმეტესწილად სწორედ საშუალო ადამიანები სხედან!..

მინახავს ჭკვიანი კაცი, რომელმაც, რომ დაფიქრდა და გააანალიზა, უარი

თქვა შეთავაზებულ თანამდებობაზე (ან შემდგომ გადადგა), მაგრამ ვერც ერთს დამისახელებთ ასეთს საშუალო ადამიანებს შორის.

\*\*\*

რადგან ამ ჩანაწერს „ისევ საშუალო ადამიანის შესახებ“ ჰქვია, „იძულებული“ ვარ, შედარებით ადრე გაკეთებულ ჩანაწერზე გავაცნოთ (ესეც „ფეისბუქზე“ მაქვს განთავსებული):

### საშუალო ადამიანი

რაც უნდა უცნაური იყოს, საშუალო ადამიანი დაუოკებელი ყინით აკეთებს იმ საქმეს, რომელიც ნაკლებად ესმის ან ნაკლებად ეხერხება, და არა იმას, რაც კარგად იცის. ჩემი აზრით, ამით ის ცდილობს თავისი თავის „სრულფასოვან პიროვნებად“ წარმოჩენას. ძალზე ხშირად ეს ყინი იმდენად ფანატურია, რომ ვერ ამჩნევს კომიზმს საკუთარ საქციელში თუ მისწრაფებაში...

საშუალო ადამიანი-მეთქი! გონიერი, ჭკვიანი ადამიანი, ბუნებრივია, იმ საქმეს ელტვის, რაშიც კარგად ერკვევა და რაც კარგადაც გამოსდის, თუმცა, სხვა ამბავია, გარემოება რამდენად აძლევს ამის შანსს...

უჭკუოს (ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა, მეთქვა: საშუალოზე დაბლა მდგომს!) არასრულფასოვნების განცდა სულაც არ ანუხებს - ის ამაზე საერთოდ არ ფიქრობს და ბედნიერია თავის სისულელეში.

\*\*\*

მესამე ჩანახატი კი ბატონ თამაზ ნივნივადის ზემოთ აღნიშნული უმწვავესი წერილის მიხედვით -

P.S.-ს უკავშირდება - „გადადგომა გიბრძანებია, ბატონო ბიძინა!“..

### გადადგომა

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულია.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების აქტიურ ფაზაშია.

მე გაზეთ „ენგურის ჩირაღდის“ რედაქტორი ვარ.

ამ პერიოდში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტების: ლონდა ხასაიას, ნანი არქანიასა და თქვენი მონა-მორჩილის წერილი -- „ვის უხმობს ზარი“, რომელიც ქართველი მშობლების მიერ თავიანთი შვილების რუსულ სკოლებში შეყვანის მოდურ ტრადიციად დამკვიდრებას ეხებოდა. წერილს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე საოცარი გამოსმაურება მოჰყვა...

ერთხელაც რედაქტორის კაბინეტის კარი გაიღო, ერთი უცნობი ჰალსტუხიანი მამაკაცი და სამი ადგილობრივი ახალგაზრდა შემოვიდა. გაირკვა, რომ მთავაზობდნენ ქალაქში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ პირველადი ორგანიზაციის შექმნას და მის ხელმძღვანელობას.

მე, ჩემი აზრით (!), რეალურად შევაფასე ამ კუთხით ჩვენ ქალაქში არსებული ვითარება, თანამოქალაქეთა ინტელექტუალური შესაძლებლობანიც და ჩვენში პირველადი ორგანიზაციის დაარსების მიზანშეწონილობა. განსაკუთრებული აქცენტი (დანანებით), მწირ ადამიანურ-ინტელექტუალურ რესურსზე გავამახვილე.

- აგერ არა ვართ ჩვენ?! - წამოიქოჩნენ ქალაქში საგანგებოდ ჩამოსულ

## მურად ჭანტურია



სტუმართან ერთად კაბინეტში შემოსული ახალგაზრდები. თითოეულ მათგანს, შეიძლება ითქვას, კარგად ვიცნობდი.

- თქვენ?!.. კი, ბატონო! - დავყაბულდი უცხად. - ოღონდ თითოეულმა თქვენგანმა უნდა მითხრას ილია ჭავჭავაძის თუნდაც მხოლოდ ერთი ნაწარმოების სათაური!

- ხომ გითხარით, ეგ ინტრიგანია-მეთქი! - წამოხტა ერთი და გარეთ გავარდა. დანარჩენი ორიც მას მიჰყვა.

მე მხრების აჩეჩვით შევხედე ჩამოსულ სტუმარ-აქტივისტს, რომელიც დიდი ბოდიშებით გამომემშვიდობა და წავიდა.

მერე მოვლენები ჩემთვის გაუგებარი ლოგიკით წარიმართა. ჩვენმა ნაც-ნობმა „ეროვნულმა მოღვაწეებმა“ ადგილობრივი ხელისუფლება კაბინეტებიდან გარეთ გამოყარეს და შენობაში თვითონ მოკალათდნენ... იძულებული

(გულწრფელად გეუბნებით!) გავხდი, რამდენიმე თანამოაზრე ინტელიგენტთან ერთად დამოუკიდებელ დემუტატობის კანდიდატთა ჯგუფი შექმენა და მაშინ ჩატარებულ პირველ პოსტ-საბჭოთა მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა მიმელო. მოხდა იმ დროის საქართველოში უპრეცედენტო შემთხვევა: „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ კი უკან ჩამოვიტოვეთ და ქალაქის საკრებულოში აბსოლუტური უმრავლესობით გავვდით. რაიონის

პრეფექტურასთან მცირედი (იდეურს ვერ დავარქმევ!) უთანხმოების გამო ქალაქის ხელმძღვანელ მუშაკთა პირველი ვარიანტი ვერ დავამტკიცეთ და სახელდახელო სათადარიგო ვარიანტი დავჯერდით. ამ სათადარიგო ვარიანტში გამარჯვებული უმრავლესობის დაჟინებული მოთხოვნით მე ქალაქის საკრებულოს სპიკერი უნდა ვყოფილიყავი. მართალი გითხრათ, თავიდანვე არ მესიამოვნა ეს იდეა, რადგან ვიფიქრე: ხალხს ეგონება, ეს ამბავი მე ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე კი არ გავაკეთე, არამედ რალაც ადგილს დავხარბდი... საბოლოოდ დავთანხმდი იმ პირობით, რომ საკრებულოსა და გამგეობის რეგლამენტების დამტკიცების, სათანადო სტრუქტურების შექმნა-ჩამოყალიბებისა და კიდევ რამდენიმე აუცილებელი დადგენილების მიღების შემდეგ გადავდგებოდი...

ჰოდა, ჩემი აზრით, „დრო რომ მოვიდა“, გადავდექი!

მართალი გითხრათ, კარგახანს „ვტრახახობდი“: საქართველოში მე ვარ ერთადერთი კაცი, რომელიც რალაცა თანამდებობიდან თავისი ნებით გადადგა-მეთქი!

ალბათ, კიდევ დიდხანს მექნებოდა ეს თემა სალაპარაკოდ, რომ არა ერთი ზუგდიდელი, უფრო ზუსტად, ჭკადუაშელი კაცი - უჯუშ ქითანავა, რომელმაც ამ ამბის მოსმენისას მოულოდნელად მკითხა:

- მურად, თვალეში შემომხედე და კაცურად მითხარი: საკრებულოში ან შენს ქალაქში შენი გადადგომის შემდეგ საქმე უკეთ თუ წავიდაო?

ჩავფიქრდი... თვალეში ჩავხედე და ... უნებურად გავწითლდი!

ჩაიცინა: შენ მხოლოდ შენს თავზე, შენს თავმოყვარეობაზე გიფიქრია, ქალაქზე კი - არაო!


\*\*\*

ეჰ, ჩემო მკითხველო, მე ერთი კაცი წინაშე გავწითლდი. ბატონ ბიძინას კი მთელი საქართველო და ლამის მთელი მსოფლიო შეჰყურებს!

მე დღეს ვნახობ ჩემს „გმირულ“ საქციელს (რა თქმა უნდა, პირადი, არა მერკანტილური მოსაზრებების გამო). ღმერთმა ქნას, არ ვინანოთ ბატონი ბიძინას გადაწყვეტილება! ■



# ჩენარად, ჩარსულა, ჩენარად!



გიორგი აბაშიძე

არ შემოდის, რომ არ გავიხსენო. დავით კლდიაშვილს აქვს მოგონებათა წიგნი ერთ ძალზე საინტერესო ფრაზა. გაბრიელ ეპისკოპოსზე წერს: ეს იყო ბერი, რომელსაც არც ერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებიაო.

როგორი დაკვირვებაა, როგორი ღრმა და საგულისხმო. დავითმა იცის, რომ ეშმაკზე საუბარი თემის გაიოლებას, მთავარი გზიდან გადახვევას, რეალობის უგულვებლყოფას მოახსენავს, ამიტომ აქებს, ამიტომ აფასებს მართლაც დიდ ბერს, სახელოვან გაბრიელ ქიქოძეს.

დიდად სეკულარულ განწყობაზე სულაც არ ვახლავართ, მაგრამ მაინც რატომღაც მახსენდება ესპანელი კინორეჟისორის ხა-

იმე დე არმინიანის ფილმი „ბუდე“, კერძოდ, სცენა, სადაც დონ ალესანდროს, ცოდვილს, ამსოფლიური ცთუნებით ძლეულს, მთელი სულით და გულით გვერდით უდგას მეგობარი მღვდელი, რომელიც მხურვალედ უთანაგრძნობს მოყვასს, რადგან ესმის მისი ვნება, გულისთქმა, ტკივილი.

ჩემი ღრმა რწმენით, მოძღვრისა და სულიერი შვილის ურთიერთობაში უპირობოდ უნდა იყოს აღიარებული რეალობის სუვერენიტეტი, ნამდვილობა უნდა იყოს მათი ურთიერთობის ენა.

დაიხ, ასე მწამს, ასე მჯერა, ასე ვფიქრობ... თეორიულად. მაგრამ არ ვიცი, როგორ არის ან როგორ უნდა იყოს პრაქტიკულად.

## კაცი მოვკალი, მამაო...

სექტემბრის ლოცვასავით მშვიდ საღამოს საქმიანი შეხვედრა მქონდა დანიშნული ერთ მეტად განსწავლულ სასულიერო პირთან, რომელთანაც დიდი ხნის კეთილი ურთიერთობა მაკავშირებდა. ხშირად მივმართავდი ჩემთვის გაუგებარი სასულიერო საკითხების განმარტებისთვის, აღსარებას კი ჩამბარებია მისთვის რამდენჯერმე... გულისხმიერი, დაუზარელი, ბავშვივით სუფთა და მიაბიტი იყო, მასთან საუბარს არაფერი ჯობდა. ამჯერადაც დახმარება ვთხოვე. ბოლო რომანის – მოთხრობის თუ დეტექტივის, არც ვიცი, რა დავარქვა – „ნიკოლოზ პირველის“ წერას ვამთავრებდი. ფინალში, ერთ-ერთი გმირი ევთანაზიის გზით გაუსაძლისი ტკივილისგან, დამამცირებელი არსებობისგან ათავისუფლებს მეგობარს და უნებურად მკვლელი ხდება. შემდეგ კი სასონარკვეთილი, თავგზააბნეული, მოძღვართან მიდის სულის მოსაბრუნებლად.

„არ მინდა რამე შემეშალოს აღსარების რიტუალის, სასულიერო პირის ქცევის ან საუბრის აღწერისას, იქნებ, შევხედო“, – ვთხოვე მოძღვარს, – „გადაცნობთ ჩემს ნაცოდვილარს და სიტყვა შემანიეთ“-მეთქი.

დამთანხმდა, თუ არ მომეჩვენა, გაუხარდა კიდევ.

მის პატარა ოთახში მოვკალათდი. საუბარი მე დავიწყე, დანვრისებით მოვუყევი შინაარსი, დავუხასიათე მოქმედი პირები, კვანძის გახსნისთვის საჭირო ცალკეული ეპიზოდებიც კი არ გამომჩვენია და, როგორც იყო, მივადექი ფინალურ სცენას: ერთმანეთის პირისპირ მოძღვარი და აღსარების სათქმელად მისული კაცი, რომლის ქმედებასაც, როგორი კეთილშობილური მიზნითაც არ უნდა იყოს ჩადენილი, ადამიანის სიკვდილი მოჰყვება. დიალოგის გაშლამდინებში დამეხმარეთ-მეთქი, კიდევ ერთხელ შევახსენე ჩემი სტუმრობის მიზანი. ჩემი მონოლოგის განმავლობაში ხუცესს ხმა არ გაუღია, ერთი კი იყო, უცნაურად იყურებოდა. რამდენჯერმე ისიც კი ვიფიქრე, სადღაც სხვაგან არის-მეთქი. უცებ, თითქოს ცივი წყალი გადაავლესო, გამოფხიზლდა და მკითხა, დეტალოზი ხომ არა გაქვთ თანო. დეტალოზი, რა თქმა უნდა, სრულიად შეგნებულად მქონდა წაღებული, საუბრის დეტალების გადარჩენის მიზნით. პასუხით კმაყოფილმა შემომთავაზა:

– მოდი, ასეთი სცენა გავითამაშოთ, თქვენ – ჯვარი გენიათ – მკვლელი იყავით; მე, ვინც ვარ, ის ვიქნები. ცოცხალი დიალოგი გავმართოთ. თავისუფლად ილაპარაკეთ, არაფერი დამალეთ, მკითხეთ, რაც არ გესმით და გულს გიმძიმებთ. ჩავინეროთ ეს ლაპარაკი, იქნებ, იქ აღმოაჩინოთ, რასაც ეძებთ...

სავარძელში უკვე სხვა კაცი გადმოჯდა, თავი ხელეში ჩარგო და მოიხსინა... სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის მისი ელვისებური გარდასახვა...

ვიჯექი ორმოცდახუთწლიანი სტაჟის მქონე ნამსახიობარი, სახალხო არტისტი, რუსთაველის და კლდიაშვილის პრემიების ლაურეატი და არ ვიცოდი, რა მექნა. გული გამალებით მიცემდა, ხმას ვერ ვიღებდი, პაუზა გაუსაძლისი ხდებოდა...

– ჰმ, მიდით, დაიწყეთ, დაიწყეთ, – შემიძახა მოძღვარმა და მეც ამოვიღულულულე...

– მე, კაცი მოვკალი, მამაო...

– არა, არა, მოითმინეთ! – გამანყვებიანა უკმაყოფილომ. – ცხოვრებაში ასე არ ხდება, პირდაპირ ამით არ დაიწყეთ. მესმის, რომ აფორიაქებული ხართ, მაგრამ, მართლა მკვლელივით ნუ შემომივარდებით. ჯერ სხვა სათქმელი მონახეთ, თუნდაც... თუნდაც მომესალმეთ...

გავიფიქრე, ამ კაცს სტანისლავსკის სისტემაზე ხომ არა აქვს გადაბუღებული-მეთქი და კიდევ უფრო დავიძაბე. მერე მორიდებით დავიწყე:

– გამარჯობა, მამაო...

– გამარჯობა.

ამომხედა. იმდენად ბუნებრივად და შინაურულად, რომ უხერხულობისგან, როგორ ბრძანდებით-მეთქი, ვკითხე.

– ახლა მაგის დროა, ბატონო გოგი?

– ისევ დამინუნა არტისტობა. – ასე არ გამოვა. თუ გიჭირთ, როლები გავცვალოთ... მე ვიქნები მკვლელი და თქვენ... თქვენ – მოძღვარი.

იმ წუთში მკვლელის ტვირთი უფრო მძიმე მეჩვენა და დაუფიქრებლად დავთანხმდი მღვდლობას. მაგრამ შევცდი, ვერა და ვერ შევედი როლში. უცებ გამოვიხმე იმ სასულიერო პირების სახეები, ვისაც შევხვედროდი და ვიცნობდი, მათიც, ვის შესახებაც წამეკითხა და გამეგო სრულიად დაუჯერებელი ამბები. მაგრამ, შენც არ მომიკვდი, ვერც ერთი სახე ვერ გამოვძერწე. ერთი-ორი გავიბრძოლე და ტირან რეჟისორს დამორჩილებული არტისტის ინტონაციით ვუთხარი:

– არა, მამაო, მე ისევ მკვლელის თამაში მიჩვევია, თანაც აქ თქვენი აზრის მოსასმენად მოვედი, ის მაინტერესებს, თქვენ როგორ მოიქცევით, რას მეტყვით მას შემდეგ, რაც ჩემს აღსარებას მოისმენთ, თქვენგან ველი დახმარებას, განმარტებებს, ხსნას...

– კარგი, კიდევ ერთხელ ვცადოთ, მამაო. თავიდან დავიწყეთ. ბატონო გოგი, მე ამ დიალოგისთვის ერთი კვირა ვემზადებოდი, გთხოვთ, თავი ხელში აიყვანოთ.

თან შემომიტირა, თან რაღაც უცნაურად ამათვალ-ჩამათვალეირა. უკან დახევა უკვე მთელი ქართული კინოს, თეატრისა და ტელევიზიის სირცხვილს უდრიდა (ვითომ სირცხვილი აკლდეთ ჩვენს მოღვაწეებს) და მთელი ძალისხმევა მოვიკრიბე: აბა, ახლა შენ იცი, გოგი, და შენმა ნაბადმა-მეთქი, შევუძახე საკუთარ თავს, თანაც ხუცესს დავემუქრე, გულში, რა თქმა უნდა.

და წავიდა...

პანანინა, ნახევრად ჩაბნელებულ მოსახვეწებელში ექსპრომტად დადგმული აღსარების დრამატული სცენა დაახლოებით საათ-ნახევარი გაგრძელდა. ჩემი პარტნიორი, რომელიც საკუთარ თავს თამაშობდა, ვირტუოზულად უმკლავდებოდა ამოცანას. დიალოგის თამაშისას პარტნიორთა ურთიერთობები განსაკუთრებით მგრძობიარე, გამჭოლი და გამჭვირვალეა, განსაკუთრებულ დაძაბულობას და დაკვირვებას მოითხოვს. მთელი „სპექტაკლის“ განმავლობაში ვგრძობდი, როგორ მაკვირდებოდა, მსწავლობდა, როგორ მიიკვლევდა გზას

სადღაც ღრმად დამარხული, მაშინ ჩემთვის უცნობი საიდუმლოსკენ, როგორ ცდილობდა მის გახსნას....

თამაშში ტოლს არ მიდებდა. მოკლედ, ორივემ თავდაუზოგავად ვიმუშავეთ, დავიხარჯეთ, დავინვით და, როგორც იქნა, გავედით ბოლოში.

კარგად ნათამაშევი როლი ისეთ განცდას გიტოვებს, მარტო ის რომ გავიცდას, ვისაც მსგავსი რამ განუცდია... მოძღვარს გავხედე – ასეთი არასოდეს მენახა. ვიფიქრე, ალბათ, საკუთარ თავში აქტიორის აღმოჩენით არის-მეთქი დაბნეულ-ნასიამოვნები, მაგრამ, თურმე, მწარედ შევცდი....

ახლა წავიდეთო, – თითქოს მიბრძანა, თუმცა რაღაც თანადგომის თუ სიბრალულის მსგავსი იგრძნობდა მის ნათქვამში... მორჩილად ავდექი და გავყვი ისე, რომ არ მიკითხავს, სად მივყავდი. კიბე ჩამოვთავავეთ და პირდაპირ ეკლესიისკენ გავემართეთ. პირველი გადავიწერეთ, კარი შევალეთ და ღვთის სახლში შევედით. ვიფიქრე, მძიმე საუბრის შემდეგ სანთლებს დამანთებინებს-მეთქი, მაგრამ მხოლოდ სანთლის დასანთებლად და პირველის გადასანერად არ მივყავდი, თურმე. ეკლესიის მარცხენა კუთხეში, საკურთხეველთან, სახარებაზე და ჯვარზე თავი დამადებინა, ოლარი გადამაფარა და აღსარების ჩაბარება მომთხოვა. ჩადენილი მკვლელივით დავიწყეთო, გასცა ბრძანებასავე... ყურებს არ დაუფხვრე, ხუმრობს-მეთქი, გავიფიქრე და სრულ გაუგებრობაში მოხვედრილმა ნაძალადევი ხუმრობით ვესროლე ოლარის ქვემოდან:

– რა იყო, მამაო, მეორე მოქმედება დაიწყეთ?

– ეს სხვა სიმძიმის ცოდვაა, სხვანაირად სჭირდება ყველა წესის შესრულება. – მივხედი, საქმე არ უნდა ყოფილიყო კარგად.

– რომელი ცოდვა, მამაო? ათი მცნებიდან მხოლოდ ერთს ვარღვევდი, ისიც იმიტომ, რომ სხვა სამყაროში ვცხოვრობდი – ხელოვნება, თეატრი, მსახიობის ცხოვრება... სხვანაირად არ გამოდიოდა... – არ ვცხრებოდი მე.

– კაცი, მეგობარი მე მოვკალი?

– აბა, მე მოვკალი? – ამოვიგმინე ბრალდებისგან გაოგნებულმა.

– კი, მაგრამ მთელი საღამო ამას არ ინანიებდით? ამ ცოდვამ არ დაგაკარგვინათ მოსვენება?

– მე რა შუაში ვარ, მამაო, ეს იმან, ჩემმა, ჩვენმა... – დავაახლოვე ჩემს გაჭირვებას, – ჩვენმა გმირმა, გამოგონილმა კაცმა მოკლა! – ოლარიდან თავი გავითავისუფლე და თვალი გავუხსნო.

– თქვენ არ მოგიკლავთ? ეს ყველაფერი ითამაშეთ? ეს სინანული, ეს ცრემლები ყალბი იყო? თამაში იყო?

– მამაო, დაგავინცდათ, მე მსახიობი ვარ... – ცოტა არ იყოს, მენწყინა და შევიცხადე. – მთელი საუკუნე ვიდექი სცენაზე...

– მსახიობი... მსახიობი... სცენაზე... – ძლივს გასაგონად იმეორებდა ცალკეულ სიტყვას, თან თვალს არ მამორებდა...

– მკვლელიც ვყოფილვარ, იმპერატორიც, უკანასკნელი ბოგანოც და წმინდანიც, ილიაც მითამაშია, ჭაჭაჭაძე...

მისმა უცაბედმა ღიმილმა გამათამაშა და წატრიალდა მომანდობა.

– 70-მდე ცხოვრებით მიცხოვრია, ყველა ეპოქაში და ქვეყანაში... ვის ტყავში აღარ შევმძვრალვარ... შეილიც მომიკლავს, მამაო, ივანე მრისხანეც ვყოფილვარ და შვილების ხელიდანაც მიმიღია სიკვდილი მეფე ლირის თამაშისას....

დიდ ხანს ვცვებოდი, მარტო ჩემს ნათამაშეზე კი არა, ვინ და რა არ გავიხსენე... მოსაყოლს რა გამომიღევს... სიტყვა რა არის, ერთი სიტყვა არ ჩაუდგამს... მსმენელი და მყურებელი აღმოჩნდა, უკეთესს ვერ ინატრებდი. ეკლესიიდან უკვე კარგა შორს ვიყავით, მეორე მონოსპექტაკლი რომ დავასრულე.

– დაგტანჯეთ, მამაო, დამშვიდობების დრო დადგა...

ხმა ისევ არ გაუღია, სადღაც იყო ფიქრებით წასული.

არ ვიცი, პირველად გაიზარა ამ პროფესიის არსი, არ ვიცი, ჩემმა უდანაშაულობამ გაახარა, არ ვიცი, არტისტისგან ცაცუცურაკებამ გაამხიარულა, არ ვიცი, გული დანყდა რამეზე, იქნებ, საკუთარ თავში იმ დღეს პირველად აღმოაჩინა ის, რაზეც არასდროს უფიქრია... არ ვიცი... დაბნეული ვიყავი... ვიცი, რომ არასდროს დამავინცდება მისი სიტყვები:

„არ დამეკარგოთ, ბატონო გოგი, მე თქვენ მჭირდებით... მეც მჭირდება... ჩვენც გვჭირდება...“

„რა“ სჭირდება, აღარ უთქვამს, არ დაუკონკრეტებია, არ დაულოცოვარ, არც დამშვიდობების ტრადიციული რიტუალი ჩაუტარებია, მიბრუნდა და მსუბუქად, კაბის ფრიალით აუყვია მხოლოდ მის ასაველელ აღმართს ...





# მამედ არაზი - 80

მამედ ინფილ-ოლი იბრაჰიმოვი (მამედ არაზი) – პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი; 1957 წლიდან აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის წევრი, კულტურის დამსახურებული მუშაკი (1978), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1984), აზერბაიჯანის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988), აზერბაიჯანის სახალხო პოეტი (1991)...

მამედ არაზი 1933 წლის 14 ოქტომბერს დაიბადა აზერბაიჯანში, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის შაჰბუზის რაიონის სოფელ ნურსში და გარდაიცვალა 2004 წლის 1 დეკემბერს ბაქოში, დაკრძალულია მწერალთა პანთეონში.

მისი ნიგნები გამოცემულია რუსულ, თურქულ, ფრანგულ და ქართულ ენებზე. 1983 წელს ქ. თბილისში გამოცა ნიგნი „ანდერძი“, რომელიც თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა.

მამედ არაზის შემოქმედება უყვარდა და დღესაც უყვარს მთელ აზერბაიჯანელ ხალხს, ამიტომაცაა, რომ წელს მისი დაბადებიდან 80 წლის იუბილე ასე ფართოდ აღინიშნება მის სამშობლოში და არა მარტო იქ...

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ეგიდით გამოცა მამედ არაზის საიუბილეო „80 ლექსი“, რომლის შემდგენელ-რედაქტორია მირზა მამოვი. მამედ არაზის ლექსები თარგმნეს: ზეზვა მედულაშვილმა, ავთო ჩხაიძემ და ალექო გაბელაიამ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ულოცავს მთელ აზერბაიჯანელ ხალხს მისი საყვარელი პოეტის იუბილეს და გთავაზობთ მამედ არაზის რამდენიმე ლექსის ახალ თარგმანს.

\*\*\*

უღრუბლო ზეცაში ცას ცივად შევხედე, იქ – ჩემი ვარსკვლავი უბრალოდ... ანათებს!..

ეს არის დათმობა ბედ-იღბლის მიხედვით და ფრთების მოქნევა – კვილით გავართქი!.. ნუ გამბუტებთ, ვარსკვლავნო, ინამეთ უბრალო სტრიქონი: მომავალს ვჭირდებით და თუ ერთმანეთი დაკარგეთ მინაზე, ვიცი, რომ ზეცაში კვლავ შეგირიგდებით!

## სიცოცხლე

ერთ დღეს, სულ სხვა სიცოცხლეში – ქარიც ბრაზდება და დიდება – სიმაღლიდან ჩამოგაგდებს ძირს!..

მინა, სადაც დადიოდი, როგორც ხატება, თუ ჩაგიკრავს მკერდში, მაშინ... ეს სურვილიც ღირს! საფლავიდან, სადაც ვიშვი... იმ საფლავზეც ქარია, ხევ-ხევ გაფენს... მინდორ-მინდორ მწვანე ბალახსაც და ჩემს მკერდზე ამოფენილ ყვავილს – საფარად ეფერება სხვა გულები... კოცნის გლახვით! ეს ცხოვრებაც ხომ ვალია – მრავალი წელით... რა ცუდია, რომ ცოტას წერ და ბევრს ცოცხლობ შენ!.. მეგობარო, ეს სტრიქონიც... გადაინერე, სიმღერაა უმთავრესი, თქმული – ოხვრაში!

## დამაბრუნე

იამარ ალიევს


გულო, ზღაპარი მომიყვიე, გუშინდელ დღეში დამაბრუნე! მხრებო, არასდროს მოიხრები, გულო, სიცივით განაღდურებ!

სეტყვა – ქვასავით დაცემული, ყინვის კაცებსაც გააბრუნებს. გულო – ტკივილით არსებულო, ჩემს მისამართზე დამაბრუნე!


რა დავკარგე და ნეტავ... რატომ?.. კარებზე ვილაღ აკაკუნებს... გაფრენილ თეთრონს ნულარ აკრთობ – ლაგამი მისი დააბრუნე!

ჩვენს შორის ქარი დანავარდობს – ლექსებს ვერაფერი დაადუმებს!.. სიცოცხლისათვის? – განა მართოდ, აზროვნებისთვის დამაბრუნე!

თარგმნა ავთო ჩხაიძემ



მამედ არაზი MƏMMƏD ARAZ



„80 ლექსი“

## მემობარს – გუდაგ გუდაგოვს

მოგ ზაურო, მეგობარო, გზაკლდოვანო, გზაგრძელო. ჭიუხების არნივი ხარ, გზას მიკვალავ საძნელოს.

ოთხივე ფრთა ამა ქვეყნის გამოღმა თუ გადაღმა მოვივლია, თუმც მრავალგზის დაცემულხარ, ამდგარხარ.

მაინც დაუდგრომელი ხარ, ეპუები არაფერს, მზვობარი ისევ უშხერ მწვერვალებს და ქარაფებს.

ჩანჩქერთაგან გამოვაკულს, გზას გაკვალულს არ კმარობ. კაცი ხარ და ცხოვრების გზაც თავად უნდა გაკვალო.

## ჩემი გზა

გზა გვიდევს ერთი, მგზავნი ვართ მიღეთი. მოჩქარეც, მრავალიც ტაატით მავალი. მრავალს კლავს ნაღველი, კისკასებს მავანი, ვის გრძელი გზა უდევს, ვის მოკლე სავალი.

გზა ხმებით აღსავსე, სიმღერა – მრავალი, ნაკვალ – უღვევი, მსგავსება ადვილი... და ვცდილობ, ამ ხმებში ვიპოვო ჩემი ხმა, სვლის ჩემი მანერა და ჩემი ადგილი.

## მუსა

ჰო, სიყვარულო, ბებერ მუხას ერთი შეხედე, მორჩნი ყლორტნი რომ უღვიან კვლავ ერთობისად. გახსოვს, შარშანწინ ის პირველი ჩვენი შეხვედრა, ჟამი ზაფხულის, ცა ლაჟვარდი – ცა ქველთობისა.

იმ მუხის ძირში ვიდექით და ირგვლივ უღვევი ყვავილებისგან მონაჯუფთი ველთა კაბანი და ჩიტბივით მოფრთხილავ ჩვენი გულების იყო ჟრჟოლა და უცნაური თრთოლა-ბაბანი.

ახლაც დგას მუხა, როგორც ხსოვნა, ხსოვნა სალოსი, ნაცადი მონმე ზაფხულის და ზამთრის ამინდის.

დროს უამრავჯერ შეუცვლია მისთვის სამოსი, ჩვენ კი პირველი სიყვარულის შეგვრჩა ქლამინდი.

თარგმნა ალექო გაბელაიამ

# „სხოვრების ოპი გე არასდროს არ ავიღია ზაიყაუზი“

თითქმის შვიდი ათეული წელია, რაც ჯემალ ჯაყელი, შემოქმედი და მოქალაქე, თანამედროვე ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცა. მისმა საუკეთესო ნაწარმოებებმა საკუთარი ადგილი დაიკავა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

სწორედ ამაზე იყო საუბარი ამ ღვან-ღმოსილი მწერლის დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელიც 25 სექტემბერს გაიმართა ბათუმის ხელოვნების ცენტრში.

საღამოს პენი და ლაზათი შემატეს ბათუმელმა მსახიობებმა, რომლებიც მწერლის საღამოს უძღვებოდნენ.

საღამოზე ნაიკითხეს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მილოცვა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მისალმება, აქვე სამინისტრომ იუბილარს გადასცა დიპლომი. ქართველ მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა, ბატონმა თამაზ ნივნივაძემ შეკრებილ საზოგადოებას ამცნო, რომ ბატონი ჯემალ ჯაყელი არჩეულია საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრად.

ჯემალ ჯაყელს ხელოვნების ცენტრის სცენიდან მიესალმნენ ბატონი თამაზ ნივნივაძე, მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები ელიზბარ ჯაყელიძე და გენო კალანდია, პოეტი ცისანა ანთაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნათია ნიკლაშვილი, პროფესორი შორენა მახაჯაძე, სოფელ კვამტის საშუალო სკოლის დირექტორი ვარდო კონცელაძე... გამომსვლელები ვრცლად, დიდი სიყვარულით საუბრობდნენ ჯემალ ჯაყელზე, მის მრავალწლიან შემოქმედებით და სამეცნიერო მოღვაწეობაზე. საღამოზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბატონი ჯემალის ცხოვრების უმთავრესი მიზანია მისი სათაყვანებელი საქართველოს უანგარო მსახურება, აგრესორთა სამასწლოვანი ბატონობისგან თავდახსნილი აჭარის სულიერი წინსვლა და განვითარება. ამ საშვილიშვილო საქმეს შეაღია ბატონმა ჯემალმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და სიზიფეს ლოდივით უმძიმეს ტვირთს ეზიდება დღესაც უკვე წელთა სიმრავლით გათეთრებული მეციხოვნე სრულიად საქართველოსი.


საიუბილეო საღამოზე დამსწრეთ გააცნეს ჯემალ ჯაყელის შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ცხოვრების ძირითადი ეტაპები. ნაიკითხეს მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

ამაღვლეებელი გახლდათ შვიდი წლის ელისაბედ ტაკიძის – იუბილარის შვილთაშვილის სცენაზე გამოჩენა, რომელმაც თავისი ბაბუის ლექსი ნაიკითხა.

საღამოს დასასრულს ჯემალ ჯაყელმა გულწრფელი მადლობა მოახსენა ორგანიზატორებს, გამომსვლელებს, დამსწრე საზოგადოებას, მისი მრავალწლიანი შრომის მაღალი შეფასებისთვის. ისაუბრა თავის შემოქმედებაზე, განვილილ წლებზე და თქვა, რომ არცერთი დღე არ უცხოვრია მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის ინტერესების გარეშე, რომ მისი ცხოვრება იყო ხან აღმართი, ხან – დაღმართი, მაგრამ ცხოვრების ომში მას არასოდეს აუღია ტაიმაუტი.

შეხვედრის დასასრულს ჯემალ ჯაყელის შემოქმედების შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ გამოჩენილ ქართველ მწერლებს. გთავაზობთ ამონარიდებს მათი გამოხატუებებიდან:

\*\*\*  
ბატონი ელიზბარ ჯაყელიძე: „ჩემი თვალთახედვით, ეროვნული კაცის, ჯემალ ჯაყელის იუბილეს მთელი საქართველო უნდა ზეიმობდეს, არამარტო აჭა-



ჯემალ ჯაყელი-85

რა, რამეთუ ბატონი ჯემალი, დიდი გვაწრის შთამომავალი, დიდი გენის მატარებელი კაცია. მთელი მისი პოეზია სწორედ ერთიანი საქართველოს სიყვარულზე ქადაგებს; მისი პოეზია, უპირველეს ყოვლისა, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის სახეების გაცოცხლებაა.

წარსულის ყველა დიდება დავიწყებულა და ბატონი ჯემალი აცოცხლებს ამ სახეებს. ისე, როგორც ძველი არის სიმბოლო ისტორიასთან კავშირისა, ასეთივე ემოციურია მისი პოეზია, რომელიც ჩვენს წარსულთან და ქართულ სულთან გვაკავშირებს და გვანათესავებს.“

\*\*\*

ბატონი ანზორ კუბა: „ბატონი ჯემალი ჩვენი უფროსი კოლეგაა და ვიტყვი, რომ თუ შეიძლება მწერალი უნივერსალური იყოს, ასეთი ბატონი ჯემალ ჯაყელია: პროზაიკოსი, მეცნიერი, კრიტიკოსი. ყველას თავი დაამახსოვრა თავისი ლექსებით და „შაჰაშანი მუხაჯირით“; უამრავი რომანი აქვს დაწერილი. ის ერთ-ერთი ღირსეული ადამიანია დღეს სრულიად საქართველოში. მე კიდევ ერთხელ მივულოცავ ბატონ ჯემალს – კიდევ მრავალი წელი ეცოცხლოს, ეწეროს და შემოქმედებითი ნვა არ გამოლეოდეს.“

\*\*\*

ბატონი გენო კალანდია: როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ვწერდი, ჯემალ ჯაყელი ნეკურჩხალივით კაცია, აღნაგი და წელგამართული. ის ნამდვილი იუბილარია. ამიტომაც იყო, სულით და გულთა რომ მოვიჩქაროდი აჭარაში თამაზ ნივნივაძესა და ელიზბარ ჯაყელიძესთან ერთად, რათა დაბადების დღე მიმელოცა დიდი ჭაბუა ამირეჯიბის ნათლულისთვის, სრულიად საქართველოს ღირსეული პოეტისა და მამულიშვილისთვის – ბატონ ჯემალ ჯაყელისთვის.

\*\*\*

აქვს გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონ თამაზ ნივნივაძის გამოსვლიდან:

მე დღეს ბათუმში იმისთვის არ ჩამოვსულვარ, თქვენ რომ გითხრათ, თუ რა დიდებული მწერალი და მამულიშვილია ბატონი ჯემალ ჯაყელი – ეს უჩემოდაც კარგად იცით!

მე აქ იმისთვის ჩამოვედი, ჩემი პატივისცემა რომ დავუდასტურო როგორც ჩვენს ძვირფას იუბილარს, ისე, სრულიად აჭარას!

ამასთან, როგორც ახლად არჩეული საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, მე თვითონ შევეცადე, სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული ერთი „ნორმატიული აქტის“ ჩარჩოდან არ გავსულიყავი!

როგორც ვიცით, საქართველოს პრეზიდენტი ბათუმს თანმხლები ქალბატონების გარეშე ჯერ არ სტუმრებია – ეს „საპრეზიდენტო გამოცდილება“ მეც გავიზიარე და სამწერლო დელეგაციაში ლამაზი სქესის ერთი წარმომადგენელიც თან ვიხალცი!..

და, რაკი ეს მშვენიერი ქალბატონი სიტყვით გამოსვლას არ აპირებს, ნება მიბოძეთ, მისი სახელითაც მოგესალმოთ!..

ნატო ივანიანი



**O, FRÄULEIN...**

(ემილის)

ეს ჩემი სისხლი ჩრდილოეთის ოკეანეა,  
ეს გულის ფორმის აისბერგიც ვერ მოვიცილე,  
გენყინათ, ვნანობ, მაგრამ ვაი, რომ გვიანია,  
ო, ფროილან, ნაცნობია თქვენი სიცივე.

მე ის გადმოგდეთ დინებებით ცივი, წყალქვეშა,  
სუსხი ალპების ჩემკენ მოაქვს მშფოთვარე რაინს,  
ო, ყინულების დედოფალო, ტკივილს აკვნესებთ  
თუ ეს ზვირთების ხმაურია, ო, ფროილან?!

მე გადავლახე... პარიზია, ბობოქრობს სენა,  
ბორგავს ტაძარში კვაზიმოდო – ესეც მე ვარ და  
უმანკო სისხლში ჩამეწვეთე უაზრო სენად,  
მე ვარ ის მღვდელიც, რომ გაგწირათ, ო, ესმერალდა!

მიხმობს ბასკეთი, იბერია და პირენეი  
და მეოცნებე სახით ვგავარ მწუხარე რაინდს,  
ანდალუზია – ილუზია დაპირებების,  
რომლებიც ველარ აგისრულეთ, ო, ფროილან.

მაგრამ მე უფრო მაჯადოებს თქვენში სამხრეთი –  
თქვენ ელვარებდით, მე ვდებოდი, მოგვაგვით  
გიჟებს,  
მაგ თვალებიდან მოგზავნილი დამესხა რეტი,  
ო, ფროილან, თქვენ შეშალეთ მბორგავი ნიციში!

მე ახალგაზრდა ვერტერი ვარ, უფრო – ველური,  
მე დაგიბრებთ მყუდროება, ძვირფასო ლოტე,  
ჩემი ფხიზელი სული გიჟურ ვნებებს ვერ უვლის,  
ო, ფროილან, მგონი დროა, მივბაძო ლოთებს.

თუმცა გრძნობები ეხეთქება წყეულ სამკუთხედს,  
სინდისი ჩემი ქართულია უფრორე მაინც,  
გაჰყევით საქმროს, მე უბრალოდ ლექსით  
გაკურთხებთ  
და ყივჩაღს ჩემში თავს გავუპობ, ო, ფროილან!

**მასსოვს ლამაზი გოგო  
სკოლიდან...**

მასსოვს ლამაზი გოგო სკოლიდან,  
ზეიმზე ჩემთან არ სურდა ცეკვა,  
ის წყენა გულთან ხინჯად მოვიდა  
და ხასიათში თანდათან შემყვა.

გოგო უეცრად ჩემს მკლავებს მოწყდა,  
მე კარგად მასსოვს, ღმერთო, ის დილა,  
ზურგი აქცია საკლასო ოთახს  
და ფარდის მიღმა დიდხანს იტირა.

ასე დამფრთხალი მირობდა დროც და  
ველარ თოკავდა გრძნობებს პერანგი,  
ჯიუტად ვსდევდი ლამაზებს როცა  
და ვაცილებდი სახლის კარამდი.

ხოლო ის ხინჯი მზერაში ჩამრჩა,  
ვერ გავაყოლე თვალის მირონსაც.  
ჩემში დათოვლილ ნაადრევ ზამთარს  
ყველა ლამაზი ქალი ტიროდა.

და ციხესავით პირქუში სკოლა  
მდუმარედ წერდა ჩემთვის განაჩენს:  
შენ მარტოობას შეირთავ ცოლად  
და ლამაზ-ლამაზ ლექსებს გააჩენ.

\* \* \*

ვისხედით უხმოდ და სიჩუმეს ვინაწილებდით,  
ჩვენ ორის ნაცვლად ერთადერთი – დუმილი ენთო,  
შენი სუნთქვიდან შევისუნთქე ვიბრაციები  
და მთელი ღამე მოვანდომე დიმიწუნდოს.

თითები ყელში გიკვნესებდა მფეთქავ კაპილარს,  
როგორც კლავიშებს, აწყდებოდა ძარღვებს  
სტაკატო,



**მინდია ცეცხლაძე**

სიცოცხლის წყარო ამღვრეული სისხლი ყოფილა  
და ახლა მინდა მის დინებას (გ)ავყვე, დავხატო

შენი სხეული მხოლოდ კოცნის კარნაციებით,  
რომ ტუჩებიდან მოვიკვნიტო ყველა სიშიშვლე,  
როგორც რევანში, რომ საერთოდ არ მაძინებდი,  
რომ ყველა ხილვა ცხადში იყო – ვერ დაგისიზმრე.

და თითქოს თითებმომწყვედებული ფორტეპიანოს  
ვუკრავ. სიჩუმეს სულს ვუბერავ, რომ სულ  
გადაწვას  
ჩვენს შორის ყველა ბარიერი, რომ დამიაროს  
ვიბრაციებმა წარღვნასავით მოსულ კადანსად.

და თითქოს ვსხედვართ ჩვენთვის, უხმოდ,  
კვლავინდებურად,  
ჩვენ ორის ნაცვლად დუმილია ახლა და აქ და  
შენს ძარღვებს, როგორც ამ თითების  
კლავიატურას,  
სხეულს – ტუჩების სუფთა ტილოს, მინდა  
დავაკვდი.

**არ წვიმდა წუხელ**

და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,  
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.  
ო. ქილაძე

არ წვიმდა წუხელ, ცას გაეხსნა ნაჭრილობევი  
და მთელი ღამე სულ სახეში მცემდა მარილი,  
ველურ მოხეტედ ერთადერთი დავრჩი, რომელიც  
თვითონ გავუვლი ტკივილს, როცა სევდა  
გამივლის.

არ წვიმდა წუხელ, ცას ცრემლებმა სისხლი  
გაუშრეს,  
ნამტირალევი ზეცა ზღვაში კენჭებს ისროდა,  
მეც ღმერთი ციდან გადამისვრის ნისლის აუზში,  
მთის ბილიკივით მისი გზებიც რადგან ვინროა.

არ წვიმდა წუხელ, ცა დაიბნა მარცვლებად  
ბრინჯის,  
რწმენა სიჩუმეს თამაშობდა შიშის ხმაურთან,  
მკვდარი ფიქრები შეგრძნებებმა ძარცვეს,  
დაგლიჯეს,  
ხოლო სიკვდილი სიგიჟესთან მოშინაურდა.

არ წვიმდა წუხელ, ცა დაიმსხვრა, სარქველი  
ბროლის  
გამთენიისას დედამინას ჰქონდა ახილი,  
ჩემი სინდისის ნამსხვრევებმაც არ შემობრალეს –  
მხოლოდით ღმერთთან მრავლობითი ცოდვა  
ამხილეს.

არ წვიმდა წუხელ, სეტყვის ნაცვლად ამ  
ერთადერთხელ  
ძვლები ცვიოდა ბზარებიდან აკლდამის თეთრი,  
და, თუ საკუთარ ნანგრევებში პირქვე დავემხე,  
ძვლებს ძალასავით მოვიკრებ და აღვდგები  
მკვდრეთით.

**INFLUENZA**

მოკლე დღეების ყოველდღიურ, წვრილმან  
საზრუნავს,  
დაძინებამდე სიზმარივით როცა მოვილევთ,  
დარჩენილ სიზმრებს ნამქერივით სისხლი  
აბრუნებს  
და ახდენილი ფანტაზია გვმოსავს თოვლივით.

მერე იღვიძებ შუალამით – ჩემი ზარია,  
გეტირება და ხმანაკლული ცრემლებს ახველებ,  
სიცხემ ძალიან აგინია და მეც ძალიან  
ავადმყოფურად მინდა ვიყო შენი მნახველი.

რომ გამიცვიდი, ვერ გაგიტბო სულმა სხეული,  
იმის ბრალია, რომ შორიდან გეაღერებდი,  
რომ ჩვენ სადგურში განშორებამ დაგვასწეულა,  
რომ ჩვენ კი არა, დედამინას სტკივა რელსები.

ჩემი ბრალია – ჩავიხვიე სისხლში პათოსი  
ძალიან გვიან – არ მომსვლია მაშინვე აზრად,  
რომ ვერ გნახავდი, ალბათ, მერე სუსხით  
გათოშილს  
და ნაადრევი ყვაილივით საშინლად დამზრალს

და ვერ გაგათბე, ვერ მოგხვიე მაგრად ხელები,  
რომ შენს ძარღვებში ჩამექცია ზამთრის მარაგი,  
ჩემკოცნანაკლულ ყელს იხვევ და კანრავ  
ხველებით,  
ბეტონის ძვლებში თებერვალი ამტვრევს  
ქალაქებს.

**ფარდობითობის თეორია**

ფარდობითია ყველაფერი, ჩემო ჯიბრაილ  
(ამ წერილს შენთან გამოვატან მისტერ გალაჰერს).  
მე ჩემს ქალაქში საკუთარ თავს ვერ შევიბრალებ,  
ჩემი ქალაქი ამინდებმა ისე გალახეს.

ფარდობითია სიყვარულის მკაცრი ლოგიკაც,  
გულის სიღრმეში სიამოვნებს თურმე ნუ იტყვი,  
რომც არ უყვარდე, მთელი გულით, მაგრად რომ  
გიყვარს,  
მაინც გიღიმის, თითქოს რაღაც ნორმის  
გულისთვის.

ფარდობითია ქორწინებაც, პროსტიტუციაც  
(თუმცა ბიზნესი არის რისკი – მაინც არ ენდო),  
ზოგს ფიცი მუდამ ერთგულების რომ მიუცია,  
ზოგისთვის უფრო სარფიანი არის არენდა.

ფარდობითია რელიგიაც, ფილოსოფიაც,  
რომ არ ემთხვევა ქადაგებას ქცევა ქადაგის,  
მაგრამ ხანდახან ხდება, ლექსის ბოლო სტროფიდან.  
რაოდენობა თვისებაში როცა გადადის,

მაშინ სიცოცხლე ყველა პრიზმას ისე გიბრმავებს,  
სიკვდილსაც კოცნი, ცივ თვალებს რომ  
შემოგანათებს,  
წერილს გაგატან, გადაეცი მისტერ ჯიბრაილს,  
ფარდობითია ყველაფერი, ჩემო გალაჰერ!

\* \* \*

ჩემი თვალები ხომ უნდა ნახო ერთხელ,  
რუხ სიზმარეთში ამოვლებული, ძილით  
ვერგამაძლარი, ცადარწეული, შეხე,  
მღვრიე ქარების ნაკვალევია, ცივი.

ჩემი თვალები თუ არ გინახავს, ნახე,  
ღამე ცასავით გადანოლილა უკან,  
რძედაქცეული ღრუბლის მრავალი თალით  
მიუკვლეველი სულის შრეების რუკა.

ნახე თვალები, ორი ერთგული ძაღლი,  
გამოგდებული, დანაყრებული ცოფით,  
ქარავანს არა, უყეფს ჯოგსა და ნახირს,  
მიყრუებული, დაყრუებული სოფლის.



# უფუფეპართა ლიბა

ბიორბი ფირსხალაიფილი



ისე მეზარება, დავინყო წერა, რომ ვნატრულობ, ნეტავ, მკვდრებით ან რამე სხვა უფრო სარწმუნო მეთოდით აღსდგებოდეს, ამოპრინტირდებოდეს ვინმე და ჩემ მაგივრად დაწერდეს. არ გამოვიციხავ, მკითხველსაც იგივე სურვილი გაუჩნდეს კითხვასთან მიმართებით, თუმცა, როგორც თავად შეატყობდით, ასეთი არავინ გამოჩნდა. ჩემი კეთილი რჩევაა, ნურც თქვენ გეყენებთ იმედი. ჩემს ქვეყანაში დაიწყო სამსახური ისე, რომ არც ერთი ნათესავ-მეზობელი არ შეაწუხებ და პროტექციონიზმის აქამდე არსებულ უდიდეს და უწყვეტ ტრადიციას შინი მნიშვნელოვანი წვლილი არ შეიტანო, ან ისე, რომ მმართველ პარტიას ეროვნული ადგილები არ დაუპო, თითქმის იმის ტოლფასია, რომ კვერცხი დადო. რა თქმა უნდა, ცოტას ვაზივადებ, სოფეტის შემდგომ განვითარებას უფრო მყარი ჩანასახი და საფუძველი რომ მივცე. აქვე აუცილებლად გამოხატება ვილაც ოპტიმისტი ოხუნჯი და მეტყვის: „თუ გსურს, არაფერია შეუძლებელი!“ აკი თავიდანვე გითხარით, ოხუნჯიამეთქი. ისე, მე თუ მკითხავთ, ოხუნჯი მაინც სევდის ანარეკლია, სოციალური კომპლექსებიდან გადაზრდილი ხელოვნურ იუმორში, და არა ვინმე მხიარული ტიპი, როგორც ზოგიერთს ჰგონია ხოლმე. რომელიმე „წარმატებული“ კომპანიის გაზულუქებული თანამშრომლებიც აუცილებლად დაუკრავენ კვერს, რა თქმა უნდა, თუ მიზანი გაქვს, აუცილებლად მიაღწევ, მთავარი პრობლემა და მონდომებააო. ჯერ ერთი, რატომ უნდა მოვიდომო, რომ სადმე მუშაობა დავინყო, საკუთარი თავი ინერციას დაუქვემდებარო და შრომით მექანიზმად თუ ელემენტად ვიქცე ვილაცის ხელში?! ისიც, იმუშაო მხოლოდ იმისთვის, მიღებული ანაზღაურებით ძალებით რომ მოვიკრიბო, რათა ხვალ დილით მუშაობა ისევ შეგეძლოს. დაისვენო და გამოიძინო იმისთვის, რომ კარგად დადგენილ სამუშაო რუტინას შენი სახით ჭანჭიკი არ მოაკლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაგანაცვლებენ. იქნებ არ მინდა მუშაობა, მე არ მეკითხებით?! მინდა, ვიჯდე კომპიუტერთან და, როცა მომესურვება, ვწერო, შემოვდგე მაგიდაზე და ბროდსკის ლექსები, რაც შეიძლება ხმამაღლა, მეზობლების გასაგონად წავიკითხო. ან სამზარეულო ექსპერიმენტები ჩავატარო და გასტრონომიული ლაბორატორია მოვანყო. ჰოდა, რით ვარ ნაკლები ტელეგადაცემის რომელიმე წამყვანზე ან იუსტიციის სახლის კონსულტანტზე? როგორც ჩარლზ ბუკოვსკი იტყოდა: „მუშაობა ადვილია, უმუშევრობაა ძნელი!“ ვილაც ოხუნჯი ნომერი ორი გამოხატება და ამ ყველაფერს სიზარმაცეს დაარქმევს. უფრო დიდი სიზარმაცე საკუთარი აზროვნების გარკვეული ინსტანციებისთვის – ეკლესიისთვის, მესიისთვის, პოლიტიკოსისთვის – სრული გადაცემაა. 2008 წლის ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ უმუშევრობაზე არანაკლებ საშიში აზროვნების უმუშევრობაა. მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების სამუშაო ადგილები შეზღუდული არ არის, ამ ვაკანტურ ადგილს არც ისე ბევრი მომხმარებელი ჰყავს. თუმცა ვერც იმას ვიტყვით, რომ ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მონარქები, დიქტატორები, თამადები, პაპები, პაპსავიკები და კიდევ არაერთნი არ ცდილობდნენ მათ შეზღუდვას. აკი ვამბობდი, ოხუნჯი ნომერი ორია-მეთქი! საერთოდ, ოხუნჯები ღრმა და ზოგჯერ დეპრესიულებიც კი არიან და ასეთი ზედაპირული აზროვნება მათთვის იშვიათია. მათ თვალს არ გამოუპარება მახინჯი სინამდვილე. მაგრამ იქ, სადაც მე ვცხოვრობ, როგორც სხვა ყველაფერ დანარჩენს, ოხუნჯებსაც ნებისა და კვერცხის გულით აკეთებენ.

დამლაგებლის ვაკანსიამ შემომანათა თვალეში და, ის-ის იყო, მთელი კორპუსის გასაგონად „ვერიკას“ დავეყვირებდი, ორწლიანი გამოცდილების მოთხოვნამაც შემომანათა. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო ჩემს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ბავშვობაში მამა გარდამეცვა და რამდენიმე დღის განმავლობაში ღმერთს მის გაცოცხლებას ვევედრებოდი. ყოველთვის ასეა, პირველი იმედგაცრუება იმ ქვეყნის ხელისუფალთაგან მოდის, რაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენს შერჩევას ინვესს (ან ჩანასახშივე ამისთვის არის გამოზნული). შემდეგ უკვე ინიციატივას ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჩაიგდებენ ხოლმე და ხსენებულ ჩვევას კიდევ უფრო ღრმად გაგვიჯენენ სისხლში, რათა შემდგომ თაობებშიც კონფორმისტებად დავრჩეთ...

ვფიქრობ რამდენიმე ვერსიაზე. ერთ-ერთია, თავი სალოსად გამოვაცხადო და ინვანტილური ნონიალი დავინყო აქა-იქ; შიგადაშიგ ბრძნულ აზრებსაც დავაფრქვევ სიყვარულზე, სიკეთეზე, ღვთისმოსაობაზე, ადამიანობაზე და შორეულ პერსპექტივაში შეიძლება წმინდანადაც შემრაცხონ. მეორე ვერსია სასულიეროში ჩაბარებაა. ამ სფეროში ნამდვილად გავქაჩავ, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ცოტადენი გამეგება, თეოლოგიასაც ვისწავლი, ფსევდომეცნიერების ბიოგრაფიებსა და მათ თეორიებსაც გადავხედავ და წარმატებული მოძღვარი-მამაო გავხვდები. თან youtube-ზე რომ ქადაგებათა ვიდეოებს ავრცელებენ ჩვენი სასულიერო პირები, მერწმუნეთ, ნამდვილად არ ჩამოვუვარდები! ჩემს ქვეყანაში თუ ანაფორა გაცვია, შენი ყოველი სისულელე ავტომატურად, როგორც ცხადი ჭეშმარიტება და სიბრძნე, ისე იბეჭდება ადამიანთა ტვინებში. შემოსავალიც მეტ-ნაკლებად ნორმალურია და ყოველსემძლე ღმერთთანაც სასიამოვნო ურთიერთობები გარანტირებულია! პარადოქსია, მაგრამ სასულიერო მოღვაწეობამ ბევრ საერო საქმიანობას გაუსწრო შემოსავლებით და, მეტიც, პრესტიჟითაც. ვიმედოვნებ, ჩანყოფებს და ნათესაობას აქ მაინც არა აქვს ადგილი. ვილაც ოხუნ-

ჯი ნომერი სამი გამოხატება, თუმცა ამჯერად ხელკეტით ხელში და მკრეხელობას, ორპირობას და მედროვეობას დამნამებს, თუმცა, როგორც წინა ორი, ისიც აუცილებლად მუშაობს სადმე და არ ანაღვლებს ჩემი გასაჭირი. მუშაობს – ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ რა გინდა, ხელფასი ხომ აქვს!

ჩემი ქვეყანა იმდენად მშვენიერი და ზურმუხტოვანია, რომ აქაური რომანტიკოსი პოეტები მის ანალოგს ვერსად პოულობენ და საკუთარი პატრიოტული ლირიკის ამოფრქვევისას ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამენ: „სხვა საქართველო სად არის?“. ჩემი ქვეყანა იმდენად მშვენიერი და ზურმუხტოვანია, რომ თითქმის ყველა სტაჟირება უხელფასოა, თითქმის ყველა ვაკანსია ორწლიანი გამოცდილებას მოითხოვს და ეს ყოველივე – სრული განაკვეთით. თუმცა ამ გამოცდილების მოსაპოვებლად, რაიმე ეზოთერულ ცოდნას უნდა ეზიარო თუ მაგიური ძალებისა და შრომითი თვითწარმავების მეშვეობით მოიპოვო, არსად არის მითითებული. ყველაფერ ამასთან ერთად, სტაჟირების დასასრულს მისი შემდგომი გაგრძელება და დასაქმების პერსპექტივა მოცულია ბუნდოვანებითა და მისტიკური ელემენტებით. ეს ანომალური მოვლენა სერიალ „საიდუმლო მასალებისთვის“ ერთი სეზონის გადასაღებად სავესებით საკმარისი მასალაა. ჩემი ქვეყნის პროფკავშირებს ისეთივე ხმის დიაპაზონი და გავლენა აქვთ, როგორც ზევსის ელვას დღევანდელ ამინდის პროგნოზზე. სახელმწიფო უნივერსიტეტებს, გარდა რამდენიმე ფაკულტეტისა და მიმართულებისა, არავითარი პროგრამა და, მით უმეტეს, სტრატეგია არ გააჩნიათ, სტუდენტებისთვის (თუნდაც წარჩინებული) სტაჟირების, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის, პროფესიული კვალიფიკაციის

ზრდის უზრუნველსაყოფად და მიზეზად ამისა ვილეთ „თავისუფალი პროფესიების კმაყოფილ პრაქტიკოსებს“. სტუდენტ რჩება თეორიული ცოდნის ანაბარა და იძულებულია, დასაქმდეს აბსოლუტურად სხვა სფეროში. ფინანსურად არასტაბილური ადამიანები და, მით უმეტეს, ახალგაზრდები, წარმოადგენენ, ერთი მხრივ, იარაღს, ხოლო მეორე მხრივ, მარტივად სამართავ იაფფასიან რესურსს ეკონომიკური იერარქიების მპყრობელთა ხელში. ცალკე საკითხი ჩვენი უნივერსიტეტის დიპლომებია. ისინი ღმერთს ჰგვანან. ანუ რწმენის ამბავია. გნამს – ე.ი. არსებობს, არ გნამს – არ არსებობს. თუ ბრმად გნამს, მექანიკურად ასრულებ განსაზღვრულ რიტუალებს, როგორცაა ყოველწლიურად თანხის, ეგრეთ წოდებული სწავლის საფასურის, მსხვერპლმენიერა, რათა ყოვლად მალაღმა და ყოვლად ძლიერმა დიპლომმა შენი ლოცვანი შეისმინოს. კოლოკვიუმში, გამოცდები – ესეც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალთაგანია, რომლის გარეშე ვერ დაიმკვიდრებ ადგილს დიპლომინათა სასუფეველში. თუმცა აქაც მაქინაციის უამრავი ხერხია – ტექნიკურ პროგრესს არც „შპარგალკები“ ჩამორჩა. თუ ბრმადრწმენისგან შორს ხარ, რაციონალურ ფენომენს ემხრობი და უკმაყოფილო ხარ არსებულთ; თუ განიცდი ლექციის მტკივნეულ ეგზისტენციას, რომელიც უხარისხოდ გადაღებულ ქსეროქსთან პოეტურ სინთეზს ქმნის და სამყაროს მიღმიერი სივრცეებიდან ვნებიანი და მორთოლარე ხმით გეცხახის; თუ სხეულის თითოეული ატომით გრძნობ ლექციის ყოფნა-არყოფნის მარადიულ ხვეულებს და ისხენებ მამა-პაპათა შეგონებას, სტუდენტობის წლები საუკეთესოა... და ლა-ლა-ლა... აუცილებლად უმცირესობაში მოჰყვები. მოკლედ, მთავარი ქულაა სემესტრის ბოლოს და არა ის თუ რას ისწავლი და როგორ გასწავლიან.

ჩემი ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსით, ამიტომ, როცა საკვები არ მომეპოვება, ბევრს ვსვამ და, ამავე დროს, უკაცრავად და, არანაკლებ ვფსამ ხოლმე. მივმართავ მსოფლიოს და ყველა პოლიტიკურ ლიდერს, არ გაგვარაზოთ, თორემ დაგავსამთ თავზე!

ერთხელ გადავწყვიტე, უმუშევართა ლიბა შემექმნა დევიზით: „უმუშევრები უმუშევრობისთვის!“ მე და ჩემი თანამოაზრეები შევიკრიბეთ და ბრიფინგი მოვანყეთ. მოვინვიეთ ყურნალისტები, დანტერეგული პირები, მეგობრები, ძალები, კატები. თუმცა უკანასკნელნი არ მოსულან, როგორც ჩანს, არ ეცალათ. რა თქმა უნდა, ტელევიზიით არავის გაფუშუქებვართ, რამდენიმე ინტერნეტგამოცემამ ოთხი-ხუთი წინადადებით გვახსენა. პირველ დღეს ოც კაცამდე შევიკრიბეთ, გადავწყვიტეთ, უმუშევართა ლიგის მანიფესტო დაგვეწერა და გამოვექვეყნებინა. სამწუხაროდ, ეს აზრი ბრიფინგის მერე მოგვივიდა. ვილაცები წუნუნებდნენ, პიარი გვაკლდაო ან გვაკლიაო, ზუსტად აღარ მახსოვს. მას







►► შემდეგ, რაც ჩვენი მანიფესტი საჯარო გახდა, ჩვენდა გასაკვირად, სოციალურ ქსელში მთელი ამბავი ატყდა ლიგის თაობაზე, თურმე უამრავი მსურველი და გულშემოტიკივარი გამოგვიჩნდა, რომლებიც მზად იყვნენ, შეერთებოდნენ ჩვენს წამოწყებას. ასე თანდათანობით ვიზრდებოდით და ვფართოვდებოდით; რამდენიმე თვის თავზე სამსაათიან ახალ ამბებში დედაქალაქის ცენტრში ჩატარებული ჩვენი პერფორმანსიც ახსენეს. თუმცა არავის უთქვამს (ან გამორჩათ, ან არ დააინტერესათ), რომ მათ, ვინც უმნიშვნელო ხელფასის სანაცვლოდ მთელი დღის განმავლობაში დაუზოგავად მუშაობდა, მიატოვეს თავიანთი სამუშაო ადგილები და ჩვენს ლიგას შემოუერთდნენ. ქვეყნის მთელი მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქებში „უმუშევართა ლიგის“ ფილიალები გაიხსნა. ზოგიერთი ჩვენში ხედავდა „მუშათა კლასის“ სახემეცვლილ ან სახელმეცვლილ ფორმას და მოსალოდნელ რევოლუციას მჭევრმეტყველურ-ექსტრასენსუალური ხუმრობის ელფერით აანონსებდა. ან ირონიულად ახსენებდა ჩვენს ლიგას, როგორც საბჭოური კომუნისტური საშობაო გამოზრდილ საშიშროებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ლიგის ირგვლივ სხვადასხვა იდეოლოგიის, მსოფლმხედველობისა და რელიგიის წარმომადგენლები გაერთიანდნენ და სხვა ნიუანსური ან მეტ-ნაკლებად ნიუანსური თანხვედრებისა, ძირითადი და უპირველესი, რაც გვაერთიანებდა, იყო უმუშევრობა, რომელსაც ლექსიკურად მედიკოსები უკეთესად განმარტავდნენ და დაზუსტებდნენ, რადგან ეპიდემიის სახე გააჩნდა. მართალია, ის არც ინტიმური ურთიერთობით და არც ჰაერით არ ვრცელდებოდა, მაინც იყო მასში რაღაც გადამდები, საყვარელი და თბილი.

ჩემს ქვეყანაში მემარცხენე ავტორიტეტურად ხურდავდება, როგორც ბოროტი კომუნისტი, რომელიც კერძო საკუთრებისა და თავისუფლების წინააღმდეგ ილაშქრებს და საბჭოურ, კოლექტივისტურ, დიქტატორულ წარსულში სურს დაბრუნება. თუ მუშების უფლებებს უჭერ მხარს და ამას ხმამაღლა აცხადებ, მაშინ ეს იარლიყი გაორმაგებულ ძალა-სა და მნიშვნელობას იძენს და ერთგვარი არგუმენტის როლსაც ითავსებს. მემარჯვენე, ლიბერალი აუცილებლად გულისხმობს „თავისუფალ“ ადამიანს, რომელიც დღედაღამ მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური, რელიგიური და სხვა უმცირესობების უფლებებისთვის იბრძვის და ერის ტრადიციულ ღირებულებებს დასავლური სიბინძურითა და მოტივებით ჩრდილ-ქვეშ აყენებს. როგორ ტრივიალურად უნდა ჟღერდეს, საქმე იქამდე მივიდა, რომ სტერეოტიპებიც სტერეოტიპებად იქცნენ. ჰოდა, რა გასაკვირი, რომ ჩვე-

ნი მიმართულებით უამრავი სტერეოტიპი გაისროლეს და იარლიყების წვიმაში მოყვებით. მართალია, გადამღერებული და ბანალური აზრია, მაგრამ არის წვიმაში რაღაც თავისებური რომანტიკა... „ხელებიც დამიბანია!“ – ხელების დაბანავში პროფესიონალები, დიდოსტატები, გურუები, მინერალური წყლები და, მოკლედ, ვინ მოთვლის, რა აღარ ვართ. თუმცა ეს ფაქტი არანაირად არ მოქმედებს იმაზე, რომ ზაფხულის ხვატში (და არამარტო ზაფხულის) ქალაქის ქუჩებში მიმავალი ავტობუსები ანტისუნამოს, ანტიდეზოდორანტის სახელსა და ტიტულს ღირსეულად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაატარებენ. ავტობუსები ოფლის მწარმოებელი ქარხნებია, რომლებიც სეზონურად მუშაობენ (ამ სიტყვასთან, გთხოვთ, ყურადღება გაამახვილოთ!). თუ ხელისუფალი ხარ და პალატუხი კისრიდან თავში ჯერ კიდევ არ აგვარდნია; თუ გსურს, შენი მოსახლეობის ნამდვილი სურათი დაინახო, გაიგო, იგრძნო და თვალეში ჩახედო, იმგზავრე საღამოს მეტროთი ან ავტობუსით.

დღეიდან თავისუფლად შეგვეძლო, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიგველო და, ამასთან, გავემარჯვა კიდევ, რადგან, მოგესხებოდათ, პოტენციური ამომრჩევლების – უმუშევრების – ხვედრითი წილი არცთუ ისე დაბალია. თანაც არჩევნებზე და მიტინგებზე ძირითადად უმუშევრები და მინიმალური ხელფასის მქონენი დადიან... ჩვენს გამარჯვებას უმოკლეს დროში სამუშაო ადგილების შექმნის გარდა სხვა ვერაფერი დააბრკოლებდა. მაგრამ ჩვენი მიზანი არა პოლიტიკური და სახელმწიფო პოსტების დაკავება, არამედ მსოფლიო მასშტაბით გაფართოება გახლდათ. თუმცა საბოლოო მიზანი მაინც არ ვიცოდით და, იქნებ, არც გაგვჩნდა. არც იყო საჭირო. ქვეყანაში ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო, თუმცა, პირველადი შეფასებით, მდგომარეობა არ შეცვლილა. მუშაობას ისევ ისინი იწყებდნენ, ვინც გამარჯვებული პარტიის აქტივში ენერა. ჰოდა, არავის გაგვიკვირებია, დამარცხებული პარტიდანაც რომ გავიჩინეთ თანამოაზრეები და თანაუმუშევრები.

დღევანდელ საზოგადოებრივ ყოფაში სიტყვა „წარმატებამ“ აბსოლუტურად შეითვისა კერპის ყველა თვისება და მახასიათებელი. ხოლო წარმატების იმიჯით გაცისკროვნებულ-გამარჯვანდებულ ტიპები ან კიდევ ციური სხეულები (სხვანაირად ვარსკვლავები, კიდევ უფრო სხვანაირად ტელესახეები, Face-ები და +უსასრულობები) დაუსრულებლად გვიკითხავენ ლექციებს საკუთარი წარმატების შესახებ. ბავშვობიდან გვიწერავენ აზრს, რომ ბედნიერებისთვის აუცილებელია, ხოლო უფრო რადიკალურ

შემთხვევაში საკმარისია მატერიალური კეთილდღეობა და, რაც მთავარია, მისი ყოველდღიური, ყოველთვიური თუ ყოველწლიური განახლება, რაც წარმოადგენს არსებული ეკონომიკურ-ფინანსური სისტემის მაგნატების პოლიტიკას მათი მოგების უწყვეტი ზრდისთვის. სწორედ ისინი ერთმანეთის საჯიჯგნად გადმოვიგდებენ ხოლმე წარმატების ინდიკატორებს და მის მეტაფიზიკურ დოქტრინებს. ის ერთ-ერთი ყველაზე უსისხლბორცო და იდიოტური სიტყვაა, სტიმულის სიმულატორი და არა სტიმული, რომელიც განისაზღვრება უფრო ძვირად ღირებულ მანქანით, მობილურით, აგარაკით და არა ინტელექტუალური, კულტურული ან თუნდაც ფინანსური წვლილით საზოგადოებრივი კეთილდღეობის საქმეში. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ან წარმოიდგენთ დედამიწის ზურგზე, კიდურებზე და სხეულის სხვა არანაკლებ უმნიშვნელო ტერიტორიებზე, რამდენ ადამიანს მიაჩნია თავი წარმატებულად მხოლოდ იმიტომ, რომ აქვს საშუალოზე უკეთესი ანაზღაურება ან პირადი ბიზნესი.

წარმატება – აქ მაყურებელმა (და არა – მკითხველმა) უნდა გაიცინოს და ავტორს სატირული ჟესტი მოუნონოს! არ მოიპოვება ისეთი ლინგვისტური თუ ლოგიკური პარამეტრი, რომელიც ამ სიტყვას რაიმე თანწყობილ კალაპოტს მისცემდეს. თითოეული განმარტება პაროდიას, მისი უწინარესი და ასე უსაზღვროდ ვიჭედებით სიტყვების კომიკურ ლაბორინთში, რომელსაც ეპოქის ამოძახილს ან, გნებავთ, ექოს ვუნოდებთ ხოლმე. მაგალითად, აინშტაინის წარმატება და ჯვაროსნების წარმატება, სტეფან ჰოუკინგის წარმატება და არაბი შეიხის წარმატება, დაბოლოს, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული და წყალგამძლე, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების დირექტორის და მისი შემქმნელის წარმატება... კიდევ ბევრი საინტერესო პარალელისა და პარადოქსის მოტანა შეიძლებოდა, თან ისე,

რომ ვერავინ დამნაშავედ, ყველაფერს ერთ ქებაში ყრიო; რომ თითოეული სფერო საკუთარი გარსის ირგვლივ და შიგნით განიხილება, ხოლო მისის თაფლის და ფაიფურის ვაზის ერთმანეთის საპირწონედ დაყენება და შედარება ისეთივე აბსურდია, როგორც მისის თაფლის და ფაიფურის ვაზის ერთმანეთის საპირწონედ დაყენება და შედარება.

შემშლილი გვათანაბრებს გურმანებთან. გურმანები არ არსებობენ. კანიბალები გურმანები არ არიან. ვერავინ დაუშლის კანიბალებს, თავს გურმანები უწოდონ. საკვების პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ... აზრი გამიწყდა, რადგან მშია. სამწუხაროა – როცა დავნაყრდები, აზრს ვეღარ აღვადგენ. მოვიფიქრებ უამრავ ვერსიას, უამრავჯერ გადავშლი, რადგან არც ერთი მათგანი არ იქნება პირველადი ხაზის გენეტიკური შთამომავალი, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვების გენეტიკა არსებობს და მას არ გავიაზრებთ, როგორც მეტაფორას. სამსახური ისევე არ არსებობს, როგორც გურმანები არ არსებობენ. თუმცა ვერავინ დაუშლის ჩემს მეგობარ ქალს, როცა ტელეფონზე და ვურეკავ, ყურმილი გამითიმშოს და შემდგომ მოკლე შეტყობინება გამომიგზავნოს ტექსტით: „სამსახურში ვარ, მოგვიანებით დაგირეკავ“.

თავდაპირველად ვიფიქრე, საინტერესო დამთხვევა იქნებოდა, საუბრის დასასრულს ჩემი ასობით მისამართზე გაგზავნილი „სივიდან“ (კომპაქტური, გამოკვეთილ-კონკრეტული, სამუშაო სტაჟით, უმაღლესი განათლებით და სხვა მსგავსი ბიუტერიით) რომელიმე მაინც რომ შემხმინებოდა და ასეთი გულისგამანვრილებელი ფინალით მოვრჩებოდი თხოვბას. თუმცა თქვენ როგორ ფიქრობთ, რომ დაერეკათ, რას ვეტყვოდი? – „უმომუერთდით უმუშევართა ლიგას, ჩვენ დღეს მილიარდს გადავაჭარბეთ“!





ფარდის აწვევამდე რატი მიმართავს ლაშას:

- ბულაძე, მიდი, გაუყარე თავი, საცაა ფარდა აინევა და უნდა გამოგაცხადო!
- კარგი რა, რატი, მერამდენედ?
- ნეტა, ვიცოდე, რას კარგავ, მართლა ხომ არ გახრჩობთ, კაცო?! შოუა, რა!..

რატი მიკროფონით, ისე, რომ ჯერ არ ჩანს, ექსცენტრიული იმპრესარიოს სტილში აცხადებს:

- ქალბატონებო და ბატონებო, ნომინაციაში „სა-უკეთესო პიესა“ გაიმარჯვა ცნობილი სახელმა მწერალმა ლაშა ბულაძემ (უცებ ფარდა მალა ინევა და ხალხი ხედავს სახელზე ჩამოკიდებულ ბულაძეს „ნავიგატორით“ ხელში, რა თქმა უნდა, სკამზე შემდგარს)!

რატი აგრძელებს:

- ტრადიციული კითხვა - გამოვაცალოთ სკამი (თან ელიმბა)?

ხალხი ყვირის:

- არა, რა თქმა უნდა, არა! წინასწარ ხომ არ გამოვუტანთ განაჩენს, კაცო! (ხალხი აჩოჩქოლდა, აქა-იქ სიცილი და მხიარული შეძახილები ისმის).

რატი, მიმართავს სცენაზე მდგომ დამხმარეებს:

- კარგი, ჩამოხსენით ბულაძე, ჰონორარი მიეცით და გაუშვით სახლში!.. მაშ ასე, პოეზიაში შემდეგი ნომინაცია პაატა...

ერთი კვირის თავზე, იმ ადგილას, სადაც ლიტერატურული კონკურსი „საბა 20...“ ჩატარდა, მიმდინარეობს საპროტესტო აქცია.

ჟურნალისტი ეკითხება აქციის ერთ-ერთ მონაწილეს:

- რა არის თქვენი მოთხოვნა?
- საქართველოში გაააჭირვება ხომ არის?
- კი, არის, გეთანხმებით.
- გაააჭირვება ხომ არის საქართველოში?
- დიახ, გეთანხმებით!
- ხოლომ არის გაააჭირვება საააა...
- დამცინით?! გავიგეთ, რომ საქართველოში გაჭ...

შორიდან თავუქდმოგლეჯილი მორბის ვილაცა და ყვირის:

- ჩემი მეგობარია, არ გაბრაზდეთ! ცხრა წელია, უკვე მავ ოთხ სიტყვას იმეორებს მხოლოდ! მოითმინეთ, აი, უკვე მოვედი. ჰო, რა იკითხეთ?
- ისეთი არაფერი, რა არის თქვენი და აქ შეკრებილთა მოთხოვნა-მეთქი?
- რა თქმა უნდა, ჩემმა მეგობარმა უკვე გითხრათ, საქართველოში გაჭირვება რომ არის. თქვენ დაეთანხმებოდით... ჩვენი მოთხოვნაა, „საბას“ ჟიურიმ ან ორგანიზატორებმა დაგვიბრუნონ თაღლითურად მითვისებული 6 ლარი და 90 თეთრი! 7 ლარსაც კი არ ვითხოვთ, მაგათი ზედმეტი თეთრი არ გვინდა - ზუსტად 6 და 90!
- სიმართლე გითხრათ, ცოტა უცნაური მოთხოვნაა, რა შუაშია „საბასთან“ 6 ლარი და 90 თეთრი?
- სამწუხაროა, რომ თქვენ, ჟურნალისტი, მაგას ვერ ხედავთ!..

მცისიერად ხმაურმა მეტისმეტად იმატა და ხალხი უკვე თითქმის ეგზალტირებულ მასად იქცა - აშკარად მათთვის ვილაც ოდიოზური პერსონა დაინახეს. ჟურნალისტი ამას მიხვდა, ინტერვიუს თავი ანება და იქვე მიმავალი ლაშა ბულაძის მიმართულებით გაიქცა.

- ბატონო ლაშა, ბატონო ლაშა, თქვენ ახლა პირდაპირ ეთერში ხართ და გვანტერესებს, თუ საქმის კურსში ხართ, რას ნიშნავს აქ შეკრებილთა მოთხოვნა: დაგვიბრუნეთ ჩვენი კუთვნილი 6 ლარი და 90 თეთრი?

ბულაძე აღელვებული პასუხობს:

- რას და, ვეუბნებოდი ორგანიზატორებს, ადრე რაც იყო, საკმარისია, გვეყოფა-მეთქი, არ დამიჯერეს და, ა, შედეგიც! (თითი ხალხისკენ გაიშვირა).
- რას გულისხმობთ, უფრო რომ დააკონკრეტოთ, არ შეგიძლიათ?

ხალხი უფრო ახმაურდა!

- ისევ პირდაპირ ეთერში ვართ?
- დიახ.
- ჰოდა, მიბრძანდით, გენაცვალე, და „საბას“ ჩამტარებლბებმა დაგიკონკრეტონ! (ჩქარი ნაბიჯით დატოვა იქაურობა).

ამ დროს სცენაზე, სადაც „საბას“ ლაურეატებს აჯილდოებენ ხოლმე, მიკროფონით ხელში გამოჩნდა რატი ამალღობელი და ხალხს მიმართა:

- ძვირფასო წიგნის მკითხველო საზოგადოებავ! - ხალხი სმენად იქცა - თქვენ იცით, რომ ლიტერატურული კონკურსის „საბას“ დამფუძნებელი და მთავარი დამფინანსებელი, ბიზნესმენი ბატონი მამუკა ხაზარაძე ქველმოქმედი და სამართლიანი ადამიანია, გარდა ამისა, ძალიან უფრთხილდება „საბას“ იმიჯს, ვინაიდან ლაშა ბულაძემ უარი განაცხადა შეთავაზებაზე, მან გადაწყვიტა, ლაშას მაგივრად ბოდიში მოგიხადოთ და პირობა მოგცეთ, საბას ისტორიაში მსგავსი რამ აღარ განმეორდება, და იგი მზადაა თითოეულ თქვენგანს აგინაზღაუროთ, როგორც თქვენ ამბობთ, უაზროდ გადაყრილი თანხა - 6 ლარი და 90 თეთრი, ოღონდ წიგნები უკან უნდა დააბრუნოთ!..
- ხალხი ახმაურდა: ნამოდებული გვაქვს, აქა გვაქვს, ახლავე დაგვიბრუნებთ „ნავიგატორია“ თუ ჩემი ფეხები! ფული რომც არ მოგეცათ, მაინც დაგვიბრუნებდით!..

რატი აგრძელებს:



## "საბაზე" დაყიდებული ნომინირებული სხეულები



- კარგი, აგერ, სცენაზე დაანყეთ და ფული ყველას დაგირიდებთ. მორალური ზიანისთვის, კეთილი ნებით, ბატონი მამუკა 10 თეთრსაც დაგიმატებთ და დამრგვალებულად შვიდ-შვიდ ლარს მიიღებთ.

ხალხში ერთმა ჩასჩურჩულა მეორეს: ამათ დახურდავება ეზარებათ, თორემ, ისე ვინ რას დაგიმატებს... ამ დროს უცებ ვილაცამ იყვირა:

- ეს კარგი, მაგრამ, ზოგ ჩვენგანს შამუგიაც რომ ნაყიდი აქვს?! მადლობა ღმერთს, ყველამ ვერ მოასწრო (მერე თავისთვის ჩაიბურტყუნა, ამიტომ არ უნდა იჩქარო, რა!)!

რატიმ უპასუხა:

- მაგაზეც ვიმსჯელებთ და, სავარაუდოდ, მთლიანად თუ ვერა, თანხის ნაწილს მაინც დაგიბრუნებთ...

ხალხი დააკმაყოფილა თანხის დაბრუნების და შამუგისთან დაკავშირებულმა დაპირებამ. დაიშალნენ, ნელ-ნელა გაუყვნენ სახლის გზას

ამ დროს საინფორმაციო აცხადებს:

- დღეს იქ, სადაც ტარდება ლიტერატურული კონკურსი „საბა“ (შეგახსენებთ, ერთი კვირის წინათაც ჩატარდა) და სადაც ლაურეატებს თავიანთი წიგნით ხელში ნომინირებულ სახელებში თავს აყოფინებენ ხოლმე, შემდეგ კი ხალხის ნებაზეა დამოკიდებული, გამოაცლიან თუ არა ნომინანტს სკამს (ალბათ, ხვდებით, ეს ერთგვარი შოუს ელემენტია), გაიმართა არცთუ მცირერიცხოვანი საპროტესტო აქცია. ხალხის მოთხოვნა იყო, დაებრუნებინათ ბულაძის წიგნი „ნავიგატორში“ გადაყრილი 6 ლარი და 90 თეთრი. ვინაიდან ხალხი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, ბიზნესმენმა მამუკა ხაზარაძემ გადაწყვიტა 10 თეთრიც დაემატებინა და შვიდ-შვიდი ლარი დაებრუნებინა მათთვის. ამის შემდეგ ზოგმა იქ მდგომმა შამუგისას წიგნთან დაკავშირებითაც გამოხატა გარკვეული უკმაყოფილება და მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება, რაზეც შეკრებილებმა ასევე თანხმობა მიიღეს და დაიშალნენ. ახლა პირდაპირ ეთერში ვრთავ აქციის ერთ-ერთ მონაწილეს.

ჟურნალისტი:

- მოგესალმებით, გამდლობთ, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე! კმაყოფილი ხართ ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით?
- დიახ, მაგრამ ჩემი ერთი კვირის წინანდელი გადაწყვეტილებით ვარ უკმაყოფილო, ბულაძისთვის სკამის გამოცლა რომ არ მოვითხოვე (იციან, ჟურნალისტსაც გაეცინა)!
- თუ ბულაძის წიგნი არ მოგეწონათ, მის სახლთან რატომ არ ჩაატარეთ საპროტესტო აქცია? შეგახსენებთ, რომ ამ პიესამ BBC-ის რადიოპიესების მსოფლიო კონკურსში გაიმარჯვა.
- სიმართლე გითხრათ, ეგ არ მაინტერესებს! რაც ნავიკითხე, მე იმის მჯერა. რაც შეეხება თქვენი კითხვის პირველ ნაწილს, „საბასთან“ იმიტომ გავაპროტესტე, რომ მათ შემოიყვანეს შეცდომაში არაადეკვატური რეკლამირებით. უვარგისის კარგად შეფუთვით მოინდომეს ფულის შოვნა გაჭირვებული ხალხის ხარჯზე. აი, ეს იცის ლიტერატურის მეტისმეტმა კომერციალიზაციამ. ის ურჩევნიათ, ხარისხს მიაქციონ ყურადღება და არა მარტო ფულის კეთებას!
- კი, მაგრამ, წიგნის ყიდვა ხომ არავის დაუძალებია, ეს ხომ თქვენ გადაწყვიტეთ?
- დამაძალეს, როგორ არ დამაძალეს! „საბას“ ჟიურის წევრებმა შემოიყვანეს შეცდომაში, ბოლოს და ბოლოს, ვილაცას ხომ უნდა ენდო ამ ქვეყანაში!.. ამიტომ, რაც მეკუთვნოდა, დავიბრუნე, ახლა წავალ და ამ ფულით შედარებით დაბალპოლიგრაფიულ, მაგრამ კარგ წიგნს შევიძენ...
- გამდლობთ, წარმატებებს გისურვებთ! ასე რომ, ძვირფასო ტელემეყურებლებო, „საბასთან“ დაკავშირებული ინციდენტი შეიძლება ამონურულად ჩაითვალოს. აქვე დავამატებ, რომ ბატონებმა ლაშამ და პაატამ კატეგორიული უარი განაცხადეს ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის კომენტარის გაკეთებაზე. ახლა კი „ნავიგატორიდან“ გადავდივართ შემდეგ თემაზე: რა მტკიცებულებების საფუძველზე დააკავა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კონტრდაზვერვის სამსახურმა უცხო ქვეყნის რეზიდენტები, რამაც საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია... ■







ხვირა ყალბაბაზილი



ვზივარ ჩემი იმედებით გაცრეცილ სავარძელში და ვფიქრობ არაფერზე. ფეხებთან ჩვენი ეპოქასავით დახეობრებული მაგიდა მიდგას, რომელიც ყოველ შეხებაზე შემკრთალი ინყებს ცახცახს.

მაგიდაზე აწყობა: გვალვაში დაკარგული ყანწივით გამომშრალი არაყის ჭიქა, დეკემბერივით შეთეთრებული, დაშაქრული ჩურჩხელა და ნებისყოფასავით ნახევრად დაცლილი ჭაჭის ბოთლი.

მხოლოდ ჭაჭა და ჩურჩხელა შემომრჩა ერთი თვის წინანდელი სოფლის ძღვენიდან.

ხვალ კიდევ უფრო მეტი ჭაჭა და ჩურჩხელა მექნება...

ეჰ, მერამდენად მინევს თბილისის დატყვევება უსახსრობისა და უსახლობის გამო.

აუტანელია ფიქრი თბილისიდან წასვლაზე. თბილისი სანამლაგია და, ერთხელ თუ მოინამლე, მანამდე იქნები მონამლული, სანამ გეცოდინება თბილისის არსებობა. სწორედ რომ სანამლაგის თვისება აქვს თბილისს: გტკენს და ყურდება, გტკენს და ყურდება, გტკენს და ყურდება... ეს ერთიმეორეში გარდაივალა მონაცვლეობა, რიტმარულ გულისცემას ჰგავს და გრძნობ, რომ ცოცხალი ხარ.

რატომ ვერ ვტოვებთ პროვინციული მწერლები თბილისს? იმიტომ, რომ ჩვენ, კალმოსებს, კალმისა და ტკივილის გარეშე არ შეგვიძლია. უმტკივნეულო კალმოსობა კი ან უიაზრო ემბაზში ნათლობაა, ან უადგომო ჯვარცმა. თბილისელობა არც ჩვენი ახირებაა და არც გაცნობიერებული ცხოვრების წესი. ჩვენ ჩვენსავე დედაქალაქზე გაკრული მონამეები ვართ და ასე ვიქნებით მანამ, სანამ არ ჩამოგვხსნიან საკუთარი ცხოვრებიდან შემოქმედებად აღმდგარო.

სრულდება ვივალდის „შემოდგომა“ და იწყება „ზამთარი“. სწორედ რომ დროულია. რა იქნება, თბილისის ზამთარიც ვივალდის „ზამთარს“ ჰგავდეს ან მასავით მალე მთავრდებოდეს. დიდი ხანია აღარ მიყვარს ზამთარი, უფრო მეტიც – მძულს. თბილისისა შემადგა.

მიიღევა თუ არა ნოემბერი, ეპოქალური მარწმუნებია და პიროვნული ტკივილებით შექმნილი სული სიცივის თანმხლები ნეგატიური განცდებით ითალხება და ვითოშები. ნარცისიზმით დაავადებული მზე ადამიანებს ემალება, რათა მხნე-გამოლეული როგორმე საკუთარი არსება მაინც ვაითობს. ზამთრობით მე მზეზე ნარცისი ვხდები – მზესაც ვემალები და ადამიანებსაც. ვიკეტები საკუთარ არსებაში და სული მეხუთება.

მორიგი ჭიქა. მორიგი სადღევრძელო სულდახუთულებზე და ვივალდის მორიგი კომპოზიცია – „ესთეტა“. ჩემი აზრით „ესთეტა“ ვივალდის საუკეთესო ნაწარმოებია, ყოველ შემთხვევაში „ზამთარს“ სჯობს.

ვუსმენ „ესთეტას“, შევექცევი დედაჩემის ამოვლებულ ჩურჩხელას და ვფიქრობ ბავშვობაზე. არ ჰგავს ვივალდის კომპოზიცია რცხილის ხმას ლუმელში, მაგრამ გაყინულ ოთახში მაინც სასიამოვნოდ ისმის. არ არის ჩურჩხელა დედაჩემის ხელებით და მხერასავით ტკბილი და თბილი, მაგრამ ნაარაყალზე მაინც ძალიან მსიამოვნებს...

ვერ გადამიწყვეტია, ავდგე თუ არა... მივიდე თუ არა... ვათავებ ჩურჩხელას. ვდგები და მივდივარ... ერთი. ორი. სამი.

სამიოდე წუთი დახურული სარკმლიდან ვუყურებ ლამეგადამცემულ ქალაქს. ვალებ ფანჯარას. ავდივარ რაფაზე და ვვადები სივრცის მიმართულებით. ვზივარ გარინდებული მერვე სართულის ფანჯარაში გადაკიდებული ფეხებით და სულ ფეხებზე მკიდია, ვინ რას იფიქრებს. ვუყურებ მთვარეს, რომელიც მხლებლების გარეშე გამოსულა სატახტოდან. მებრალეა მთვარე, რადგან მეორე მთვარე არ არსებობს და მისი ყოფა საკუთარ მარტოობაზე მიჯაჭვული მარადისობაა. სიამოვნებით ვიმეგობრები მთვარესთან, მაგრამ როგორ? მე ხომ დედაქალაქზე გაკრული მონამე ვარ...

მივჩერებივარ მთვარეს და ოცნების ყაისნალით რუხისფერ სუდარას ვუქსოვ საკუთარ იმედებს. ნეტარებაა ოცნება ნეტარებაზე და ოცნება არყოფნაზე

და ვთამაშობდი: ხან გლახობაპობანას, ხან არენაოძელაშვილობანას, ხან კაკოყაჩალობანას, ხან ქაქუცაროლოყაშვილობანას, ხან ცხრამძახერხულიძეობანას. ძმები არ მყავდა და ცხრავე ძმა მე ვიყავი ხოლმე. ყველაზე უფრო მაინც გლახობაპობანას თამაში მიყვარდა.

სწორედ გლახობაპობანას მიყვებოდა პაპაჩემიც ყველაზე ხშირად. ამ ამბის მოყოლისას ისე შედიოდა მოხუცი როლში, რომ შიშნარევი სიხარულით შეპყრობილი, თავადაც დიდხანს ვეღარ გამოვდიოდი ემოციიდან.

ამბების მოყოლა კი უყვარდა პაპას, მაგრამ ძალიან ბრახდებოდა, თუ შუა ბრძოლაში შემომისწრებდა, გლახობაპობანაზე და ქამარ-ხანჯალში გამონყობილს.

ქამარ-ხანჯალი დიდი გაქ და შენი სამაიმუნო არ არისო. ნაბადი ძირს დაგთრევს, იჭუჭყება, ცვდება და ოხრდებაო. ამხელა კაცმა მეტი სათამაშო ვერ ნახეო... – და ასე დაუსრულებლად.

რამდენიმე წუთი თავდახრილი ვუსმენდი გაჯავრებულ პაპას. მერე დარცხვენილი

დებოდა წმინდა გრაალივით ჭირისუფალ მატყლის მოსახსამს. მეც ნაბადში შენახული გენის გაგრძელება ვიყავი და ნაბადითვე ვცდილობდი წარსულთან შესხეულებას. ჩემი ყოველი ნაბდოსნობა წარსულად გარდასახვა თუ წარსულის ჩემში გარდმოსახვა იყო, რასაც უფროსები ბავშვურ ანცობად მითვლიდნენ...

შემა ჩაინვა, ლუმელი გაჩემდა და ცოტა შემაწვია. სწრაფად გამოვალე მიჩუმებული ლუმლის კარი, ნაკვერჩხალი გავლედე და რცხილის შემა შევუკეთე მინავლულ კერას. ლუმელმა მწყურვალი ხარით დაიქმინა და დატივრთული ურემივით მოაყოლა ტკაცატკუცი. ყველაზე მეტად რცხილის შემა მიყვარდა ლუმელში. ისე ინვოდა ის მადლიანი ხე, თითქოს რაიმე საგმირო ამბავს გიყვებოა.

პაპაჩემმა მორიგი სადღევრძელო ჩაბუტბუტა ტუჩების ცმაცუნით, ულავაშები გაისწორა და ერთბაშად გამოცალა არაყით სავსე ჭიქა.

მე ნელა შევექცევი ჩვენი ეზოსავით შეთეთრებულ და ჩემი ოცნებებით დაშაქრულ ჩურჩხელას. ვუსმენდი ლუმელს.

ვაკვირდებოდი კავკასიონით გაჭალარავებულ პაპას და ფეხით რულმორულ ძალს ვეფერებოდი.

ვერ გადამიწყვეტია, ავმდგარიყავი თუ არა.

მისვლიყავი თუ არა.

დავამთავრე ჩურჩხელის ჭაჭა, ხელში დარჩენილი ძაფი ლუმელში შევავდე, ღრმად ჩავისუნთქე და წამოვდექი.

ნელი სვლით მივუახლოვდი ჭარმაგ მესურვებს, რომელიც თავად პურისუფლობა ერთკაციან ნადიმზე.

– პაპი... – გუთანგატყვილი ხარით გავერდი შუა საქმეში.

პაპაჩემის სახეზე სიყვარული და ირონია ეტოქებოდა ერთმანეთს.

მოხუცმა ჯერ თვალებით გაიღიმა, მერე ულავაშებით და ბოლოს მთელი სახით.

– რაო, პაპი, რა იყო? შენი ამბავი რო ვიცე, უამბოდ არ მოხვიდოდი. მითხარა აბა, რა გინდა?

– პაპი, რალაცის ჩუქება მინდა!

– ბიჯო, ეგ რა კაი რამე მოგდომებია. შენ უნა მაჩუქო რამე თუ მე უნა გაჩუქო?

– შენა, პაპი. შენ უნა მაჩუქო.

– ვაააა, აბა?

– აგე, ის ნაბადი და ქამარ-ხანჯალი მაჩუქე, შენ ხო მაინც აღარ გჭირდება და...

ისევ ვერ დავამთავრე სათქმელი და აღმაცერად ნაბდისკენ გავიხედე, პაპისთვის თვალი რომ ამერიდებინა.

პაპა ღუმედა. ველარ მოვითმინე და ისევ შევხედე მოხუცს, რათა გამომეტყველებით მაინც მივხვდარიყავ ჩემს განაჩენს. კავკასიონით გაჭალარავებული პაპა ჯერ ულავაშით მოიღუშა, მერე თვალებით და ბოლოს მთლიანი სახით.

თვალი ავარიდე მოლუმულ მოხუცს და დარცხვენით დავაშტერდი ჩემსავით ანითლებულ კომბოსტოს მწნილს. ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი. ყელში მოწოლილ ტირილს ძლივს ვიკავებდი. დახვეებული ცრემლები მეძუძურ ბოჩოლასავით მანვებოდა თვალის გუბებზე.

პაპამ ჭიქა შეივსო, ულავაში გაისწორა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

– მაგ ნაბადსა და ქამარ-ხანჯალ ევრე უამბოდ ვერ გაჩუქებ! დამსახურება უნდა.

პაპისგან ვიცოდი: თუ შეტყუარავ, ბოლომდე უნდა გაცუროო. ამ სიტყვების ჭეშმარიტება ამღვრულ ალაზანში მქონდა გამოცდილი და სწორედ ის შემთხვევა იყო, უკან მობრუნებას ფონზე გასვლა რომ სჯობდა. მოხუცი პაპა სულ იმას გაიძახოდა: კაცი ცდისთვის არის გაჩენილი და, იქამდე უნდა სცადოს, სადამდეც ცხოვრება ცდის საშუალებას მისცემსო.

მეც ვცადე.

– როგორ უნა დავიმსახურო, მითხარა და, თუ დავიმსახურე, მაჩუქე!

პაპამ ჩაიცინა და თავისი დაკოჟრილი ხელი მძიმედ გადამისვა დაუვარცხნელ ქოჩორზე.

გლახობაპობანი ნაბადი

ნეტარებაზე მეტია. ოლონდ მხოლოდ ჩვენთვის, ვინც აღდგომას ველოდებით.

მიჩქარდება გულისცემა.

ფეხითრდები ერთიანად.

მთელი არსებით ვგრძნობ ძალას, რომელიც მთლიანად მე მეკუთვნის, მე მემორჩილება, ჩემი მხვევლია.

ძალიან ჰგავს ეს გრძნობა პირველს – უუნაგირო ულავის პირველი გაჭენება, პირველი კოცნა, სასურველი ქალის პირველი გამოსვლება...

არც ერთი, არც მეორე და არც მესამე... და მახსენდება – მაშინაც გადახტომაზე ვფიქრობდი.

...

ვიჯექი ჩემი იმედებით მხურვალე ლუმელთან და ვფიქრობდი ყველაფერზე. ფეხებთან ოცნებებითი ჭრელი გოშია მენვა, რომელიც ყოველ შეხებაზე კუდს აქიციანებდა მაღლიერების ნიშნად. მე ისე მიყვარდა ჩემი გოშია, როგორც მას ცხელი ლუმელი ცივ ზამთარში. საერთოდ, მშობლები ძალს ოთახში არ უშვებდნენ, მაგრამ იმ დილით მარტოობით ვისარგებლე და თამამად შემოვარბე ოთხფეხა მემგობარი ცხელ ლუმელთან.

ოთახში დიდი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ელაგა: გამრჯე გლეხის ბელელივით პირამდე სავსე არაყის ჭიქა, სახელგანთქმული თამადის ულავაშებით ანკეპილი შოთი პურები, პატარძალივით ანითლებული კომბოსტოს მწნილი და სიძის მოთმინებასავით ნახევრად დაცლილი ჭაჭის ჭურჭელი.

– პაპი, გაგიმარჯოს! – თორმეტი წელი ასე მლოცავდა გლეხი პაპა ერთადერთ შვილიშვილს.

– მადლობა, პაპი! – ცხრა წელიწადი ასე ვუხდიდი მადლობას ერთადერთი შვილიშვილი გლეხ პაპას. სამი წლისას მისწავლია მადლობის გადახდა.

ვუსმენდი ლუმელს და ვუყურებდი კედელზე დაკიდებულ ნაბადს, რომელიც გადაჭრილი შვინდის სახრისთვის ჩაეცმით. გახსნილი ნაბდიდან მეციხოვნეობით იჭვრიტებოდა ვერცხლნაფიცი ქამარ-ხანჯალი.

დავიმარტოხელებდი თუ არა ნაბდოსან სახრეს, მაშინვე მივარდებოდი, ჩამოეხსნიდი კედლიდან, გავატიტვლებდი და კადნიერად მივადებდი ხის ტახტზე. შემოვირტყამდი ვერცხლის ქამარს, რომელიც ორპირად მწვდებოდა ნელზე. დავიკიდებდი ვერცხლის ხანჯალს, რომელიც მუხლისთავებზე მცემდა სირბილისას. მოვისხამდი შავ ნაბადს, რომელიც მოპარულ მანტიასავით დამთრევდა მუხის იატაკზე.


მოვისხნიდი დაუკითხავად აღებულ ნივთებს. ზოზონით შემოვაცმევედი ტახტზე მიდგებულ შვინდის გადაჭრილ სახრეს და აუჩქარებლად დავედი კედელზე. ნაბადი და ქამარ-ხანჯალი, რომელიც მე და პაპას ასე ძალიან გვიყვარდა, დიდი პაპის – კოტიტას მამისეულია ყოფილა. კოტიტას მამას, ანუ ჩემ დიდ წინაპარს გლახოს ეძახდნენ თურმე. გლახობაპობას შეძლებული, მშრომელი, მოქიფე და ჯან-ღონით სავსე კაცის სახელი ჰქონია. გვართი თავადს შეძლებული გლეხით უცხოვრია შეუპოვარი და დაუმორჩილებელი ბუნების გამო.

... ლეკიანობის წლებში სოფელს მომხდურთა მოახლოება შეუტყვია. ნახევარი სოფელი ტყეში გახიზნულა, ნაწილი ოჯახებში დარჩენილა. გლახობაპობას ფეხაუდგმელი ბავშვი ჰყოლია და დიდთოვლობის გამო კერა ვერ მიუტოვებია. ლეკები შემგლისფერებულზე შემოსულან სოფელში. ერთ რჯულძაღლ მეზობელს თავის გადასარჩენად ჩემი წინაპრისთვის მიუქსევია ურჯულოები: „მე რას გამომჩენებთ, სახლი გლახოს აქვს სავსე, თქვენი სისხლიც მის მარჯვენას სცხია და მისისხლესაც ეგ არწევს აკვანში“-ო. გლახობაპაპაზე დაგვიღო ლეკებს მტერზე ნაგეში ნაგაზი შეგებებია ეზოში. ერთგულ დარაჯს ღირსეულად უბძოლია. ორი ლეკი მძიმედ დაუსახიჩრებია, მესამეზე განეულა, მაგრამ სულძაღლ ლეკს დამბაჩა დაუცია და მოუკლავს. გლახობაპაპას დრო უხელთია, ბავშვი გულში ჩაუკრავს, ნაბადი მოუსხამს, კომბლისთვინ დაუვლია ხელი და ტყისკენ გაქცეულა. მდევრები კვალზე მიჰყოლიან. დასწევინ. ერთი მდევრისთვის კომბლით გაუხეტქავს თავი გაგულისებულ კახელს. მეორეს ხმალი ჩაურტყამს კისერში. ჩვილ ბავშვს ხელი ჰქონია შემოხვეული მამის კისერზე და ხმალს სამი თითი ნაუჭრია (სწორედ უთითობის გამო ეძახდნენ თურმე პაპაჩემის მამას „კოტიტას“). გამწარებულ გლახობაპაპას მეორე მდევარიც კომბლით მოუკლავს და ტყისთვის შეუფარებია თავი. ლეკები ძარცვა-გაღვას რომ მორჩენილან, სოფელს გასცილიან. გახიზნული სოფელები სახლებში მობრუნებულან. დაკარგულების და დახოცილების ძებნა დაუწყიათ. ტყის პირას ბავშვის ტირილი გაუგიათ. ტირილის ხმას მიჰყოლიან. უპოვიათ კისერში დაჭრილი, გაყინული გლახობა, რომელსაც ნაბადში გახვეული ჩვილი ჰყოლია გულში ჩაკრული. რომ არა გლახობაპაპას ნაბადი, აღარც კოტიტა პაპა იქნებოდა და აღარც ჩვენ, მისი შთამომავლები.

პაპაჩემი სწორედ ამიტომ უფრთხილ-

►► გაგრძელება 20-16 გვ.





ირაკლი ვაშაკიძე

**დედა**

მორიწოდი ვედროთი,  
ჭიდან მოგქონდა წყალი,  
გადაითვლიდი წინილებს,  
ძერაზე გულშემწყრალი.  
შეგვინებდი ლობიოს,  
მერე მჭადს აიყვანდი,  
- მოდიო, - დამიძახებდი,  
მეცხრე ცას ამიყვანდი.  
ამ წარეკლიან მინაზე  
ღვთისმშობლის სახედ მყავდი,  
რა ტკბილი ხარო, მეტყოდი,  
სული ზეობდა შენით,  
როგორ შეგნოდი ამ ეზოს,  
ალბათ, ზეცასაც შევნი.

**მამა**

ჭურთან მესმის შენი სუნთქვა,  
ჭასთან მესმის შენი სუნთქვა,  
შენი ერთი გამოხედვით  
გულ-მუცელი დამეთუთქა.  
  
ახლა იქნებ მითხრა მაინც,  
მართლა გულთმისანი თუ ხარ,  
რატომ უყვარს მუხას მეხი,  
ან მეხს მუხა რატომ უყვარს.

**ღამისიზმრა, დედა**

მკლავგაშლილი მხედები:  
- გაგახსენდი, შვილო?  
შვილო სამოძირო,  
სიმწრით გამოზრდილო,  
შემოგველოს დედა...  
ეზო-კარი ლხინობს,  
რას არ გამიკეთებ,  
გადაიღებ ღვინოს,  
დამიბარავ ბოსტანს,  
გადამიჭრი დაფნას,  
გვალეების წისქვილიდან  
ჩამოიტან საფქვავს.  
ირგვლივ ყინვა-თოვლი,  
უცებ... თოვლი გადნა,  
უცებ აყვავილდა,  
ჩვენი ოლიანდრა,  
გამელვინა უცებ,  
ზამთრის სისინს ვისმენ,  
ღმერთო, ეს ზღაპარი  
დამასიზმრე ისევ.

**ამოდის მნათი**

ის გაზაფხული მოვიდა თოვლით,  
ყინვით მოვიდა,  
მოვიდა ქარით,...  
რიბირაბოა. ნოე ბაბუა

ბოსელში დადის ანთებულ კვარით,  
„უშობელია!“ – ახარა ბებოს...  
ბებია დომნა მიფრინავს ცაში,  
„ოცდაორია. გადააცილა,  
უნდა მოეგო ლამაზას ცხრაში“.  
ამოდის მნათი, ქარის ნახლეჩი,  
ქარის ნაფლეთი ჰკივია ხეზე,  
ლოცულობს დედა, კურცხალი  
სანთლის –  
ღვთისმშობლის ცრემლი ეცემა  
ხელზე.

**ჩემი ხარი მესიზმრა წუხელ**

ჩემი ხარი მესიზმრა წუხელ,  
სადღაც გარბოდა ბლავილ-  
ბლავილით,  
რქებჩამომსხვრეულს სისხლი  
თქრიალით ჩამოსდიოდა.  
დღე მახსენდება ოცდახუთი წლის  
წინანდელი.  
მაკე ლამაზამ ხბო მოიგო  
მსხვილფეხება, დიდი მოზვერი,  
უშობელი გვინდოდა, მაგრამ ...  
ბორძიკ-ბანცალით უცებ წამოდგა  
და ჩააფრინდა ლამაზას ჯიქანს.  
წლინახევრისა უღელს შევაბით.  
გავიხარეთ და ისიც ხარობდა.  
გვიხნავდა მინას, ურმით მოჰქონდა  
სიმინდ-საფქვავი,  
დინჯი, ჭკვიანი, მუხლმგარი ხარი  
დადგა ჩვენი ბულია.  
არ უყვარდა ფერებ-ფერება...  
ერთხელ უღლიდან გამოვხსენი,  
ტარო მივართვი, თეთრი, ქათქათა,  
შუბლზე ხელი გადავუსვი,  
ამკრა თავი და ლამის მკლავი  
გადამიმსხვრია.  
მეტყინა ძლიერ. თითქოს იგრძნო  
დანაშაული.  
შავი თვალები აუნწყლიანდა.  
უხაროდა შემოდგომა,  
სიმინდის, ჩალის ამოტანა ჩვენი  
ჭალიდან...  
ურემში მისი შებმა იყო  
დღესასწაული, სანახაობა.  
მივუახლოვდებოდი,  
წამოდგებოდა,  
გაიზმორებდა,  
ცას ახედავდა.  
მალალი რკინის პალოდან ავხსნიდი,  
მივიდოდა აუჩქარებლად ურემთან,  
ჩადგებოდა ცალ უღელაში,  
დახრიდა თავს, თითქოს  
გეუბნებოდა, დამადგით უღელიო!  
ასე ყოველდღე, მოზამთრებამდე...  
დაბერდა ბოლოს ჩვენი ბულია.  
ერთი დღეც იყო  
ყასაბ იოსკას უთხრა ბუდუნიკამ,  
მამაჩემმა,  
დილაუთენია წაიყვანეთ, ისე, არ  
დამანახოთო.  
ძლივს გადაიყვანეს ეზო-კარიდან.  
დიდხანს გვესმოდა მისი ბლავილი,  
ძლივ-ძლივ მიჰყავდათ...  
ბროწეულის სხიოდა შოლტი...  
წუხელ მესიზმრა ჩემი ბულია...

**ჯალაურთა**

იმერული გაზაფხული  
გალობს ჯალაურთას,  
მამაპაპურ საგალობელს  
ზეცა მოაქვს გულთან,  
არე-მარეს ქარ-შოშინი  
ღვთის სურნელში ახვევს,

მზეო, რაც გულს შენთვის უთქვამს,  
ყვავილობა ამხელს.  
თვითუფლი ძგერა გულის  
ამბობს შენს ტკბილ სახელს!

**ნისლი**

სიყვარულის ტკბილ ლაჟვარდებში  
გადაჩხილებს ვისხენებ ახლა,  
სად დაიბადე, რძისფერო ნისლო?  
კერცხეთის მთაზე თუ ბაბოთის  
მწვანე ფერდობზე?  
რიბირაბოა,  
კიბულა წყარო მოიმღერის,  
მოსევდიანობს.  
მზის ამოსვლისას გაქრები ჩუმად.  
გუშინ ვარსკვლავმა გაიქროლა  
და ჩაიფერფლა ამისებულ ცის  
ლაჟვარდებში.  
სიყვარულის ტკბილ უფსკრულებში  
გადაჩხილებს ვიგონებ ახლა:  
აი, თენდება,  
მზე ამოდის,  
და შენც მიიწევ ზევით, სულ ზევით,  
მერე გაქრები . . .  
მერე, ვინ უწყის, როდის ენვევი  
კერცხეთის მთას და კიბულა წყაროს!  
სიყვარულის ტკბილ უფსკრულებში  
გადაჩხილებს ვიგონებ ახლა.

**გენთან ვიყავი  
დათვისში**

ამ ქვაცრემლიან სოფელში  
დავალ ეკლიან წინდებით,  
როცა ცა მოიქუფრება,  
მზის დარად ამობრწყინდება.

მზესავით ამობრწყინდება,  
დათვისს არაგვად იტირებ,  
მერე მაცხოვრის ცრემლებით  
დამწვავ და გამაქვიტირებ.

**ჭიხნაკურის  
მონოლოგი**

I  
გამეზარდა თავი და  
გამებერა მუცელი,  
ყოველივეს კუჭიდან

და მუცლიდან ვუცქერი.  
არე-მარემ, ირგვლივეთმა  
შეიცვალა იერი,  
გაპარტახდა, დაჩივდა,  
მინიერ-ზეციერი.  
ქეთევანი ქეთაა და  
დათად იქცა დავითი,  
გაგას, გოკას, ვახტოს, კახას...  
ეცადო, ვერ დაითვლი!  
კონსტანტინე კოტიკოა,  
დარეჯანი – დაჯია,  
თინათინი თიკოა და  
თეიმურაზი გვანჯია,  
ანა ანკა-ანუკაა,  
არჩილი კი – არჩი,  
ფარნავაზის საქართველოვ,  
გორგასალის საქართველოვ,  
საქართველოო ლამაზო,  
შორს, წარსულში დარჩი...

II

პატარავდები, დნები,  
ვით მზეზე თოვლის გუნდა,  
ღვთისმშობლის წილხვდომილი,  
მტრის გარდა, არვის უნდა.

**იქნებ**

დამთვრალხარ, ჩემო ვანია,  
გონება ვინ მიგინგრა,  
რა ცოდვის ზღვამი ჩამხრჩვალხარ,  
სახლისთვის ვერ მიგიგნია!

მაცხოვრის შვილი მეგონე,  
ლახვარი ბევრჯერ ჩამკარი,  
მთვრალი ხარ, შენი გგონია  
ღვთისმშობლის წილი სახლ-კარი.

ქართლი ოსეთი გგონია,  
რუსეთი – სამურზაყანო,  
ეშმაკის ჩანგზე როკავ და  
ტანკის ენაზე ყაყანობ.

იქნებ, უფალმა მოგხედოს,  
მაცხოვრის მაღლით გათბები,  
ხელახლა დაიბადები,  
ღვთის რჯულზე გაინათლები.





«მ-14 გვირდობდა»

– ამ ერთ ჭიქასაც დაველე, მერე ნაკვირვით და ვნახოთ, იმსახურებ თუ არა მაგ ნაბადსა და ქამარ-ხანჯალს. რო გინდა, უნა გერგებოდე, შვილო. ეს ნაბადი გლახო პაპასი ყოფილა, შენი დიდი ნინაპრისა. მერე კოტიტა პაპასი იყო. ახლა ჩემია. მამაშენ, ეტყობა, არ უნდა და, თუ დაიმსახურე, შენ გაჩუქებ. მანამ ნავალთ, სანამდე ჩვენი ნინაპრები ვადღეგრძელოთ. პაპი, დიდი რო გაიზრდები, არასოდეს დაივინყო ნინაპრები დღეგრძელობა. თუ ნინაპრებ დაივინყებ, აღარც ნაბადი გვექნება, აღარც ქამარ-ხანჯალი და აღარც ის ამბები, მე რო გიყვები ხოლმე საღამოობით. პაპი, აბა, ჩვენ სახელოვან და გულმართალ ნინაპრებს გაუმარჯოთ.

პაპამ ისევ ერთბაშად გამოცალა არაყით სავესე ჭიქა და ლუკმაც მიაცოლა სიმბოლოურად. რამდენჯერმე გაისწორა უღვაში. არაყის ჭურჭელს თავსახური მოარგო, მაგიდა მილაგა და ნაბდისკენ გაემართა ნელი ნაბიჯით.

აუჩქარებლად ჩამოსხნა გადაჭრილი შვინდის სახრე, მოხსნა ნაბადი, აყარა ქამარ-ხანჯალი და გატიტვლებული მიავლო ტახტზე. მოირგო ქამარი, შეისწორა ხანჯალი, მოისხა ნაბადი, შეათამაშა მხრები და აუჩქარებლად შემობრუნდა ჩემკენ. ჯერ თვალებით გაილიმა, მერე უღვაშებით და ბოლოს მთელი სახით.

– რაო, პაპი, მიხდება? თუ დიდი მაქ?

მეც გავუღიმე პაპას, მაგრამ პასუხი ვერ გავბედე. რომ მეთქვა გიხდება-მეთქი, მეტყობდა: თუ მიხდება, შენ რაღად უნდა გაჩუქო. რომ მეთქვა დიდი გაქვს-მეთქი, მეტყობდა: მე თუ დიდი მაქვს, შენ უფრო დიდი არ გექნებო?

საერთოდ, ჩემი ხნის ბავშვი პირდაპირ უპასუხებდა ამ ვითომდა იოლ შეკითხვაზე, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ეს უბრალოდ დასმული კითხვა არ ყოფილა. პაპას ხშირად უყვარდა ორმხრივი კითხვების დასმა, რომლებსაც რამდენიმე სწორი პასუხი ჰქონდა ერთდროულად. მე პასუხებიდან ყველაზე უფრო სწორი უნდა შემერჩია და თან არგუმენტებით შემეკახმა ჩემი არჩევანი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვყავდი განბილებული ჭალარა მოხუცს. შეცდომის ან დაუფიქრებლობის პატივს არ უყვარდა პაპას. ერთი დაუფიქრებელი პასუხი და ნასული იყო ჩემი საქმე, აღარც ხვენწა-მუდარა მშველოდა, აღარც ცრემლების ღვარღვარი.

პაპაჩემისგანვე მქონდა ნასწავლი – ლაპარაკი ვერცხლია და დუმული ოქროო. პაპა ცოტა სხვანაირად ამბობდა ხოლმე ამ სიტყვებს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს შეგონება საჭირო დროს გამახსენდა. ჩამოსხნილი ნაბდის შემხედვარე ისე ვიყავი აღტაცებული, ფიქრის თავი ნამდვილად არ მქონდა და არასწორ პასუხს ოქროს დუმული ვამჯობინე.

გამიმართლა.

პაპამ ან სწორ პასუხად ჩამითვალა უპასუხოება, ან გამონაკლისი დაუშვა და აღარ ჩამაცვიდა.

ისევ გამოიღმა მოხუცმა, კიდევ ერთხელ გადაამისვა თავზე ხელი და კარისკენ გაემართა.


კართან მისული ნაბდოსანი ჩემკენ შემობრუნდა, – პაპი, ლუმელ შეუკეთე, თორე ჩაქრება და ეს ერთი ნაბადი ორივეი ვერ გავკაბობის.

ლუმელი ისედაც სავესე იყო, მაგრამ რა მათქმევინებდა შეკეთება აღარ უნდა-მეთქი. დიდი გაჭირვებით სამი ნაჭერი მაინც შევაჩოჩე შემით გამოტენილ ლუმელში.

კარიდან გასულ პაპას კვალზე გავყვი, მე გოშია გამომყვა და ასე რიგად დანყობილები ნავედით ბოსტნისკენ. საერთოდ, გოშიას ცოცხით ავდებდნენ ოთახიდან, მაგრამ ნაბდინამა პაპამ ისე დააინტერესა, რომ ცხელ ლუმელს სანახაობა ამჯობინა.

ბოსტნის კართან მეზობელმა შეგავკვლო თვალი. შეჩერდა, გაილიმა და გაკვირვებულმა დაგვიწყო ყურება მწყობრივ მიხედვნილ საშუალებას. ყველაზე მეტად კი, ალბათ, ნაბდინამა პაპამ გააკვირვა. თქმით კი არაფერი უთქვამს.

– რაო, არჩილავ, რა შაშინებული გვი-



ყურებ? ყაჩაღად გავდივართ, თუ გული გერჩის, გამოგყვი. – უღვაშის სწორებით დაპატიჟა პაპამ მეზობელი საყაჩაღოდ.

მეზობელმა ჩაიცინა, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

ჩვენც გავყვივით ბოსტნისკენ მიმავალ გზას.

პაპაჩემი შუა ბოსტანში შეჩერდა, ნაბადი მოისხნა და სუფრასავით გაშალა მზისგან ატრუსულ თოვლზე.

ძალღმა იფიქრა, მე გამიმალესო და ნაბადზე დააპირა დანოლა.

– ჰაი, შენი... სახლში ველარ ეტევი, არა?! ... – გაბრაზებულმა პაპამ კრწანისის ომში შევარდნილ მოხუც მეფესავით იმიშვლა ხანჯალი.

ზნედადაცემული და გოცეხული გოშია ნკნავილით გადახტა გვერდზე, ხუთიოდე მეტრის მოშორებით მოიკალათა და იქიდან დაგვიწყო ყურება.

– მაშ, შენ გინდა, რო ე ნაბადი გაჩუქო და თან ქამარ-ხანჯალი მოვაცოლო ფეშქაშად, არა? – პაპამ ჩაიცინა და კვლავ უღვაში გაისწორა.

– ჰო! – ასე მოკლედ გამოვხატე ნლობით ნაოცნებარი სანახაობით დაბნეულმა.

– ჰოოო და, რო გინდა, უნა გერგებოდე. ამ ნაბად ხო ხედავ? თუ პირველსავე ცდაზე გადაახტები სიგრძეში, შენი ყოფილა ნაბადი და ეგ არი, ქამარ-ხანჯალიც თან მოჰყვება ფეშქაშად. თუ ვერ გადაახტი, მემრის ამ დრომდე დაემშვიდობე და აღარა განახო, ხელი ნაავლო.

ამიჩქარდა გულისცემა. გავფითრდი.

მთელი არსებით ვგრძნობდი ძალას, რომელიც მთლიანად მე შემორჩილებოდა, ჩემი მხევალი იყო.

ასეთი რამ არასოდეს განმეცადა.

ვიდექი თეთრ თოვლზე გაშლილი შავი ნაბდის წინ და ვფიქრობდი გადახტომაზე...

იმ დღისით ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება ამიხდა. პაპამ ნაბადი მაჩუქა და ქამარ-ხანჯალიც მოაცოლა ფეშქაშად. მეზობლის ბავშვებისთვის არ მიჩვენებია ახალი საჩუქრები. ერთი, რომ შემეცოდნენ, რადგან მათ ნაბადები და ქამარ-ხანჯლები არ ჰქონდათ. მეორე, რომ მეზობლის ბავშვებს ბრუსლობანას, რემბობანას, ტერმინატორობანას თამაში უყვარდათ და თითქმის არასოდეს მეთამაშებოდნენ გლახოპაპობანას, არსენაოძელაშვილობანას, ცხრაძმახერხულიძობანას, ქაქუცააჩოლოყაშვილობანას... ალბათ, მეზობლის ბავშვებს პაპები არ უყვებოდნენ იმას, რასაც პაპაჩემი თითქმის ყოველ ღამე მიყვებოდა ძილის წინ.

დალაშქვამდე ვითამაშე გლახოპაპობანა შავ ნაბადში გამონყობილმა... იმ დღისით იმდენი ლეკი გავწყვიტე, ერეკლე მეფის მთავარსარდალსაც კი შემურდებოდა ჩემი გმირობა.

ეს იყო წლების წინათ, ჩემს ბავშობაში...

... ვზივარ ჩემი ცხოვრებასავით ნახევ-

რად აწენილ საწოლზე და ვფიქრობ გუშინინდელ საღამოზე. საერთოდ, მომხდარზე ან არმომხდარზე უმიზნო ფიქრი დიდი უაზრობაა, მაგრამ, ნაბოჰემარ შემოქმედს ახალი აზრი თუ არ მოგდის, ნარსულზე გიხდება ფიქრი; ჩვენ ხომ ფიქრისა და აზროვნების გარეშე არ შევიძლია.

კალთაში ჩვენი საზოგადოებასავით მლიქვნელი კატა მიზის, რომელიც ყოველ შეხებაზე გახარებული უმატებს კრუტუნს კმაყოფილების გამოსახატავად. რატომ ვეფერები კატას, თუკი ვიცი, რომ მლიქვნელია? მე ხომ ჩვენს საზოგადოებასაც ვეფერები. არც კატა მომწონს და არც ჩვენი საზოგადოება. არა, მლიქვნელი არა ვარ. საქმე ის გახლავთ, რომ კეთილშობილმა დედამ ისე შემაჩვია სხვათა სიყვარულს, პატივისცემას და მოფერებას, ახლა ველარ გადავჩვეულვარ.

კარის მოპირდაპირე მხარეს დიდი ოთხკუთხედი მაგიდა დგას, რომელსაც ჩვენი დროის შემოქმედებასავით ჭრელი და ფარაჩინა საფარი აფარია. მაგიდაზე აწყვია: მწერლის ჯიბესავით დაცლილი არაყის ჭიქა; მინისტრებივით აფუებული აგურის პურები; თანამედროვე პატარძალივით მოვარდნილი კომბოსტოს მწილი და დედეფალთან ქორწილამდე ნასიძარი სიძის მოთმინებასავით სავესე არყის ჭურჭელი.

– პაპი, გაგიმარჯოს! – ოცდახუთი წელი ასე მლოცავს მოხუცი პაპა ერთადერთი შვილიშვილს.

– მაღლობა პაპი, – ოცდაორი წელი ასე ვუხხდი მაღლიდან, ერთადერთი შვილიშვილი მოხუც პაპას. სამი წლისას მისწავლია ლაპარაკი.

ყურს მჭრის ტელევიზორის ხმა. ჩემთვის უცნობი სერიალის გმირები უაზრო დიალოგებით ამრავალფეროვნებენ სულელურ სიუჟეტებს.

ტელევიზორიდან მზერა კედელზე გადამაქვს. გლახო პაპას ნაბდის ადგილზე დაკიდებული ჩინური კედლის საათი გულმოდგინედ ითვლის დროს, რომელიც მას არ ეკუთვნის.

ვიღებ ტელევიზორის პულტს და რამდენიმე ნამის ინტერვალებით თანმიმდევრულად ვანვები ციფრებგადაძლილ ლილაკებს. ენაცვლება ერთმანეთს კოლუმბიური, ბრაზილიური, მექსიკური, აგრენტინული სერიალები. სურათი ყველგან ერთნაირია – უმიზნო და იდიოტური დიალოგები, საშუალოზე დიდი მკერდები, დეკოლტეები, ჰომოსექსუალები, კომიკურად ტრაგიკული სახეები და უნიჭო არტისტიზმი დაღვრილი ცრემლი. ეს იმდენად აუტანელი მარაზიმია, რომ ჩემს რკინის ნერვებსაც კი უჭირს სტაბილურობის შენარჩუნება.

– სად გადავართო, პაპი? – ჩემდა უნებურად ვეკითხები სუფრასთან მჯდომ ჭალარა პაპას.

– რავი, მაგათი პატრონი დედაც... სად უნა გადაართო, სად რა არი რო... შენ საცა გინდა, იქ გადართე.

ვთიშავ ტელევიზორს. რამდენიმე წუთში დედა შემოდის

ოთახში კოკით ხელში. ნუხელ თბილისიდან რომ ჩამოვედი, ონკანიდან წყალი ავესე, დამავინწყდა, რომ არ უნდა დამეკეტა და გაიყინა. სანამ მე ავდგებოდი, დედა წყლის მოსატანად წავიდა.

– შვილო, საწოლი მაინც აალაგე და ისე დაჯექი. ვინმე რომ შემოვიდეს, რას იტყვის, სირცხვილია.

რაც თავი მახსოვს, დედა სულ იმაზე ნუხს, ვინ რას იტყვის, ვინ რას იფიქრებს, ვის რა აწუხებს, ვის რა შეაწუხებს, ვისთვის რა არის მისაღები და ვისთვის რა არის მიუღებელი. დედა იმაზეც ნუხს, ჩემთვის სულ ერთი რომ არის საზოგადოების შეხედულებები. არადა, მე მართალი ვარ. საზოგადოებას არასოდეს არა აქვს საკუთარი აზრი, რადგან საზოგადო აზრი – ეს პირობითი ცნებაა. ნებისმიერი აზრი და შეხედულება ერთი ადამიანის ჩამოყალიბებულია, რომელმაც კანდიერად დაიურვა ასეულობით, ათასულობით და მილიონობით ადამიანის აზროვნება. მე ადამიანთა შორის მხოლოდ ქრისტეს ვცნობ ჩემზე უზენაესად და სწორედ ამიტომ არასოდეს გავითვალისწინებ სხვის აზრებს და შეხედულებებს იმის გამო, რომ მას ასობით, ათასობით და მილიონობით ადამიანი ითვალისწინებს.

შეხედულებები, მოდა, ეთიკა, საზოგადოებრივი ქცევის წესები მოცემულია და სულელურად არის ტოკოკრატებმა გამოიგონეს. ბრძენ არისტოკრატს ამეებზე საფიქრად არ სცალია; არც გლეხს, რადგან იგი დღემოდამ შრომაში ხარჯავს უფლისგან ბოძებულ დროს. ვინც ითვალისწინებს საზოგადოდ დამკვიდრებულ მოდას, ეთიკას, ქცევის წესებს და საყოველთაო მორალს, უფრო სულელია, ვიდრე ის, ვინც ეს ყოველივე მოიფიქრა. ადამიანი საკუთარი არსების გამოხატავაში და ცხოვრების წესში ინდივიდუალურად, ანუ ტრანსსუბიექტურად თავისუფალი და შეზღუდული უნდა იყოს. მთავარია, შენი თავისუფლებით სხვის ინდივიდუალურ თავისუფლებას არ შეუშალო ხელი, დანარჩენ შემთხვევაში ყველაფრის უფლება გაქვს, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ღმერთმა ედემიდან გამოგდებულ ადამიანს არ წაართვა, თავისუფლებაა, პიროვნების გამოხატვისა და მოქმედების თავისუფლება. ადამიანი კი თავად ართმევს საკუთარ თავს ამ ღვთისგან ბოძებულ უფლებას, როცა ითვალისწინებს საზოგადოდ აღიარებულ შეხედულებებს – ეს ხუნდია, რომელიც სამყარომ საკუთარი ხელით დაიდო და კიდევ ასწულელები ვერ გათავისუფლდება მისგან, რადგან ადამიანის სწრაფვა – იყოს საზოგადოებრივი, უფრო და უფრო იზრდება.

ვდგები საწოლიდან. მართალია, აულაგებელი საწოლი არ მანაღვლებს, მაგრამ არ მინდა, ჩემი შეხედულებების გამო დედას გავუფუჭო ხასიათი. მე ჩემზე წინ მხოლოდ უფალს და ჩემს ღმერთებს ვაყენებ: ქრისტეს და დედას. ჩემი შეხედულებები მეორეხარისხოვანია, როცა ჩემს ღმერთებზე მიდგება საქმე, სხვა შემთხვევაში კი საზოგადოების აზრია მეასეხარისხოვანი, უფრო ზუსტად, უხარისხო.

დედა მკოცნის და საწოლის ალაგებას იწყებს. მე და მლიქვნელი კატა ველოდებით, როდის დაგვრთავენ ნებას, დავუბრუნდეთ ჩვენს ადგილს.

ვჯდები ლამაზად ალაგებულ საწოლზე.

ვათვალისწინებ ოთახს. შემის ლუმელის ადგილი გაზის გამათბობელს დაუკავებია და ედემის გველივით სისინებს. მახსენდება რცხილის შემად და ბავშვობის ნოსტალგია გულს მიჩქროლებს.

აღარც შემის ლუმელი, აღარც გლახო პაპას ნაბადი და აღარც ჩემი გოშია.

თურქული გაზის გამათბობელი, ჩინური კედლის საათი და მლიქვნელი კატა.

მე სოფლიდან რაღაც ახლის საძებრად წავედი ქალაქში, ვერ ვიპოვე და დავუბრუნდი ძველს, რომელიც განახლებული დამხვდა.

მე დავიკარგე დროში, უფრო სწორად, ჩემს უთავბოლო მოგზაურობაში დამეკარგა დრო და ახლა საკუთარ არსებას-

►► გაგრძელება მ-18 მ.



**„ლ.ს.“ მიმოხილველი:**

\*\*\*  
წინ მიდევს სხვადასხვა შემთხვევა-თა გამო სახელდახელოდ დაწერილი წერილ-წერილი ლექსების მოზრდილი რვეული, რომელიც ნამდვილი გვარ-სახელის შეგნებულად დამძალავს, ვინმე ბუტა ფორიას, ჩემი არყოფნი-სას რედაქციაში დაუტოვებია (თანამ-შრომლებმა გადმომცეს, ხანდაზმუ-ლი, სერიოზული შესახედაობის კაცი ჩანდაო), თან უთქვამს, გამოქვეყნების იმედი არ მაქვს, მაგრამ რედაქტორმა მაინც გადაათვალიეროსო.

„ვინმეს“ რომ ვამბობ, ეს ამ რვეუ-ლის დამტოვებელს სანყენად არ უნდა დარჩეს, რადგან ასე ქართული ტრა-დიცია ერთი ციციქნა ლექსების უცნობ ავტორს კი არა, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერ გენოსს მოიხსენიებს – თვით რუსთაველსაც „ვინმე მელექსე“ უწო-დეს.

მთავარი სხვა რამეა – მე არა მარტო გადავათვალიერე, გულმოდგინედაც წავიკითხე ეს რვეული და დავრწმუნ-დი, მთლად უბრალო შემთხვევასთან არ მქონდა საქმე – მისი დამტოვებელი ბედისგან, გარემოებისგან, უკეთური, ბოროტი ადამიანებისგან მეტისმე-ტად დაჩაგრული გამოიყურება და, პა-ტარაზე ხელი თუ არ შევაშველე, ჩემს სინდისთან მართალი ვერ ვიქნები.

ბუტა ფორიას მუნახიბების უმეტე-სი ნაწილი, მე თუ რამე გამეგება, ეპიგ-რამის უნდა განეკუთვნებოდეს. აღნიშნული უნარი თითქმის ლირიკას-თან ერთად ჩაისახა. მოვეხსენებთ, ეპიგრამა ბერძნულად წარწერას ნიშ-

ნავს და თავიდან მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ეს იყო მცირე წარწერე-ბი სხვადასხვა ნივთებზე, ქანდაკებებ-ზე, საკურთხეველებზე, საფლავებზე (ეპიტაფიები) და სატირული შინაარ-სი მოგვიანებით შეიძინა. კლასიკური ტიპის ეპიგრამად შეგვიძლია მივიჩ-ნიოთ დიდი ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის „კნიაზ ბა-რათაევის აზარფეშაზედ“:

ამავსებ ღვინით,  
აგავსებ ღვინით.  
შესვი? გაამოს!

ვერ შეგპირდებით, რომ ბუტა ფო-რიას ეპიგრამები მის ადრესატებს სიამოვნებას მოუტანს, ღვინისა და ქვიფის გუნებაზე დააყენებს, მაგრამ მკითხველთა უმრავლესობას რომ მხიარულებას მოჰგვრის, ეჭვი არ მე-პარება.

ეპიგრამა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა პირველი საუკუნის დიდმა რომაელმა პოეტმა (წარმოშობით იგი ესპანელი იყო) მარციალმა და მძაფრი სატირული უღერადობაც ამ მინიატურ-ულ უანრს მანვე მიანიჭა, რის შემდე-გაც იგი მტკიცედ დამკვიდრდა მსოფ-ლიო ლიტერატურაში.

საფრანგეთში ამ მხრივ გამოირჩე-ოდნენ ლაფონტენი და ვოლტერი; ინ-გლისში – ბერნსი და ბაირონი; გერმა-ნიაში – ჰაინე; რუსეთში პუშკინისთა-ნა მწვავე ეპიგრამებს ვერავინ წერდა. ყველა ჩვენგანმა იცის, ილია ჭავჭა-ვაძესთან ერთად როგორი სუსხიანი ეპიგრამების ავტორია აკაკი წერეთე-ლი. სატირული პათოსი, სარკაზმიც კი, მძაფრად იგრძნობა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, რის მაგალითებ-

საც უხვად გვაძლევს მისი საარქივო გამოცემის მერვე, ვეებერთელა ტომი.

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზი-აში „ფუნაგორიებად“ ნოდებულები უმ-წვავესი ეპიგრამების ბრწყინვალე ოსტატი იყო ლადო ასათიანი. ეს ცხო-ველმყოფელი უანრი ამჟამადაც ფეხ-მოკიდებულია ჩვენში, რის ნოყიერ ნიადაგსაც დღევანდელი, არც მთლად დალაგებული ყოფა-ცხოვრება წარ-მოადგენს. აქვე მინდა გავიხსენო, თუ როგორ ცეცხლოვან, ხალასი იუმო-რით სავსე ეპიგრამებს აფრქვევდა სამოციანელთა სახელოვანი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგე-ნელი ზაურ ბოლქვაძე, ამ უანრში მისი დანატოვარი უთუოდ ცალკე წიგნად უნდა გამოიცეს.

ზემოთ ჩამოთვლილ კორიფეებთან წერილფება ბუტა ფორია რა გამოსა-ჩენია, მაგრამ სანაგვეზე გადასადე-ბად მაინც არ გვემეტება და, ვფიქრობ, მცირედენი შანსი უნდა მივცეთ. მით უმეტეს, არაერთ უმსგავსობას, სიმა-ხინჯეს ჯიქურ უპირისპირდება და, ასე თუ ისე, კალამიც უჭრის. აშკა-რად, დაუფარავად ებრძვის ქართულ პოეზიაში გულისამრევად მომრავლე-ბულ, ვერლიბრს ამოფარებულ უნიჭო-ებს, ლექსის გემო რომ პირწმინდად დაგვაკარგინებს, აგრეთვე, მწერ-ლობაში მოკალათებულ საქმოსნებს, რომლებიც მხოლოდ პირად გამორ-ჩენაზე ზრუნავენ. ასევე გაბურთავე-ბული ჰყავს პარაზიტებად ქცეული ცრუქაქუნა, დემაგოგი პოლიტიკანე-ბი, ლაქლაქის მეტს არაფერს რომ არ აკეთებენ. ამ ეპიგრამების ავტორი სუ-ლის სიღრმემდეა შეძრული საქართვე-ლოს ისტორიული ტერიტორიების და-

კარგვის გამო და დაუნდობლად ხდის ნილაბს იმპერიული რუსეთის მიერ დასმულ მარიონეტებს.

სიმციროს გამო, ეპიგრამა ძალზე მოქნილი, მოხერხებული უანრია და მის დამწერს საშუალებას აძლევს, დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ამა თუ იმ მოვლენას, ხოლო, თუკი ვინმეს უკადრისი საქციელით გაანაწყენებს, მასაც მაშინვე მიუზღოს სამაგიერო. ეს კოზირი ხშირად არის გამოყენებუ-ლი ამ რვეულში.

დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ცხოვრებაში არც ისე დაღვინებული ბუტა ფორია ყველაზე მეტად პრემიე-ბის კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანე-ლებს გაუცოფებია.

უნდა ითქვას, ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ამჟამადაა. და-ჯილდოების პრეროგატივა მთლიანად მიითვისა ვადაგასულმა, ჭკუიდანაც გადასულმა, გვარიანად შექანჯალე-ბულმა პრეზიდენტმა – პრემიებს, ვისაც და სადაც მოეპრიანება, იმათ ურიგებს ალილოსავით.

ჩემს მიერ ნაკითხული ეპიგრამე-ბი თემატურად საკმაოდ მრავალფე-როვანია (ყველაფერს ვერ მიმოვი-ხილავდი), ოსტატობის მხრივაც არ დაინუნება და გადავწყვიტე, ხამუშ-ხამუშ, შერჩევით გამოვაქვეყნო, თო-რემ მათი ავტორი ბუტა ფორია ცოტა ბოლმინი ტიპი ჩანს, მეშინია, მეც არ გამინაწყენდეს, გამებუტოს. მკითხვე-ლიც თუ არ დარჩა უკმაყოფილო, მა-შინ ჩემს გადაწყვეტილებას მეტი გა-მართლება ექნება.

**ნ ა უ რ ჯ ა თ ე ვ ი**

ქველი რვეულიდან

**დომხალი**

არეულია ძალი და კატა,  
ბახალა, ბარტყი, ლეკვი და კნუტი,  
ნესვი და გოგრა, ნესვი და ქადა,  
სწორი და მრუდი, გრამი და ფუთი.

**რამდენს ჰგონია**

გახედე, ირგვლივ რა სიდამპლეა,  
ვერ მოუნახავს რამდენს ამპლუა,  
რამდენს აკვრია თვალებზე ლიბრი,  
რამდენი კიდევ ყრუა ან ბლუა.

რამდენი ცრუ და ინტრიგანია,  
მოაფერისტო, გინა მობოზო,  
გაგეცინება, რამდენს ჰგონია –  
უკვე გავედი სამშვიდობოსო.

**განწირული**

ვერც კი ხვდება, რითვინა,  
თავი გამოიტივინა,  
ჩასანთქმელად ელოდება –  
ხრამი, ანუ „რიტვინა“.

**როცა ყველაფერი სულერთია**

გინდა – შალი მოიხვიე,  
გინდა – მოიხურე მანტო;  
ვერაფერი გადაგარჩენს,  
ის ჩაგაქრობს, ვინც აგანთო.

**თავაშვებულობა**

ზოგი ქალი ნამეტნავად  
მეტიჩრობს და კაპასობს,  
უშნოდ დაიკვანნებიან –  
შარვალი ჯობს კაბასო.

მუხლებს, ბარკლებს ვილა ჩივის,  
ზოგი მთლად შიშველია;

გაბრძელება იძნება

კარგად არი ჩვენი საქმე:  
„ოღელია, დელია!..“

\*\*\*  
რამდენიც გინდა, ელოლიავე,  
მაინც სიავედ რჩება სიავე.

**არ კმარა სამშვიდობო აქცია**  
(ზეიმი რესპუბლიკის მოედანზე)

ჩვენივე თავი თვით გადავხაზეთ,  
მაფიქრებს როკვა... ამდილანდელი...  
ვერც ქართლს, ნახევარს,  
და ვერც აფხაზეთს  
ვერ დავიბრუნებთ თეთრი მანდილით.

**რა გვემართება?!**

უფალმა ერთად გვიბოძა –  
ვაჟა, აკაკი, ილია...  
ერთიც ვერ გამოვიყენეთ,  
უკეთურ გზებზე გვივლია.

**ბოლმინი**

სულ იმას ცდილობ – შენიანს  
რა უმტრო, რა უხიმანო,  
რა ნაგავი ხარ, რა მძორი,  
ადრეც ვიცოდი, იმანო!

**ცნობილ გარენარს**

შავ ყელს რა ურცხვად იღერებ,  
თესლო ბოროტო, ნაყიდო,  
შე ჭუჭყო, გასაჭეჭყელო  
უროთი, ქვასანაყითო.

**დამოუკიდებლობის გამოცხადების  
მეორე დღე**

სულ თუ ასე ვიქენით –  
„დამოუკიდებელი“ –  
არ დავრჩებით არც ერთი  
ჩამოუკიდებელი.

**მინანერი თამაზ ნივნივადის წერილზე**

ესეც შენ, ჩემო ხუტული,  
მაგრად ხარ ამოპუტული.

**საშველი არ ჩანს...**

იქით – „აიდგილარა“,  
აქ – „ადამონ ნიხასი“...  
შუა რუსის ჯარი დგას,  
გვაქვს იმედი ვილასი?!

**რჩევა**

თუ გინდა ჭამა, კარგად შემოსვა,  
კერპი დიდ ტახტზე უნდა შემოსვა.

თუ გსურს, დაიდგა კარგი „მებელი“ –  
გახდი მლიქვნელი, მაამებელი.

**ზოგიერთი ერთტომეულის ავტორს**

მინდა გითხრა მართალი:  
შენი ტომი-ტომარა,  
არ გამოიცემოდა,  
მარიფათი რომ არა.

**ყველაფერი ნებადართულია**

არ აკლდება ამ ქვეყანას  
სიგანე და სისქე;  
ზოგი – უკეთესობისკენ,  
ზოგიც – უარესისკენ...  
საცა გინდა, იქით გასნი,  
რაიც გსურდეს, ის ქენ!

**უაზრობა**

რა ქონებას ეტანები  
ან რა ჭირი გეფულება;  
რა კანონი გვისაშველებს  
ან რომელი დებულება,  
სახეზეა საქართველოს  
ფეხზე დაკიდებულება.

ბუტა ფორია



◀▶ 20-16 გვერდიდან



თან მარტოდმარტო ვდგავარ, უხანო ადამივით, შეცდომილი და დაბნეული.

ოთახში დედა შემოდის რძით სავსე ქილით ხელში. მე ძალიან მიყვარს რძე და, როცა სოფელში ვარ, დედა ყოველ დილით ყიდულობს რძეს ჩემთვის.

– შვილო, ტელევიზორი ჩართე, გუშინ სერიალს ვერ ვუყურე და ახლა გამეორება იწყება.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ შემბრალებია მშრომელი დედა მძიმე ცხოვრების გამო. რამდენჯერ მომდგომია თვალზე ცრემლი ყოფით განაშფოთებული, დაღლილი ქალის შემხედვარეს. მაგრამ დედაჩემის სერიალისადმი ინტერესი ისეთ უცნაურ სიბრაღულს იწვევს ჩემში, როგორც არასოდეს განმიცდია.

ერთად ტელევიზორს და პულტს დედას ვაწვდი.

– პაპი, კედელზე რო ნაბადი გვეკიდა ხოლმე, რა იქნა?

პაპა მიღიმის – რა ვიცი, აბა, რა იქნა, შვილო. ეგე, დედაშენ ეცოდინება.

– დედაჩემო, სად არის ნაბადი, საათის ადგილზე რომ ეკიდა ხოლმე.

– რა მახსოვს, შვილო, მოძებნა უნდა.

– ვერ მომიძებნი?

– ხო, მერე მოგიძებნი.

– როდის მერე?

– რა ვიცი, მოგიძებნი. ზუსტად აღარ მახსოვს, სად შევინახე.

– რატომ ჩამოსხენით?

– დიდ ადგილს იკავებდა.

– დეე, მომიძებნე რა, ის ნაბადი.

– როგორი შენუხება იცი, შვილო. დამთავრდეს ეს სერია და მოგიძებნი.

– კარგი, რომ დამთავრდება, მომიძებნე.

– მოგიძებნი, ხო, მოგიძებნი, – ბრაზობს დედა.

თხუთმეტი. ოცდაათი. ორმოცდახუთი.

ორმოცდახუთი წუთის შემდეგ სერიალი მთავრდება, უფრო სწორად, მეოთხე-მოცე სერიაზე წყდება.

დედა ოთახიდან გადის. სამი. ექვსი. ცხრა.

ცხრა წუთის შემდეგ ეზოში ტყაპატყუპის ხმა მესმის.

გავდივარ ოთახიდან. დედაჩემი შეინდის გადაჭრილი სახრით მტვრიან ნაბადს ბერტყავს.

ნაბდის დანახვაზე გუნება მიხალისდება. დედას კოცნით ვუხდი მადლობას განუული სამსახურისთვის და ნაბდის დაბერტყვაში ვეხმარები.

შევდივარ ოთახში. ვეძებ ვერცხლის ქამარ-ხანჯალს. ვპოულობ. ვირტყამ წელზე.

ვიცვამ პაპაჩემის ჩექმებს. ვიხურავ ნაბადს. ოცდაათი. სამოცი.

ოთხმოცდაათი. საათ-ნახევარზე მეტ ხანს მივასეირნებ ჩემს გახალისებულ ფიქრებს ხმელი ფოთლებით გადაპენტილ ტყეში. უკან ჩემი ბე-

ბერი გოშია მომყვება, რომელიც კუდის ქიცინით გამოხატავს საკუთარ განწყობას. ფეხებზე მელამუნება მწვანეფოთლიანი ფათალო. ხეები შურით უყურებენ მწვანეფოთლიან ფათალოს, რადგან თვითონ შიშვლები არიან და რამდენიმე თვე კიდევ ვერ ჩაიცვამენ მწვანე სამოსს.

გჩერდები ხავსით დახალულ, ნახევრად დანგრეულ კედლებთან, რომელიც გალავანია კირით ნაგები ტაძრისა. ეს ტაძარი ახალი ნეოლარიციხვის პირველ საუკუნეებშია აშენებული და მას „სანაგირე“ ჰქვია. ძველად, მტრის შემოსევებისას, კახელები ამ ტაძარს აფარებდნენ თავს. ტაძარი მძლავრად დგას, მაგრამ ეტყობა, რომ ადამიანები აღარ სტუმრობენ, სიმორის გამო. ტაძარი კილომეტრებით არის მოწყვეტილი დასახლებულ ადგილს. ტაძარს აქვს ღვინისა და სანოვავის შესანახი სათავსოები, აქვს სათოფეები, აქვს გვირაბი, რომელიც რამდენიმე კილომეტრში ამოდის ნაკადულთან; სწორედ გვირაბის საშუალებით შემოქონდათ სასმელ-სანოვავე მტრით გარემოცულ ციხის მცხოვრებლებს.

შევდივარ ტაძარში. ვანთებ სანთელს. ვავედრებ განგებას ჩემს შეცდომილ და ცოდვილ არსებას. გულმოდგინედ ვათვალიერებ რამდენიმე წლის უნახავ ტაძარს.

გამოვიდივარ ტაძრიდან და ვჯდები უშველებელ მორზე, რომელიც დარაჯი დევივით ნამონილია ტაძრის ეზოში.

„გენია“ ფრუტუნებს. აღგზნებული „მე“ ხილვებს ერეკება მირაჟიდან.

ქვეცნობიერი გაუჩერებლად იმეორებს ახლად ჩამომწყემსილ პნკარებს.

იბადება ორი ახალი სტროფი, რომლებსაც რამდენჯერმე ვიმეორებ ხმაშეშვით და ემოციით.

„გენია“ შმაგდება. „მე“ ხელდება.

არც კალამი მაქვს და არც ფურცელი. სოფელში არასოდეს დამინერია ლექსი. ნამდვილად არ ველოდი, რომ დღეს რამეს დაგწერდი, მით უმეტეს, აქ, ტყეში.

არ მინდა ამ ლექსის დაკარგვა. თუ არ ჩავიწერე, აუცილებლად დამეკარგება, რადგან ძალიან გაფანტული მეხსიერება მაქვს, რაც, ალბათ, რამდენიმეწლიანი ბოჰემური ცხოვრების დამსახურებაა.

ერთი. ორი. სამი.

თოვლის ფიფქები ფერივით მოფარფარებენ ციდან. ეს ამ წლის პირველი თოვლია.

ეკლესიის ეზოში ვეძებ ბრტყელ ქვებს. ვპოულობ რამდენიმეს.

ვეძებ ნახშირებს, ვპოულობ ნაცეცხლურზე.

ვბრუნდები მორთან. ვინყებ ბრტყელ ქვაზე ნახშირით ლექსის წერას.

კვდება ადამიანი ჩემში და იბადება ნახევარღმერთი. ეს გათიშვია არსებულისა. განსხეულებაა ცოდვილი ლექსისგან. განმხოლოებაა მთლიანისგან.

ათი. ოცი. ოცდაათი.

„გენია“, „მე“ და მე ნახევარ საათზე მეტხანს ვნეტარებთ სიტყვათა ურვებით, შემოქმედებით მისტერიას აყოლილები.

ერთი. ორი. სამი.

სამ ბრტყელ ქვაზე ეტევა ნახშირით დაწერილი ლექსი.

ვიხდი პერანგს, რომელიც მაისურის ქვეშ მაცვია. გახდილ პერანგში ვახვევ ლექსიან ქვებს. პერანგში ვახვევ ლექსიან ქვებს სათუთად ვინახავ ნაბადქვეშ.

ვბრუნდები სახლში. იქ, სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობენ.

ნაბადქვეშ ლექსიანი ქვები სასიამოვნოდ კრიალებენ, მათი ხმაურიანი მცხუნვარება მთელს სხეულს ნეტარებით მითბობს.

დღეს მე პირველად დაგწერე ლექსი სოფელში.

თოვს. აღარ ვბრაზობ ზამთრის გამო. ■

სატირა

თუ შენ ოდესმე მოწმენდილ ცაზე ამ ღამის თბილი გიგრძნია ნიავე მაშ, გამოფხიზლდი და თვითონ მიხვდი, უბრალოების პიკი იყავი.

დასაწყისია ყოვლისა ბოლო, ამას გეძახდნენ, მაგრამ ქართველო, შენ არ გჯეროდა და კი ხარ ახლა გაშავებული თეთრი საყელო.

თვალებს დახუჭავ, ქვეყნის ბოლომდე ახელის დარდიც სულ მთლად გაგიქრა; მიზეზიც იყო და ისიც გაქრა, თვით ის მიზეზიც... თვით ის სატირაც.

მოგვდგამს ნარსულთ ანმყო ძლიერი და არც ფიქრდები და არც წითლდები, ნეტავ, თუ მართლა შენ უნდა გერქვას ძე იმ ქართველთა?!

დრო ხომ ოდესმე უნდა მოვიდეს, რომ დაგაფიქროს ზეცით მავალი და მიგახვედროს, ბოლოს და ბოლოს, ამა მიზეზთა ბრალი არ არი.

ძნელია, რომ შენ გერქვას ადამი და სულ ფიქრობდე: ევა სად არი, რადგან ორივემ ხომ კარგად ვიცით, რომ სამოთხისკენ კარი არ არი.

ზოგადიდან იბადება კონკრეტული და არა პირიქით

ლამეში ერთხელ ერთმა ოცნებამ ზედ ცის კამარას მოაგლო თვალი და საუკუნოდ ჩვენს დიდ მომავალს მან დაუდგინა მისი სავალი.

გზა გააგრძელა თურმე ზეციდან და გადავიდა თან სულიწმინდა, ერთ ადამიანს თავზე დაეცა, ვით კუპიდონის მწველი ისარი... ეს ვინმე იყო სწორედ ის ხალხი, რომელსაც გული სავსე აქვს დარდით, და ყოველ მათგანს, როგორც ერთ მთლიანს, პირს



ბიორბი ჩაკვეტაძე

აკერია – „ნეტა, რა არი მამოძრავები, სრულიად ერის სულისჩამდგმელი აღმაფრენები?“ სწორედ სიყვარულს და რწმენას მარადს, ძალუძს ხსნა ჩვენი საქართველოსი.

აინი

როცა ინათა ფიქრში წარსულმა, ნუთმა ყოველმა, ნამად გასულმა არ დაგაფიქრა მანვე სასრულმა?!

მიზნის ჰორიზონტს თუკი გასცქერი, რეალობაში ზღვარი გაჭერი, ფერად შეღებე ცა ერთდროს – „სერი“, სახლად აქციე ქვეყანა შენი.

ვისაც ოდესმე ძლიერ ტყენია, ვინმემ უწოდა კი მას გენია?! სამშობლოს გვერდით მას დადენია სისხლი – გახედე, ეჰ, რამდენია.

როცა ინათა ფიქრში წარსულმა, ნუთმა ყოველმა, ნამად გასულმა, არ დაგაფიქრა მანვე სასრულმა?! შენზე მაღალზე, ალბათ, ასულმა.

ბოლო ნაწილის ჩნდება საწყისი, აყვავებული, როგორც მაისი; სწრაფი იმედი: ედელვაისი – ღამეს ყოველთვის ახლავს აისი.

ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

4-5 სექტემბერს უკვე მესამედ გაიმართა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

4 სექტემბერს ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი). ავტორებმა ნაიკითხეს საფესტივალოდ წარმოდგენილი ლექსები.

გამარჯვებულთა დაჯილდოება და საფესტივალოდ გამოცემული წიგნის: „წმინდა ნინო ქართულ პოეზიაში“ და ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვარი“ რიგით მესამე კრებულის წარდგინება გაიმართა 5 სექტემბერს საქართველოს მწერალთა სახლში.

დამსწრეთ მიესალმნენ **ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ესაძე, რეზო ადამია, ზაალ ბოტკოველი და გივი ჩიღვინაძე.**

ლონისძიება მიჰყავდა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს **ლია დაუშვილს.**

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **მამა ილია ჩიკვაძე, გენო კალანდია, მარიამ ნიკოლაური, ზაალ ბოტკოველი, გივი ჩიღვინაძე,** ფესტივალის მთავარი პრი-

ზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ – დააჯილდოვა **ელგუჯა ლებანიძე და ელდარ ჭიჭიაშვილი.**

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ – დაჯილდოვდნენ: **ლალი ჯაფარაშვილი, ანტონ გაგუა, ალექსი გოგბერაშვილი, ფარნაოზ რაინაული, მარიამ ქსოვრელი-ხართიშვილი, ზურაბ ყოლბაია (იმიერი), იამზე არველაძე-ხეცურიანი, ცისანა თვალაშვილი.**

საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ – დააჯილდოვა **როსტომ ჩხეიძე.**

ასევე, ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ – დაჯილდოვდა შესანიშნავი პოეტი **ზინა სოლომონიშვილი.**

ფესტივალის ძირითადი მხარდამჭერი იყო საქართველოს კულტურისა ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მხარდამჭერები: თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, საქართველოს მწერალთა სახლი.

ქრისტიანული პოეზიის მომდევნო, IV ფესტივალი გაიმართება 2014 წლის ივნისში.



**ბიბლიური იგავი**


დროდადრო  
შენი მოყვასის თვალში  
ღეროს შენიშნავ,  
იმასაც ხედავ,  
როგორ ღივდება, იფურჩქნება,  
სიკეთის და ბოროტების  
ძლიერ კედარად როგორ იზრდება,  
რომელსაც მერე  
ლიბანელი ხის მჭრელები  
ძირში მოჭრიან.  
მოხუცი ხურო კი  
მისგან მაგარ დირეს გამოთლის,  
რომელსაც მერე თვალთ ატარებ  
და ველარ ამჩნევ.

**სიკვდილი**

სადღაც აქ არის,  
მახლობლად დადის,  
მუდამ წრიალებს,  
დაბორიალებს,  
თავის შედგენილ მისამართებით  
დალლას როდი გრძნობს,  
გამძლე გული აქვს.  
არ ჩავარდება დეპრესიაში.  
არ აქვს ამის დრო,  
ჯანმრთელობის ეტალონია,  
მარჯვე თვალი აქვს,  
ამოდ ფიქრობთ, გაეპარებით,  
მეხსიერება ბრწყინვალე აქვს,  
თავს მოიტყუებთ  
თუ იფიქრებთ,  
დაავიწყდებით.  
გულმოდგინეა,  
დაკვირვებული  
და დიდად ზუსტი ჭვრეტა სჩვევია.  
წასვლის ჟამს ხელი გამომინოდა.  
მისი თითები მყიფე იყო.  
ცხელ ზაფხულის დღის თაკარა მზეში  
ვიგრძენ, სხეული შემოდგომის სუსხმა  
განჭოლა.

**აღმოჩენა**

გულში ტკივილი ჩაიბუდებს,  
იგრძნობ, გული რომ გქონია.  
თვალისჩინი რომ დაგაკლდება,  
იგრძნობ, თვალეები გქონია.  
მეხსიერება დაგებინდება,  
იგრძნობ, გონება გქონია.  
შენ თავს აღმოაჩენ  
შენივე თავის უარყოფით.  
შენი არსებობა  
შენი არსებობის  
უარყოფის საშუალებით ვლინდება.



რიშარდ კაბუჩინსკი

•••  
ვერტიკალურად  
ფესვები  
მინაში იკარგებიან,  
ღრმად ეფლობიან.  
მათი არსებობა  
ფარული და იდუმალია.  
ცდილობენ,  
გაბურღონ  
სილის მარცვალი.  
სალი კლდეები,  
ლავეები და  
მინერალები,  
მინაზე ამოყრილები,  
უმოქმედონი,  
ჭკნებიან.  
ნუჭრიანი თითები  
ცისკენ აუნვდიათ.  
მათი ლოცვა-ვედრება  
გაუგებარია,  
უთარგმნელია.  
ფესვების გამოცდილება:  
ცხოვრება სიღრმისეული  
წვდომაა.

•••  
ყოველი საგანი,  
რომელიც ჩვენი ძალაა,  
ამავდროულად ჩვენი სისუსტეა.  
ყოველი საგანი  
თავისთავში  
საპირისპირო დამლას  
ატარებს.  
როგორც ნომერი  
ტატუირებული  
ტუსალის მკლავზე,  
როგორც ასო, ამოქარგული  
ხუნდებგაყრილი  
პატიმრის ტანზე.  
თავს ვერ დააღწევ,  
გინდაც ვიაროთ  
თავდაჯერებით  
თავალერილმა და ამაცემმა  
ასო-ნომერი უმაღლე გვამცნობს,  
ეს არის მსხვერპლი  
მგლისტყაოსანი  
და დალდასმული ისტორიაში.  
Ecce homo

•••  
მესიზმრა, მდელოზე ვინეკით,  
მაგრამ ხომ არ ვნოლიღვართ მდელოზე.  
მესიზმრა ტყე და  
ვიღაც იდგა ტყის პირას. მოგვჩერებოდა,  
მაგრამ არც ტყე იყო  
და არც არავინ არ გვიცქეროდა.  
სადღაც ვიყავით,  
მაგრამ იმ სიზმარს, სად ვიმყოფებით,  
არა სურს მოსვლა.

•••  
ყოველივე თავისთვისაა,  
თავისთვის მიდის მატარებელი,  
თავისთვის მძოველ საქონელს რომ  
სწრაფ ჩაუქროლებს.  
თავისთვის არიან  
გუნდად შეკრული ოლეები,  
ახლად აყრილი ფიჭვნარები  
თავისთვისაა მუხა კორომში.  
თხილნარის ღობე,  
მდელოც ბრინჯაოს კვლებში.  
დიდი მინდვრები და ჭალებიც.  
ვიღაც შარაზე ველოსიპედით  
ქარში მოხრილი და მობუზული  
მიქრის თავისთვის. უძრავად ზის,  
პირმდუმარეა,  
უფრო და უფრო ღრმად ვეფლობით  
საკუთარ თავში.

•••  
ისე დავშორდი საკუთარ თავს,  
რომ აღარ ვიცი,  
ვინ ვარ და რას ვგრძნობ,  
როცა წვიმაში გავილუმპები.  
არც გარდასახვის ჟამს,  
მზისგან გადამწვარ ბალახის ღეროდ  
როცა ვიქცევი,  
არ ძალმიძს, თავი ჩემი რარიგ ვიპოვნო,  
აღწერო სახე ჩემი,  
დავასახელო,  
რათა დავრწმუნდე, რომ კვლავ ვარსებობ.

•••  
დავწერე ქვა,  
დავწერე სახლი,  
დავწერე ქალაქი,  
გავტეხე ქვა,  
დავშალე სახლი,  
მოვსპე ქალაქი,  
ფურცელზე კვალი დარჩა ბრძოლის –  
ქმნასთან და ნგრევას შორის.

•••  
სიჩუმე იდგა ველზე,  
გზად მიმავალს,  
სიჩუმეში ჩაძირვა მსურდა.  
გავშეშდი.  
მოვთოკე თმენა.  
მაგრამ ვერ შევძელ  
უმოდრაობა,  
როცა შარაზე ფრთაშესხმული  
ქრის მოტოციკლი.

პოლონურიდან თარგმნა  
ჯემალ ჭელიძე



# „სამყაროელი მოძრაობა“

გამოვიდა გასავ (აკაკი) გასვიანის ორიგინალური ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომი „სამყაროელი მოძრაობა“, რომელიც იწყება თანამედროვეობის უდიდესი აღმოჩენით – სამყაროს სპირალური მოძრაობის თეორიის დასაბუთებით.

მეცნიერული კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ისტორიული კოლხეთის დიდი კავკასიონის მთიანეთს, კონკრეტულად კი რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს, წარმოადგენს „მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად“ აღიარებული კულტურების თეოსაცავ-საგანძურს. გასავ გასვიანის მოცემული აღმოჩენა გაგრძელება იმ გენეტიკური აზროვნება-თეოკულტურისა, რომელიც ჩაისახა შორეულ წარსულში „მსოფლიო ცივილიზაციის აკვნაში“. ამიტომ ავტორის ამ ნაშრომს არა მარტო თანამედროვეობისთვის აქვს უმნიშვნელოვანესი ღირებულება, არამედ ეს თეოშედეგრი ასაბუთებს ჩვენი ეროვნული თეოკულტურის უძველესობას და უნიკალურობას ზოგადსაკაცობრიო თვალსაზრისითაც.

ასეთი ექსკურსით მინდა კანონზომიერად დავასაბუთო „იბერიის გაბრწყინების“ იმ თეოსოფიური შეხედულების სიმყარე, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ინტელექტუალური წმიდა მამები წინასწარმეტყველებენ.

საკაცობრიო ფუნქციის იბერიულ-მელქისედეკიანურმა მართლმადიდებლურმა თეოსოფიამ ორასწლოვანი ჩავარდნა განიცადა. ავტორის დაბადების ადგილი – სოფელი ხალდე, სადაც ინახებოდა, როგორც თამარ მეფის მეისტორიე გადმოგვცემს, სვანეთის სატომო დროშა ბავრაცი – „ლემი“, ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეოცენტრია, რომელიც ბიბლიაში, და საერთოდ ისტორიაში, საყოველთაოდ აღიარებული თეოკულტურის შემქმნელ მოდგმა ქალდეელებს (ხალდეელებს) მიიჩნევს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, ხალდე იმ ბედი გაიზიარა 1875-1876 წწ-ში, რაც თეომისტიკურმა სოფელმა ფუტიეთმა 1819-1829 წწ. საეკლესიო ომის დროს. ცარისტული იმპერიის მიერ მიწისაგან პირისა აღგვილი საკაცობრიო თეომახსოვრობის კულტურული კერების თეოცოდნის კვლავ ცნობიერებაში დაბრუნებას ისახავს მიზნად აღნიშნული შრომა. ამ დონის თეოსოფიურმა ნაშრომებმა უნდა ააშენოს ის ზოგადსაკაცობრიო თეოკულტურული ტაძარი, რომელსაც „იბერიის გაბრწყინება“ ჰქვია. ასეთი ხასიათის ეროვნულ-მართლმადიდებლურ თეოსოფიაზე დაფუძნებული ნაშრომები უმზადებს თეორიულ ნიადაგს თანამედროვე ეკლესიას, რომ აღადგინოს ორასი წლის განმავლობაში ამოძირკ-

ვული ეროვნული იბერიულ-მელქისედეკიანური მართლმადიდებლური თეოკულტურა. ამისთვის:

I. სათანადო, ჭეშმარიტი ისტორიული ანალიზით უნდა შეფასდეს და გაცნობიერდეს 1819-1820 წწ. საეკლესიო ომის ტრაგიკული შედეგები. ობიექტური ისტორიული რეალობით გამოიკვეთოს ხალდეს და ფუტიეთის ტრაგედიები, როგორც იბერიულ-მელქისედეკიანური მართლმადიდებლური თეოსოფიის უკვალოდ მოსპობის მცდელობა რუსეთის იმპერიის მიერ. ამ ისტორიულ დანაშაულს ქართველი ერის სულიერი გენოციდის კვალიფიკაცია ეძლევა, რადგან იგი მიზნად ისახავდა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობის თეოკულტურის მოსპობას.

II. ორასწლოვანი წყევტის შემდეგ უნდა აღვადგინოთ იბერიულ-მელქისედეკიანური მართლმადიდებლური თეოსოფიური სწავლება და თეომეცნიერება. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკისრება გასავ (აკაკი) გასვიანის მეცნიერულ შრომებს.

III. დაისვას საკითხი, რომ კაცობრიობის უძველესი თეოკულტურის საცავ-გადამახსველ „იედენა [ს]უფავას“, რომელიც რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში დასტურდება, იუნესკომ მიანიჭოს თეოკულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.

აი, ამ თვალსაზრისით არის გასავ გასვიანის ნაშრომი თანამედროვე საღვთისმეტყველო აზროვნებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მე მასში დავინახე ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების მკვდრეთით აღდგენის შესაძლებლობა. როცა აბსოლუტური სუბსტანცია – ღმერთი – ამდენ ინფორმაციას აწვდის ქართველს, ეს იმას ნიშნავს, რომ იბერიის გაბრწყინების ჟამი დამდგარია. ამის გამო უფალმა დაუშვა გამონაკლისი და კრიტიკულ მომენტში ჩვენ ხელთ მოგვცა არქაული და თანამედროვე თეოლოგიების სინთეზის საფუძველზე შექმნილი მომავლის სწორი გზის მაჩვენებელი ეს სულიერ-ინტელექტუალური ნაშრომი.

ჩვენ ხელთ გვაქვს თანამედროვეობის უმძლავრესი ფუნდამენტური თეომეცნიერული წიგნი, რომელიც არა მარტო ჩვენი ერის, არამედ კაცობრიობის ცხოვრებაში შეიტანს ძირეულ ფერიცვალვებს. მოცემულ ისტორიულ ეტაპზე მას იგივე დატვირთვა ეძლევა, რაც თავის დროზე გიორგი მთაწმინდელის, იოანე პეტრიწის და არსენ იყალთოელის საღვთისმეტყველო შედეგებს ჰქონდათ.

ეპოქალურმა საბუნებისმეტყველო აღმოჩენებმა წარმოუდგენელი წინსვლა განიცადა. სამყაროს შეცნობის სულიერი-მატერიალური, წონასწორული, ურთიერთფუნქციონალური სწავლების პრინციპები კი არ არსებობს. ხოლო


ორასწლოვანი სულიერი გენოციდის გამტარებლებმა კაცობრიობის ცნობიერებას სამყაროს შეცნობის ქართული ეკლესიის საღვთისმეტყველო ცოდნა გადაუკეტეს. „მსოფლიო ცივილიზაციის აკვნად“ ცნობილი ახლო აღმოსავლეთის საკრალური მემკვიდრეობა – სამყაროს შეცნობის ჭეშმარიტი მეთოდიკა პროტოქართველმა ფუტიელმა გრაალის მცველებმა, იბერთა მოდგმამ დღემდე მოუტანა კაცობრიობას. ეს ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის თეომეთოდიკა იძლევა საშუალებას ჩვენი გარემომცველი მატერიალური და სულიერი სამყაროს ისეთი შეცნობისა, რაც კაცობრიობას სწორ მიმართულებას მისცემს უაპოკალიფსო განვითარებისთვის.

„ახალ შესაქმეს, ანუ პროსესინგს და მის წესრიგს ღვთაებრივი კანონი განაგებს და უწყვეტია ეს პროცესი, მოძრაობაშია ეს პროცესი“. პროსესინგის დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ საღვთისმეტყველო უმეცრებით, რაც აპოკალიფსს წარმოშობს. ასეთია სამყაროს შემქმნელის კანონები და მისი კანონების ცოდნა იგივე ღვთისმეტყველებაა.

ავტორის აღმოჩენით: „ადამიანის გონი ინფორმაციული ველის ხატია და ამიტომაც მასთან განუწყვეტელი კავშირი მარადიული არსებობის აუცილებელი პირობაა“. ეს კი მიიღწევა მისი მიღების უნარით, ეს უნარი სრული იქნება განუწყვეტელი და დაუღალავი სულიერი კავშირით სამყაროსთან, რაც ეკლესიის განუწყვეტელი თეონტელექტუალური სრულყოფილებით უნდა მიიღწეოდეს.

სხეულთა ტრიალური სპირალური მოძრაობის ავტორისეულ აღმოჩენას სამების არსის ზოგადი გამოვლინების კანონთან მიყვავართ, მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის არსებულ ენერგეტიკადა ურთიერთფუნქციონალურ კავშირს რომ ასაბუთებს, რაც მომავალი საზოგადოების გარემომცველ სამყაროსთან უაპოკალიფსო თანაარსებობის და განვითარების პირობაა. ღმერთისგან ჩვენ არასოდეს შეგვექმნება არსებობის პრობლემა, თუ ვიხელმძღვანელებთ მისი თეოკანონების განუწყვეტელი შემეცნებით და გამოყენებით.

სამების არსის ამ ფუნდამენტურმა აღმოჩენამ გზა მისცა მრავალი მოვლენის შეცნობას, რამაც ავტორს შეაძლებინა, გაეხსნა 300-ზე მეტი ეპოქალური სიახლე: სამყაროს სპირალური მოძრაობის ძალწირები, ანუ სამების ძალით წარმოქმნილი ტრიალდექტორული ტრიალდექტორიების სისტემები, ტრიალდექტორული სპირალური სისტემების მუდმივების გაანგარიშების მეთოდები; სხეულთა ურთიერთძრაობის უნი-



ვერსალური კანონები; სხეულთა სიმკვრივის ქმნადობის კანონი; სიცოცხლის წარმოშობის მიზეზები და არსი; აბსოლუტური სიზუსტით სხეულთა მოძრაობის სიჩქარის გაანგარიშების მეთოდიკა; მატერიის განმლადობის კანონი; ფიზიკურ ვაკუუმში არსებული ენერგეტიკის სიჩქარეების განსაზღვრა; ინფორმაციული ველი, როგორც სულიერი მყოფობა; სულიერებისა და მატერიალურობის სინთეზი სამყაროში; აზროვნება – ინფორმაციული ველის პროდუქტი; ბიოქმნადობის კანონი; ინფორმაციული ველის მუდმივა; მემკვიდრეობითობის კანონი; ბიოენერჯის წარმოქმნის მექანიზმი; გალაქტიკის ცენტრის გარშემო მზის შემოვლის ზუსტი დრო; სპირალური მოძრაობის მიზეზი; მიზიდულობა-განზიდულობის ერთობლიობის კანონი; სამყაროს გაფართოება-შეკუმშვის ციკლურობა და ა.შ. და ა.შ. ახსნილია ადამიანთა საზოგადოების დინამიკური განვითარების არსი, ადამიანი, როგორც ღვთის ხატება, ამ საღვთისმეტყველო აღმოჩენებით კანონდება.

ამიერიდან ბატონი გასავ (აკაკი) გასვიანის მეცნიერული აღმოჩენები ქართველი ერის ინტელექტუალური საგანძურის კუთვნილება გახდა. ამას ადასტურებს გამომხატურებები საზღვარგარეთიდან.

**მამა ავთანდილ გიორგოზიანი**  
თბოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქრისტეს სამოციქულო ეკლესიის დეკანოზი, სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, ამავე სოფლის წმ. სამების (ფუსტის) ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსარესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
კოდი: MIBGGE22  
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

**ძვირფასო ავტორებო!**  
რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს „ასავალ დასავალის სტამბაში“  
მისამართი: თბილისი, აგლადის ქ. 39  
ტელ: 2343330; ელ. ფოსტა: print@asavali.ge